N 3 2025

მასწავლებელი

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„რემედიაციის გაკვეთილები“

№3(106), 2025
მასწავლებელი
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
ბერიკა შუკაკიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
თინათინ ზარდიაშვილი,
ნინო ლომიძე, თამთა დოლიძე,
მაია ფირჩხაძე,
ნათელა ბაღათრიშვილი,
ლელა მანგოშვილი,
ინა იმედაშვილი, მეგი კავთუაშვილი,
ლელა კოტორაშვილი,
ნესტან მიქაძე, ქეთევან ოსიაშვილი,
ქრისტინე სურგულაძე,
თემურ სუყაშვილი, ცირა ბარბაქაძე,
დათია ბადალაშვილი,
დიანა ანფიმიადი,
ლევან ლორთქიფანიძე,
შორენა ტყეშელაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი,
ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევი N6,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.
ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ჟურნალ „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 მ-374

www.tpdc.ge

რედაქტორისგან

ნატო ინგოროყვა

რედაქტორის წერილის წერისას მასწავლებლის იმ დიდ ძალაზე მეფიქრება, რომელიც მასწავლებელს ყოველდღე სჭირდება, როცა აქვს რწმენა, რომ სწავლება შესაძლებელია, რომ აუცილებელია და რომ ნამდვილად ღირს.

დღეს, როცა ცოდნის აგების თანამედროვე პარადიგმის – **შინაარსობრივი, პედაგოგიური და ტექნოლოგიური** – მიდგომები ციფრულ სამყაროში ახალი თანხვედრის გზებს ეძებს, ყველაზე მთავარი მაინც **მიზანია**. *რატომ ვასწავლი ამას? როგორ გამოიყენებს ამას მოსწავლე? როგორ ადამიანად ყალიბდება ის ამ პროცესში?*

ამ კითხვებზე პასუხის ძიებას საბოლოოდ მივყავართ მთავარ **ღირებულებებთან, როგორიცაა: პატივისცემა, ღირსება, თანაგრძნობა, სამართლიანობა, თავისუფლება.** ისინი არ ისწავლება მხოლოდ პედაგოგიური მეთოდით ან ტექნოლოგიების გამოყენებით, არამედ ყალიბდება ჩვენი პირადი მაგალითით, მოთმინებით, მაშინაც კი, როცა გრძნობ, რომ თითქოს ყველაფერს აზრი ეკარგება და მაინც არ ჩერდები.

ციფრული სამყარო ვითარდება სწრაფად, თუმცა ვერავინ შეძლებს დააპროგრამოს განათლების მომავალი ისე, როგორც ამას მასწავლებელი აკეთებს – ყოველდღე, უშუალოდ მოსწავლეებთან პირისპირ ურთიერთობით.

ჟურნალი „მასწავლებელი“ მუდმივად ცდილობს, გაგიზიაროთ ახალი ხედვები, ტექნოლოგიის მიღწევები და გამოწვევები, პრაქტიკული მაგალითები, კოლეგების თუ საერთაშორისო გამოცდილება. ჟურნალის უპირველესი მიზანი კი ის არის, **გვახსოვდეს მასწავლებლის მნიშვნელობა** – რადგან მომავალი უფრო მეტად ჩვენზეა დამოკიდებული, ვიდრე რომელიმე ალგორითმზე.

ახლა როცა საკლასო ოთახების კარი გამოვხურეთ და სასკოლო არდადეგები დაიწყო, უფრო მეტი დრო გვაქვს იმის გასააზრებლად, ახალი სასწავლო წლიდან, რას ელოდებიან ჩვენი მოსწავლეები, ხომ არ შეიცვლება და როგორ შეიცვლება ჩვენი როლი ციფრულ ეპოქაში და როგორი იქნება პასუხი ძალიან მგრძნობიარე კითხვაზე – ხომ არ ჩაანაცვლებს მასწავლებელს ხელოვნური ინტელექტი?

ჩემი, როგორც რედაქტორის, პასუხი ამ კითხვაზე ჯერჯერობით მყარია – ვერ!

გამოცდილება

ნინო ლომიძე

7 ზოგჯერ საკლასო ოთახს არ ჰქონდეს 4 კედელი...

გაკვეთილებზე ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენებას სასწავლო პროგრამები განუსაზღვრელ მომავალში გვპირდებიან. ასე არაა? მაგალითად, ყველაზე პოპულარული პასუხი კითხვაზე – „რა არის სკოლის ფუნქცია?“ – გახლავთ: მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება...

ინა იმედაშვილი

24 აღარ მინდა თამაში! გავარღვიოთ მოჯადოებული წრე და დავამარცხოთ სიძულვილის დემონები

ვერც ჩვენი თაობა, ვერც ჩვენი წინა თაობა და ვერც იმის წინა ვერ გამოვედით სიძულვილის დაუსრულებელი დერეფნიდან, ვერ გავარღვიეთ მოჯადოებული წრე, ვერ გადავლახეთ ეგო, ვერ ვისწავლეთ ადამიანების მიღება, ვერ ვისწავლეთ უპირობო სიყვარული.

ქრისტინე სურგულაძე

49 შეცდომა

შეცდომა ყველას მოგვდის. მთავარი ალბათ ის არის, რომ ასეთი შეცდომები ვაღიაროთ და გამოვასწოროთ, რადგან მათ შეუძლიათ, საშინელი კვალი დააჩნიონ მოსწავლეთა ემოციებსა და გრძნობებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჩვენ ეს შეცდომები შესაძლოა უმნიშვნელოდ მიგვაჩნდეს.

შეფასება

ლელა მანგოშვილი

21 წლიური განმავითარებელი შეფასება დაწყებით კლასებში

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე. ამ ტიპის შეფასებას მასწავლებლები იყენებენ, როგორც სწავლების პროცესში, კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შემდეგ, ასევე – სემესტრისა და წლის ბოლოს.

მოსაზრება

თინათინ ზარდიაშვილი

4 ჰიბრიდული სწავლების მახასიათებლები

ონლაინ სწავლება ზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს. მას შეუძლია, ისწავლოს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სივრცეში, ხელახლა გაიმეოროს მასალა. ასეთი მოსწავლეები დამოუკიდებელი მსწავლელები არიან და თვითმართვის უნარები კარგად აქვთ განვითარებული.

თამთა დოლიძე

11 არდადეგები საზაფხულო დავალებად

განათლების სპეციალისტები, ფსიქოლოგები და მშობლები დღემდე კამათობენ საზაფხულო დავალებების მოცულობასა და შინაარსზე. ჩემი აზრით, ზაფხულის დიდი ნაწილი ოჯახთან ერთად დასვენებას უნდა დაეთმოს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამი თვის განმავლობაში თუ არაფერი ვაკეთეთ, გასული წლის მანძილზე შეძენილი სასწავლო უნარ-ჩვევები შესაძლოა ხელახლა გამოსამუშავებელი გაგვიხდეს.

მეგი კავთუაშვილი

31 სადამრიგებლო კლასის მშობლები

კლასის დამრიგებელი ის ადამიანია, ვისგანაც ოჯახი და სახელმწიფო ელის, რომ დაეხმარება მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაში.

ნესტან მიქაძე

42 პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრება

აუცილებელია, მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება. პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა არ არის მხოლოდ კარიერული წარმატების წინაპირობა, ეს არის გზა თვითშემეცნებისკენ. პროფორიენტაციის გაკვეთილები ეხმარება მოზარდს, მიიღოს გადაწყვეტილებები მეტად გააზრებულად და მიზანმიმართულად.

თემურ სუყაშვილი

51 „ტალღა“

გარემოში, სადაც რადიკალური იდეები და ავტორიტარიზმის საფრთხე სულ უფრო აქტუალური ხდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, რათა ერთგვარი იმუნიტეტი გამოვუმუშაოთ საშიში რადიკალური იდეოლოგიების მიმართ.

ცირა ბარბაქაძე

54 ციფრული ჯინი – გენერაციული ჩატბოტის მეტაფორა

მნიშვნელოვანია, ჩატბოტებთან კომუნიკაცია გამოვიყენოთ შემეცნებისთვის და ჩვენი შინაგანი, სიღრმისეული სურვილების გააზრებისა და შესაბამისად ფორმირებისთვის.



STEM განათლება

ნათელა ბაღათრიშვილი

18 | არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარების სტრატეგიები

ბუნებისმეტყველების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბება. ეს უნარი მოსწავლეებში განსხვავებული ხარისხით არის განვითარებული და ასაკთან ერთად იხვეწება.

დათია ბადალაშვილი

27 მოსწავლე როგორც აქტიური მოქალაქე

დიანა ანფიმიადი

28 დამოუკიდებელი მეცადინეობა: მოზარდის პასუხისმგებლობა და რუტინა

ლევან ლორთქიფანიძე

29 რუსეთის საბედისწერო პარადიგმა

შორენა ტყეშელაშვილი

30 მოგზაურობა ბავშვობაში – ზრდასრულობის თერაპია

განათლების ფსიქოლოგია

ქეთევან ოსიაშვილი

46 | როგორ განვავითაროთ ბავშვში თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალების რწმენა

თავდაჯერებულობის განვითარება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უფროსების მხრიდან დროსა და ყურადღებას მოითხოვს. მუშაობის სწორად წარმართვისა და მონდომების შემთხვევაში კი ჩვენი ძალისხმევა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

საგანმანათლებლო რესურსი

მაია ფირჩხაძე

14 | ZEEMAP-ის ინტერაქტიური პლატფორმა მოსწავლეთა მოტივაციისა და დიფერენცირებული მუშაობისათვის

თანამედროვე მოსწავლის ინტერესის და მოტივაციის მართვა მარტივი არ არის. ამ მიზეზის გამო მასწავლებლები ძირითადად ორიენტირებული არიან თამაშზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს ფორმირებაზე. ისინი ცდილობენ გეიმიფიკაციის პრინციპების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის და სწავლების პროცესის გამარტივებისთვის.

ლელა კოტორაშვილი

34 | MASTSAVLEBELI.GE-ზე გამოქვეყნებული სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლი

სპექტაკლი ყველაზე დიდებული რამ არის, რაც შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს, საკუთარ თავს, სკოლას, მშობლებს აჩუქოს. ამაში ჩემი პრაქტიკული საქმიანობის განმავლობაში მრავალჯერ დავრწმუნდი. სპექტაკლი თავს უყრის უნარებს, ემოციებს, ამთლიანებს ცოდნას და ეს ყოველივე შემდეგ ფეიერვერკივით ამოიფრქვევა მაყურებლის წინაშე.

თინათინ ზარდიაშვილი

ჰიბრიდული სწავლების მახასიათებლები

ონლაინ სწავლება ზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს. მას შეუძლია, ისწავლოს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სივრცეში, ხელახლა გაიმეოროს მასალა. ასეთი მოსწავლეები დამოუკიდებელი მსწავლელები არიან და თვითმართვის უნარები კარგად აქვთ განვითარებული.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სკოლებმა დანერგეს სწავლების მეთოდები, რომლებიც ტიპური მოდელებისგან განსხვავდება. დისტანციური სწავლება გლობალურად გამოიყენა მრავალმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, მათ კი, ვინც კარგი შედეგი აჩვენეს, მისი კომპონენტი დაიტოვეს სწავლების ფორმად. ასე შეიქმნა ჰიბრიდული სწავლების სხვადასხვა მოდელი. ჰიბრიდული მოდელი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სილაბუსის ნახევრის ვირტუალურ საკლასო სივრცეში გადატანა. ეს არის ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც აერთიანებს პირისპირ და ონლაინ სწავლების საუკეთესო პრაქტიკებს, რათა შეიქმნას ყველაზე მოქნილი და შედეგიანი სასწავლო გამოცდილება.

რა არის ჰიბრიდული სწავლება?

ჰიბრიდული სწავლება ისეთი მოდელია, როცა მოსწავლეების ნაწილი გაკვეთილს ესწრება კლასში, ნაწილი კი რომელიმე საკომუნიკაციო საშუალებით არის ჩართული ვირტუალურად, თუნდაც სახლიდან. მასწავლებელი ერთდროულად ასწავლის ორივე ჯგუფის მოსწავლეებს ვიდეოკონფერენციების, პრეზენტაციებისა და სხვა პროგრამული საშუალებების გამოყენებით. ზოგიერთ შემთხვევაში ჰიბრიდული სწავლება აერთიანებს ისეთ ასინქრონულ სასწავლო ელემენტებს, როგორიცაა ონლაინ გაგზავნილი დავალებები, წინასწარ ჩაწერილი ვიდეოლექციები და სხვა. როცა სასწავლო პროცესი კარგად არის დაგეგმილი, ჰიბრიდული სწავლების მეთოდის გამოყენებით განათლება გაცილებით მეტი მოსწავლისა თუ სტუდენტისთვის ხდება ხელმისაწვდომი. იმისთვის, რომ ჰიბრიდული სწავლება წარმატებული იყოს, კურსის ყველა ელემენტი კლასის საჭიროებებს უნდა მოერგოს.

რა განსხვავებაა ჰიბრიდულ და შერეულ სწავლებას შორის?

სწავლების ამ ორ ფორმას ხშირად აიგივებენ ერთმანეთთან, რადგან მსგავს ელემენტებს მოიცავს, თუმცა ეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული სასწავლო მოდელია. შერეული სწავლება პერსონალურ სწავლებას აერთიანებს ასინქრონულ სწავლებასთან, სადაც მოსწავლეები მუშაობენ ონლაინ სავარჯიშოებზე და უყურებენ სასწავლო ვიდეოებს პროგრამის შესაბამისად.

ჰიბრიდული სწავლების დროს მასწავლებელი ერთდროულად ასწავლის პირისპირ და ონლაინ მოსწავლეებს. ასინქრონული სწავლების მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სინქრონულთან ერთად, როცა მასწავლებელი ინსტრუქციას პირისპირ აძლევს მოსწავლეს.

როგორც ონლაინ, ისე პირისპირ სწავლებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჰიბრიდული სწავლების მიზანია ამ ორი ფორმატის გაერთიანება უნიკალური სასწავლო გამოცდილების შესაქმნელად.

ჰიბრიდული სწავლების ერთ-ერთი მოდელი

ჰიბრიდული სწავლების მრავალი ფორმა არსებობს. არჩევანი დამოკიდებულია მასალის შინაარსზე, მოსწავლეების საჭიროებებსა და მასწავლებლის შესაძლებლობებზე. დიაგრამა ასახავს კრისტენსენის ინსტიტუტის (Christencen Institut) მიერ შემუშავებულ მოდელს.



ჰიბრიდული სწავლების დადებითი მხარეები:

1. სწავლების მოქნილობა – ევროპის ქვეყნებში მრავალი სკოლა გადავიდა ჰიბრიდულ რეჟიმზე სასწავლო გრაფიკის მოქნილობის გამო. ამ დროს მოსწავლეებისთვის უფრო ხელმისაწვდომია სასწავლო რესურსები. ამასთან, განათლების მიღების შესაძლებლობას არ კარგავენ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში გაკვეთილებზე დასწრებას ვერ ახერხებენ. საქმიანი ურთიერთობა ყალიბდება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის.
2. სინქრონული კომუნიკაციის შესაძლებლობა – ზოგიერთი მოსწავლე უფრო გაბედული და თავდაჯერებულია, როცა პირისპირ კომუნიკაცია არ უწევს. სწავლების ჰიბრიდული მიდგომა მას საშუალებას აძლევს, უფრო ხშირად ჩაერთოს დისკუსიებში, დებატებში. გარდა ამისა, დრო ეფექტურად იხარჯება სინქრონული ჯგუფური მუშაობისთვის, პრეზენტაციებისა და კითხვა-პასუხისთვის.
3. დროის მენეჯმენტისა და აკადემიური თავისუფლება – ონლაინ სწავლება ზრდის მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხს. მას შეუძლია, ისწავლოს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სივრცეში, ხელახლა გაიმეოროს მასალა. ასეთი მოსწავლეები დამოუკიდებელი მსწავლელები არიან და თვითმართვის უნარები კარგად აქვთ განვითარებული.
4. რესურსების უფრო ეფექტური გამოყენება – მასწავლებელს საშუალება აქვს,გამოიყენოს მრავალი ელექტრონული რესურსი. მათ მოძიებას ბევრი დრო და ენერგია სჭირდება, მაგრამ როცა შედეგი კარგია, დახარჯულ ენერგიაზე აღარავინ ფიქრობს.

ჰიბრიდული მოდელი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სილაბუსის ნახევრის ვირტუალურ საკლასო სივრცეში გადატანა. ეს არის ყოვლისმომცველი მიდგომა, რომელიც აერთიანებს პირისპირ და ონლაინ სწავლების საუკეთესო პრაქტიკებს, რათა შეიქმნას ყველაზე მოქნილი და შედეგიანი სასწავლო გამოცდილება.

რა უნდა გაითვალისწინოს მასწავლებელმა ჰიბრიდული სწავლების რომელიმე ფორმის გამოყენების დროს

1. დაგეგმვა მოითხოვს საკმაოდ ბევრ დროსა და ფიქრს.
2. დავალებების პირობები და ინსტრუქციები უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების შესაძლებლობებს და გასაგები ენით იყოს დაწერილი.
3. მოლოდინი წინასწარ უნდა განისაზღვროს.
4. უნდა განისაზღვროს სემესტრის ბოლოს მისაღწევი მიზანი.
5. უნდა განისაზღვროს მოკლევადიანი მიზნები.
6. ეს მიზნები გააცანით მოსწავლეებს.
7. შეიმუშავეთ შეფასების სისტემა.
8. შექმენით დავალებების ბანკი. ეს დავალებები რესურსებთან ერთად განთავსდება ვირტუალურ კლასში, ღრუბლოვან სივრცეში ან ბლოგზე. მთავარია, მოსწავლეებისთვის ყველა მასალა ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერ დროს და ნებისმიერ სივრცეში.
9. სემესტრის ბოლოს მისაღწევი მიზნებიდან უკუსვლით დაგეგმვა უზრუნველყოფს დავალებების შესაბამისობას სასწავლო მიზნებთან.
10. შეადგინეთ აქტივობათა რუკა, რომელზეც თვალსაჩინოდ იქნება წარმოდგენილი დრო, აქტივობა, რესურსი, მიზანი.
11. ბოლოს შეაფასეთ, რომელი აქტივობები აღმოჩნდა ეფექტური, სად ჰქონდათ მოსწავლეებს მაღალი შედეგები, რა მოითხოვს გაუმჯობესებას.
12. პირისპირ სწავლებისას მნიშვნელოვანია:
    - ა. სინქრონული ჯგუფური ბრეიმშტორმინგი;
    - ბ. კლასის მოლოდინებისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამოკვეთა;
    - გ. თანამშრომლობითი, ნდობაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბება;
    - დ. ზარებისა და პასუხის პროტოკოლის შექმნა;
    - ე. მოსწავლეებისთვის სწრაფი და ეფექტიანი უკუკავშირის უზრუნველყოფა.
13. განსაზღვრეთ ონლაინ კომპონენტის წილი მთლიან კურსში – ჰიბრიდული კურსის მთავარი ელემენტია ინფორმაციის სწორი მიწოდება. ინდივიდუალური დავალებები, უმჯობესია, შესრულდეს ვირტუალურად. ასევე გამოიყენეთ:
    - ა. დამოუკიდებლად სწავლების ან დავალების დამოუკიდებლად დასრულების მეთოდები;
    - ბ. ასინქრონული ჯგუფური დისკუსიები;
    - გ. თვითშემოწმებადი ტესტები და ქვიზები;
    - დ. წერილობითი კრიტიკული ანალიზი და დისკუსია;
    - ე. ვიდეო- და აუდიომასალები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.codlearningtech.org/PDF/hybridteachingworkbook.pdf
2. https://resources.owllabs.com/blog/hybrid-learning
3. https://resources.owllabs.com/blog/virtual-classroom

ნინო ლომიძე

ზოგჯერ საკლასო ოთახს არ ჰქონდეს 4 კედელი...

საინტერესო რამაა შეგრძნებათა ორგანოების გააქტიურება, გამოყენება და საკუთარი სხეულის „ლაბორატორიად“ წარმოდგენა. ჩვენ გვაქვს სამყაროზე დაკვირვების საწარმოებელი „ინსტრუმენტები“ და შეუიარაღებელი თვალითაც შეგვიძლია საგულისხმო რაღაცების შენიშვნა, შემჩნევა, აღბეჭდვა, შემდეგ კი ამ „მონაცემების დამუშავება“, ანალიზი, გაზიარება.

დავაკვირდეთ: ერთსა და იმავე ცხოვრებისეულ სიტუაციაში, ყოველდღიურობაში, ნაჩვევ, გაბეზრებულ ყოფაში შეგრძნებათა ორგანოები გვიდუნდება, გვიბლაგვდება.

გაკვეთილების წლიური გეგმა გაწერილია კონკრეტული საგნობრივი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განსავითარებლად, ჩამოსაყალიბებლად. მიზნებიც, ამოცანებიცა და მიღწევის გზებიც ასევე წინასწარაა გაწერილი. ეს, რასაკვირველია, საჭიროა, აუცილებელიც. მაგრამ, ამასთან, აუცილებლად არის რუტინულიც. შესაძლოა, იყოს მოსაწყენიც.

გაკვეთილებზე ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენებას ეს პროგრამები განუსაზღვრელ მომავალში გვპირდებიან. ასე

საინტერესო რამაა შეგრძნებათა ორგანოების გააქტიურება, გამოყენება და საკუთარი სხეულის „ლაბორატორიად“ წარმოდგენა. ჩვენ გვაქვს სამყაროზე დაკვირვების საწარმოებელი „ინსტრუმენტები“ და შეუიარაღებელი თვალითაც შეგვიძლია საგულისხმო რაღაცების შენიშვნა, შემჩნევა, აღბეჭდვა, შემდეგ კი ამ „მონაცემების დამუშავება“, ანალიზი, გაზიარება.

გაკვეთილებზე ნასწავლის ცხოვრებაში გამოყენებას სასწავლო პროგრამები განუსაზღვრელ მომავალში გვპირდებიან. ასე არაა? მაგალითად, ყველაზე პოპულარული პასუხი კითხვაზე – „რა არის სკოლის ფუნქცია?“ – გახლავთ: მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება...

არაა? მაგალითად, ყველაზე პოპულარული პასუხი კითხვაზე – „რა არის სკოლის ფუნქცია?“ – გახლავთ: მომავალი ცხოვრებისთვის მომზადება...

მაგრამ მოზარდობისას ცხოვრება არც შეყოვნების რეჟიმშია და არც სადმე გვაქვს გადადებული. ჩვენ ამ ცხოვრებას „ვცხოვრობთ“, ვითავისებთ, ვეუფლებით უნარებს, ვიმუშავებთ ჩვევებს და აქ და ახლა, აწმყოშიც გვჭირდება სამარჯვები, რომლებსაც გამოვიყენებთ ყველაზე ბობოქარი პერიოდისას. მოზარდობა სწორედ ასეთია.

ალტერნატიული (არასრული) პასუხი კითხვაზე – რა არის სკოლის ფუნქცია?“ – ასეთი მაქვს:

საკუთარი თავის შეცნობა, სამყაროს მიმართ ინტერესის, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, დასწავლისა და სწავლა-სწავლების ტექნიკების გაცნობა-გათავისება, სხვებთან ურთიერთობისას საკუთარი შესაძლებლობების შემჩნევა, გამოვლენა, გაუმჯობესება, კაცობრიობის საინტერესო ნააზრევის, ნაფიქრის, ნაკეთების გაცნობა, შესწავლა, მსჯელობა ამაზე, სხვების ნააზრევის მოსმენა, თვალსაწიერის გაფართოება, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, საკუთარ და საზოგადოებრივ (ჯერ საკუთარ, მერე საზოგადოებრივ) სიჯანსაღეზე, კეთილდღეობაზე ზრუნვა, პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება საკუთარი თავის წინაშე, შემოქმედებითი თვითგამოხატვის გზების ძიება, პოვნა, კვლავ ძიება...

ცხოვრება დაუგეგმავი, მოულოდნელი სიტუაციების წყებაცაა. ყველაფერს ვერ დავგეგმავთ. ყველაფერს ვერ გავითვალისწინებთ. სასკოლო ცხოვრებაში მოულოდნელობები კი თითქმის არ გვხვდება. ყოველ შემთხვევაში, პედაგოგიურად მნიშვნელოვანი მოულოდნელობები, რომლებსაც აღმზრდელობითად გამოვიყენებთ. მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, დააკვირდნენ თავს სხვადასხვა სიტუაციაში.

სასკოლო პრაქტიკა ამ მხრივ შეუცვლელია. ვალდორფის სკოლას, მაგალითად, კურიკულუმით აქვს განსაზღვრული ეკოლოგიური, თეატრალური, სოციალური, სასოფლო-მიწათმოქმედებითი, სალაშქრო პრაქტიკები. მოსწავლეები სხვადასხვა კლასში სულ მცირე, ერთი კვირით მაინც სტუმრობენ ხოლმე სოციალურ ინსტიტუტებს, დგამენ სპექტაკლებს, გადიან სოფლად და მუშაობენ მიწაზე, გეგმავენ ლაშქრობებს ღამისთევით. მოსწავლე კლასში და მოსწავლე კლასის გარეთ, სხვა სივრცეში – ორი სხვადასხვა ვინმეა. იმდენის აღმოჩენა შეგვიძლია თითოეულში, იმდენ თვისებას მალავენ ოთხ კედელს შორის მოქცეულები, მერხებსა და სკამებზე მიჩუმებულები...

მაისის ერთ მშვენიერ დღეს სკოლასთან ახლოს, სკვერში გადავწყვიტე მოსწავლეების გაყვანა. წინასწარ გავაცანი წესები. ასევე დავალებების ჩამონათვალი. მოცემული დავალებებიდან მათ უნდა შეერჩიათ ერთ-ერთი და გაკვეთილის მთელი დრო უნდა დაეთმოთ ამ კონკრეტული შემოქმედებითი დავალებისთვის. დამოუკიდებლად, მარტო უნდა გადაეწყვიტათ, რა ფორმით, როგორ ჩამაბარებდნენ დავალებას (ჩვენს სასწავლო პრაქტიკაში ჩემთვის მეილების გამოგზავნა პროცესის განუყოფელი ნაწილია. ზოგჯერ დავალებებს ასე ვიბარებ...).

ისეთი საინტერესო და შთამაგონებელი, ორიგინალური, მრავალფეროვანი ნამუშევრები მივიღე, ერთი სიამოვნება იყო მათი „შემოწმება". რაიმე მოდულის ან თემის დასრულების შემდეგ მოსწავლეებისგანაც ვითხოვ ხოლმე უკუკავშირს, შეფასებას. ამ კონკრეტულ დავალებაზე უკლებლივ ყველასგან მივიღე დადებითი გამოხმაურება. მივიღე გულდასმით, პასუხისმგებლობის გრძნობით შესრულებული ნამუშევრები, მათ შორის, ფოტო- და ვიდეოფორმატშიც.

გიზიარებთ შემოქმედებითი აქტივობების ჩამონათვალს და სახალისო შემეცნებით თავგადასავალს გისურვებთ:

1. ხარ რეპორტიორი. უნდა მოამზადო 1-წუთიანი რეპორტაჟი – „შემთხვევა სკვერში". ვინ იქნება გმირი? მიუსაფარი ძაღლი? ფოთოლი? კაცი ყურსასმენებით? საბავშვო ატრაქციონის სავალალო მდგომარეობა? ნაგვის ურნა?
2. მოძებნე: ქვა, ტოტი, ფოთოლი, ადამიანი ყურსასმენებით, ფესვი, ოთხკუთხედი ფორმის ობიექტი, რაიმე იისფერი. აღბეჭდე! დაურთე ტექსტი (ტექსტის ნაწილში თავისუფალი ხარ. მოიფიქრე რაც გინდა).
3. მოძებნე უსულო საგანი და გაასულიერე. ვინაა? როგორია? აღჭურვე თვისებებით, „გააკეთებინე" რაიმე, აამოქმედე. დააკვირდი. მოგვიყევი.
4. ინტერვიუ ხესთან – შეარჩიე ხე. წარმოიდგინე, რომ ინტერვიუ გაქვს ჩასაწერი. მოიფიქრე სამი კითხვა და დაუსვი. ივარაუდე – რა პასუხები შეიძლება გაგცეს ხემ? დაწერე ან ჩაწერე.
5. მონაკვეთი – საბავშვო ატრაქციონებიდან ოთხკუთხედ ობიექტამდე – ჩაწერე და აღწერე ხმები, რომლებიც მოგესმა. გამოიყენე საგნები – აახმაურე (დაატრიალე ატრაქციონი, იქ სასრიალო და საქანელაცაა – გამოიყენე სივრცე ხმების საწარმოებლად და ასევე დაუგდე ყური გარემოს ბუნებრივ ხმებს).
6. მიკროსკოპი – იქეცი მიკროსკოპად. აირჩიე ერთი მცირე მონაკვეთი – ბზარი ასფალტზე, ორმო, ერთი ციცქნა ობიექტი, აღწერე დეტალურად.
7. ამოუცნობი ნელი ობიექტი – უნდა იქცე ამოუცნობ ობიექტად სხვა პლანეტიდან. შენ ხარ ყველაზე ნელი არსება დედამიწაზე. პარკის შუაგულში დაიწყე შენელებული მოძრაობა და 2 წუთის განმავლობაში არ გამოხვიდე ამ როლიდან. შეგრძნებები და დაკვირვებები აღწერე.
8. ფოტომისია: 1 სასაცილო, 1 მშვენიერი, 1 საინტერესო რამ აღბეჭდე შენს ობიექტივში.
9. მოძებნე რაიმე მიგდებული ობიექტი. მოიფიქრე მისი წარსული – საიდან აღმოჩნდა აქ. სად იყო გუშინ. როგორ აღმოჩნდა აქ. გააპიროვნე.
10. აირჩიე ერთი სკამი. აქციე ის მონარქის სავარძლად, დროის მანქანად, მახედ ან პორტალად. მოიფიქრე ამბავი და დაწერე.

თამთა დოლიძე

არდადეგები საზაფხულო დავალებად

ზაფხულში მეცადინეობის პროცესი განსხვავებული უნდა იყოს. სასურველია, დავალების ფორმატი მუშაობის პროცესში ოჯახის წევრთა ჩართვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს ან მათთვის ემოციების გაზიარების სურვილს აჩენდეს. ასეა თუ ისე, საზაფხულო არდადეგების დავალების შედგენის დროს, მასწავლებლებს მართლაც მეტი დაფიქრება გვმართებს.

ზაფხულის არდადეგები ყველაზე მნიშვნელოვანი დროა დასვენებისთვის, თავგადასავლების ძიებისა თუ თვითგანვითარებისთვის. განათლების სპეციალისტები, ფსიქოლოგები და მშობლები დღემდე კამათობენ საზაფხულო დავალებების მოცულობასა და შინაარსზე. ჩემი აზრით, ზაფხულის დიდი ნაწილი ოჯახთან ერთად დასვენებას უნდა დაეთმოს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამი თვის განმავლობაში თუ არაფერი ვაკეთეთ, გასული წლის მანძილზე შეძენილი სასწავლო უნარ-ჩვევები შესაძლოა ხელახლა გამოსამუშავებელი გაგვიხდეს. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დაწყებით საფეხურზე. ამიტომაც, ყოველთვის ბევრს ვფიქრობ არდადეგების დავალების თემატიკაზე, ფორმასა თუ შინაარსზე. ზაფხულში მეცადინეობის პროცესი განსხვავებული უნდა იყოს. სასურველია, დავალების ფორმატი მუშაობის პროცესში ოჯახის წევრთა ჩართვის შესაძლებლობასაც ითვალისწინებდეს ან მათთვის ემოციების გაზიარების სურვილს აჩენდეს. ასეა თუ ისე, საზაფხულო არდადეგების დავალების შედგენის დროს, მასწავლებლებს მართლაც მეტი დაფიქრება გვმართებს.

ჩემს საგანში თითოეული სასწავლო საფეხურისთვის ფრთხილად ვარჩევ საზაფხულო საკითხავს, შემდეგ კი მათ შეძლებისდაგვარად მრავალფეროვან, დინამიკურ დავალებებს მივუსადაგებ. ამ მხრივ, ყველაზე მეტად მერთულება პირველკლასელთა დავალების შედგენა. მათთვის აუცილებელია, ცოტ-ცოტა, მაგრამ სისტემატურად იკითხონ და წერონ, რადგან ჯერ არ აქვთ სათანადოდ განმტკიცებული წერა-კითხვის ტექნიკური უნარ-ჩვევები. თუმცა აუცილებელი სულაც არ ნიშნავს რუტინულს, ამიტომ, პირველკლასელებისთვისაც ვადგენ საკითხავი ლიტერატურის სიას და მრავალფეროვან დავალებებს.

სამწუხაროდ, ახალბედა მკითხველებისთვის შესაფერისი ლიტერატურის სია მწირია, თუმცა მაინც მოიძებნება ცნობილი მეზღაპრეების (შარლ პერო და სხვ.), ქართული ხალხური ზღაპრებისა და საბავშვო მოთხრობების ადაპტირებული კრებულები, რომელთა მოცულობა, ლექსიკა თუ შინაარსობრივი მხარე 7 წლის მკითხველების ინტერესებსა და საჭიროებებს ერგება. თუ თქვენს მოსწავლეებს შორისაც არიან ახალბედა მკითხველები გაწაფული კითხვის სათანადო უნარებით, მათ შეგიძლიათ ზღაპრებზე ვრცელი ამბების წაკითხვა შესთავაზოთ, მაგალითად: დონალდ ბისეტის „ძია ტიკ-ტაკის თავგადასავალი“, ირმა მალაციძის „სატკბილეთის ქვეყანა“ ან ლელა ცუცქირიძის „ატუსა და მატუსა“.

პირადად მე, პირველი კლასიდანვე ვცდილობ, ე.წ. მკითხველის ჩანაწერების კეთებას შევაჩვიო ჩემი მოსწავლეები. ამიტომ ვურჩევ, ყოველი ზღაპრის, მოთხრობის თუ წიგნის თავის წაკითხვის შემდეგ, სასწავლო საფეხურის შესაბამის რვეულში ამოიწერონ პერსონაჟთა სახელები, დახატონ რჩეული გმირები და ჩაწერონ რვეულში მათი დამახასიათებელი, თვალსაჩინო თვისებები (მაგალითად: წითელქუდა არის მზრუნველი (ბებოსთან მიაქვს საჭმელი) და გულუბრყვილო (მგელს

ენდო)), შეაფასონ წაკითხული წიგნი მარტივ კონ-სტრუქციაზე (მე ამ ზღაპარში/წიგნში მომეწონა ... არ მომეწონა...) დაყრდნობით, დააფიქსირონ კითხვის შემდეგ აღძრული ემოცია (მე ამ ზღაპარ-მა/წიგნმა გამამხიარულა, დამაფიქრა, დამამ-წუხრა და ა.შ.), მოაწყონ მკითხველთა თეატრი ოჯახის წევრებთან ერთად საკუთარი ხელით დამზადებული ქაღალდის პერსონაჟებით/თო-ჯინებით და სხვ. ასევე შეგვიძლია, მოსწავლეებს თავად ზაფხული დავახასიათებინოთ (როგორია ზაფხული? რა ხდება ამ დროს მნიშვნელოვანი? მიყვარს თუ არ მიყვარს ზაფხული? რატომ?).

მეორე კლასიდან საკითხავი ლიტერატურის მეტი არჩევანია და შესაბამისად, უფრო მრავალფეროვანი, სხვადასხვა ინტერესებსა და საჭიროებებს მორგე-ბული დავალებების შედგენის საშუალება გვეძლევა. ზემოაღნიშნული „მკითხველის დღიურის“ წარმოებას ყველა კლასში ვითხოვ, თუმცა საკითხავი წიგნების რაოდენობა და შესასრულებელი დავალებები, ასაკის შესაბამისად, რთულდება. აი, მაგალითად:

ახალი საბავშვო გასართობების მოსინჯვა გნებავთ? ასტრიდ ლინდგრენის წიგნებში ამის მეტს რას ნახავთ?! თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ ამ შესანიშნავი შვედი მეზღაპრის დაუვიწ-ყარ პერსონაჟთა უსიამოვნო გამოცდილებას გაითვალისწინებთ და საკუთარ თავზე მხოლოდ სახალისო თავგადასავლებს გამოცდით. როცა ასტრიდის წიგნებს კითხულობთ, შეგიძლიათ იყოთ მეტისმეტად ბავშვური, მორწყათ ყვავილე-ბი წვიმაში ან გალუმპვამდე იხტუნოთ გუბეებში, წიგნის გმირებთან ერთად ითამაშოთ „მეკობრე-ობანა“, „ანგელოზობანა“ ან „ექიმობანა“, თქვენი სათამაშო მაიმუნი ბატონ ნილსონად აქციოთ ან მეგობრებს ცხენის (იმედია, ეს ცხენიც სათამაშო

განათლების სპეციალისტები, ფსიქოლოგები და მშობლები დღემდე კამათობენ საზაფხულო დავალებების მოცულობასა და შინაარსზე. ჩემი აზრით, ზაფხულის დიდი ნაწილი ოჯახთან ერთად დასვენებას უნდა დაეთმოს, თუმცა არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამი თვის განმავლობაში თუ არაფერი ვაკეთეთ, გასული წლის მანძილზე შეძენილი სასწავლო უნარ-ჩვევები შესაძლოა ხელახლა გამოსამუშავებელი გაგვიხდეს.

იქნება) აწევაში შეეჯიბროთ. შეგიძლიათ ესტუმროთ დეიდა ბერგის მსგავსად კეთილ მეზობლებს, რომლებიც ბავშვებს დიდებივით გულმოდგინედ უმასპინძლდებიან. შეადგინოთ ქალაქგარეთ მოგზაურობის გეგმა (პერსონაჟების ან პირადი), შემდეგ კი ე.წ. მოგზაურის ჩანახატების წიგნაკი (წიგნაკში უნდა ჩახატოთ პერსონაჟების ან თქვენ მიერ მონახულებული ადგილები და ნახატებს დაურთოთ მოკლე ჩანაწერები) შექმნათ. წიგნის გმირების მსგავსად, ალბათ თქვენც ესტუმრებით ბებიას და პაპას და გირჩევთ, მათთან გატარებული მნიშვნელოვანი დღეების დღიურში ჩაწერა არ დაგავიწყდეთ.

კულინარიით დაინტერესებულ მოსწავლეებს ვთავაზობ, ამოიწერონ პერსონაჟთა მიერ დაგემოვნებული კერძები, მოიძიონ რეცეპტები და ოჯახის წევრებთან ერთად სცადონ მათი მომზადება. მაგალითად, თუ მარია ფარის „ვაფლის გულებს“ კითხულობთ, სამაგიდო თამაშებით გულს რომ ოჯერებთ, შეგიძლიათ მოიძიოთ ბელგიური ვაფლის რეცეპტი, ოჯახის წევრებთან ერთად გამოაცხოთ და ბებოების მოთუხთუხებულ მურაბასთან ერთად დააგემოვნოთ. პეპის მაჭკატები ხომ არ დაგავიწყდათ? კარლსონის მურაბები ან შემწვარი გუფთები?.. დარწმუნებული ვარ, ყველა წიგნში იპოვით თქვენთვის საინტერესო გემრიელობას და ზაფხულის დასასრულს თქვენ მიერ მოძიებული რეცეპტების ერთგვარ კულინარიულ წიგნად შეკვრასაც შეძლებთ.

დაწყებით საფეხურზე ზაფხულში წასაკითხი წიგნებიდან ასევე გამოვარჩევ ანე-კატერინე ვესტლის დაუვიწყარ ამბავს ხელმოკლე, მაგრამ სიყვარულით სავსე მრავალსულიან ოჯახზე, სადაც მუდამ რვა ბავშვის შესაფერისი აურზაურია. იმდენი სათავგადასავლო დავალების იდეა მომდის თავში, რომ ბავშვები არჩევანის სიმწირეზე ნამდვილად ვერ დაიწუწუნებენ. მოსწავლეებს შეუძლიათ შეადგინონ „დიდედას მარშრუტი“ იმ თავის მიხედვით, როცა დიდედა ტრამვაით გასეირნებას გადაწყვეტს ან „დაემგზავრონ“ წიგნის პერსონაჟებს და ლაშქრობაში, საბარგო მანქანით თუ არა, კარვებით წავიდნენ, ტყეში კენკრა მოაგროვონ და „მოგზაურის დღიური“ (ბავშვებს შეუძლიათ აწარმოონ, როგორც წერილობითი, ასევე – ვიდეო დღიური) აწარმოონ. თუ სოფელში დასვენებას გადაწყვეტენ (წინაპართა სახლში საჩხირკედელაოს რა დალევს?!), პერსონაჟთა მსგავსად, შეუძლიათ უფროსებს სახლის შეკეთებაში დაეხმარონ ან ხის ძველი იატაკი და კარ-ფანჯარა სასურველი ფერის საღებავით შეღებონ.

გალამაზებულ სახლში სტუმრების მოწვევასაც აღარაფერი უდგას წინ. ჰოდა, ამ წიგნში ისეთ საინტერესო თამაშებს აღმოაჩენენ, პატარა სტუმარს დიდ მოვლენად რომ აგრძნობინებს თავს, უფროსებს კი ბავშვობაში ამოგზაურებს.

თუ ზაფხულში ბევრს მოგზაურობთ, მაშინ „მოგზაურის რუკის“ შედგენას გირჩევთ. აირჩიეთ ერთი ქალაქი, სოფელი თუ სალაშქრო ადგილი, რომელსაც ზაფხულში ესტუმრეთ და შეადგინეთ იმ ადგილის რუკა. ფურცელზე მონიშნეთ/დახატეთ ის ღირსშესანიშნაობები, რომლებიც ნახეთ, დანმრეთ თქვენ მიერ დახატული ადგილები და რუკას დაურთეთ მათი მოკლე აღწერა შესაბამისი ნომრების მითითებით. მოგზაურს მხოლოდ რუკა არ ეყოფა, მან ასევე უნდა ჩამოწეროს საჭირო ნივთების სია, რომლის შემადგენელი ნაწილია საკვებიც. ჩამოწერეთ ე.წ. სასარგებლო სასუსნავების სია. დაფიქრდით, რომელი საკვებია თქვენთვის თან ჯანსაღი და თან გემრიელი და მხოლოდ ამის შემდეგ გაამზადეთ საგზალი.

თუ მოგზაურობა ძალიან გიყვართ, მაგრამ ამ ზაფხულს შორეული ლაშქრობის დაგეგმვა ვერ მოახერხეთ, გული არ დაგწყდეთ, იმ სოფლის სახლის ეზო დალაშქრეთ, რომელსაც ესტუმრებით. ჯერ ეზოს დეტალური რუკა შეადგინეთ, მოიარეთ მისი ყველა კუთხე-კუნჭული და მონიშნეთ რუკაზე ყველა „სტრატეგიული ობიექტი“. შემდეგ კი მოძებნეთ საუკეთესო საპიკნიკე ადგილი (მაგალითად, ხეხილის ბაღი ან ვენახი) და მოლაშქრის შესაფერისი სუფრა გაშალეთ. დამიჯერეთ, სამზარეულოდან აწაპნილ ყველისა და პურის ნაჭერს, ნაკვერჩხალზე შემწვარ „მოპარულ“ სიმინდს, ბოსტანში მოძებნილ კიტრსა თუ ხიდან საკუთარი ხელით მოწყვეტილ ხილს დაუვიწყარი გემო აქვს.

ძნელად წარმოსადგენია არდადეგები საოჯახო კინოთეატრის გარეშე. რა სჯობს ერთად სახალისო ფილმების ყურებას, საერთო ემოციის განცდას და შთაბეჭდილებების გაზიარებას?! სამწუხაროდ, დაწყებით საფეხურზე იშვიათად უყურებენ ქართულ მხატვრულ თუ ანიმაციურ ფილმებს, ამიტომ ხშირად საკითხავ ლიტერატურას არდადეგებზე სანახავი ფილმების სიასაც ვურთავ. ერთ-ერთი ფილმი, რომლის ნახვასაც მოსწავლეებს ვურჩევ, არის „არდადეგებზე“, რომელიც რეჟისორმა მერაბ კოკოჩაშვილმა 1962 წელს გადაიღო. მოსწავლეებს ვთხოვ, ფილმის ნახვის შემდეგ მისწერონ წერილი პერსონაჟებს. ძალიან მაინტერესებს, რას ურჩევენ მოუსვენარ და-ძმას, როგორ შეაფასებენ მათი მამის გადაწყვეტილებას, რით გაამართლებენ ან გაამტყუნებენ მათ ამა თუ იმ საქციელს. უფროსკლასელებს აუცილებლად დავაფიქრებ ქალაქისა და სოფლის ცხოვრებას შორის არსებულ განსხვავებაზე, რაც, ჩემი აზრით, შესანიშნავად ჩანს ქალაქიდან ჩამოსული მშობლისა და შვილების და სოფელში მცხოვრები როსტიასა და მამამისის ურთიერთობის ამსახველ სცენებში. უმცროსკლასელებს ფილმის აფიშის დამზადებას ვთხოვ, უფროსებს კი – ფილმზე მოკლე რეცენზიის დაწერას. თუ რომელიმე მოსწავლე ფილმის გადაღების ტექნიკური საკითხებით დაინტერესდება, მას კინემატოგრაფიის ისტორიის მოძიებას შევთავაზებ. ჩვენს თაობას კი ახსოვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თანამედროვე მოზარდებს არ ეცოდინებათ, რომ ძველად ფილმებს ფირზე იღებდნენ, რომ თავიდან კინო იყო შავ-თეთრი და „მუნჯი“. წარმოიდგინეთ, რამდენი საინტერესო დავალების შეთავაზება შეიძლება ფილმის შექმნის სათავეებთან მიბრუნებული მოსწავლეებისთვის...

ზაფხულის მიწურულს ერთგვარი მოგონებების სკივრის შექმნას გირჩევთ. მაინც როგორ უნდა შეინახოთ ზაფხული? როგორ და, უნდა შეაგროვოთ სამახსოვრო ნივთები/სუვენირები (მუზეუმის ან სხვა ადგილების ბილეთები, სამოგზაურო რუკები, მაცივარზე მისაკრავები, ნიჟარები და სხვ.), ზაფხულის ფერები და სურნელი (მცენარეები/ყვავილები), განსაკუთრებული დღეების ამსახველი ფოტოები და მოათავსოთ თემატურად გაფორმებულ ალბომში ან მუყაოს ყუთში. თითოეულ „ექსპონატს“ გაუკეთეთ ბარათი მოკლე ჩანაწერით (საიდანაა ეს ნივთი, რატომაა მნიშვნელოვანი და ა.შ.). ალბომს/ყუთს აუცილებლად დააწერეთ თარიღი. გავა წლები და ეს ნივთები თქვენი ბავშვობის ერთ-ერთი ზაფხულის მნიშვნელოვან ამბებს, ფერებს და განწყობებს გაგახსენებთ.

ახლა, როცა ამ წერილს ვწერ, ზაფხულის ყველაზე მნიშვნელოვანი თავგადასავლისკენ მიმეჩქარება. იმ დავალებებს, რაც ჩემი მოსწავლეებისთვის შევადგინე, როგორც წესი, თავადაც ვასრულებ და სკოლაში დაბრუნების შემდეგ, მოსწავლეებთან ერთად წარვადგენ. სხვა თუ არაფერი, „მოგონებების ალბომს“ აუცილებლად შევქმნი. მერე რა, რომ დიდი ხანია ბავშვი აღარ ვარ. ზაფხული მასწავლებლებსაც ისევე გვახარებს, როგორც – მოსწავლეებს. ჰოდა, თქვენც ბედნიერ, მრავალფეროვან და დაუვიწყარ ზაფხულს გისურვებთ, ჩემო ძვირფასო მასწავლებლებო!

მაია ფირჩხაძე

ZEEMAP-ის ინტერაქტიური პლატფორმა მოსწავლეთა მოტივაციისა და დიფერენცირებული მუშაობისათვის

თანამედროვე მოსწავლის ინტერესის და მოტივაციის მართვა მარტივი არ არის. ამ მიზეზის გამო მასწავლებლები ძირითადად ორიენტირებული არიან თამაშზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს ფორმირებაზე. ისინი ცდილობენ გეიმიფიკაციის პრინციპების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის და სწავლების პროცესის გამარტივებისთვის.

თანამედროვე მოსწავლის ინტერესის და მოტივაციის მართვა მარტივი არ არის. ამ მიზეზის გამო მასწავლებლები ძირითადად ორიენტირებული არიან **თამაშზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს ფორმირებაზე**. ისინი ცდილობენ გეიმიფიკაციის პრინციპების გამოყენებას მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისთვის და სწავლების პროცესის გამარტივებისთვის.

თამაშის ელემენტებით გამდიდრებული საგანმანათლებლო სივრცე რეალურად არის მოსწავლის აკადემიური წინსვლის მხარდამჭერი, თუმცა არსებობს სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებზე დამყარებული მიდგომებიც, რომელიც ცოდნის აგების მეტ საშუალებას აძლევს მოსწავლეს.

ზოგადად, თამაშის ტექნოლოგია თავისი ხასიათით, ყველა ინტერაქტიურია, მაგრამ ყველა ინტერაქტიური მიდგომა **არ არის თამაში**. ინტერაქტიური მიდგომა უფრო ფართო ცნებაა, თამაშის ტექნოლოგია კი უფრო მისი სპეციფიკური, სტრუქტურირებული ტიპია.

სათამაშო ტექნოლოგიის მიზანი მოსწავლის მოტივაციის ამაღლება, ჩართულობის გაძლიერება და სწავლის სახალისო პროცესად გადაქცევაა. **თამაშის** ტექნოლოგიის **(Game-based learning, Gamification) გამოყენების დროს აქცენტი კეთდება:**

- თამაშის ელემენტებზე (მაგალითად, ქულებზე, სხვადასხვა დონის დაძლევაზე, ბეიჯებზე და ა.შ. მაგალითად, ასეთად შეიძლება განვიხილოთ ონლაინ თამაში, სადაც მოსწავლე ასრულებს დავალებებს და აგროვებს ქულებს);
- თამაშის სტრუქტურაზე (აქვს კონკრეტული სიუჟეტი, თამაშის მიზანი და, რაც მთავარია, თამაშის წესები);
- ის შეიძლება შეიცავდეს როგორც კომპიუტერულ, ისე რეალურ, ფიზიკურ თამაშებსაც (მაგალითად, როლური თამაშები).

ინტერაქტიური მიდგომები /Interactive learning methods) სათამაშო ტექნოლოგიებისგან განსხვავებით:

- უფრო მჭიდრო ურთიერთობას და კომუნიკაციას გულისხმობს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის:
- ამ დროს უფრო ფართო ადგილი აქვს აქტიურ, შემოქმედებით და თანამშრომლობით სწავლებას და გაცილებით საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობები გვხდება, როგორიცაა დისკუსია-დებატები, ინტერაქტიურ რუკაზე მუშაობა, ჯგუფური სამუშაო, კითხვა-პასუხის რეჟიმი და ა.შ.

ინტერაქტიური მიდგომების მიზანი შემეცნებითი ჩართულობის გაძლიერება, კრიტიკული აზროვნების განვითარება და ცოდნის ტრანსფერია. ასეთი დავალებაა, როდესაც, მაგალითად მოსწავლეები ჯგუფებად მუშაობენ და ინტერაქტიურ რუკაზე აღნიშნავენ ისტორიულ ძეგლებს, მოვლე-

ნათა ადგილებს, თან აკავში-
რებენ ფოტოებს, ვიდეო და
აუდიო მასალას და უკეთებენ
აღწერას.

კომპონენტი	თამაშის ტექნოლოგია	ინტერაქტიური მიდგომა
მთავარი მიზანი	მოტივაცია თამაშის გზით	აქტიური სწავლის ხელშეწყობა
ფორმა	თამაში ან თამაშის ელემენტების გამოყენება სწავლებაში	თანამშრომლობითი, დიალოგური, აქტიური აქტივობების წარმართვა
ტექნოლოგიური მოთხოვნები	ხშირად იყენებს სპეციალურ აპლიკაციებს	შეიძლება იყოს თუნდაც მარტივი დაფა და სტიკერები
დინამიკა	ქულები, გამოწვევები, დონეების დადგენა	კითხვა-პასუხი, კვლევა, პრეზენტაცია

რა აირჩიოს მასწავლებელმა
– თამაშის ტექნოლოგიაზე გააკე-
თოს აქცენტი თუ ინტერაქტიურ
მიდგომაზე, რომელიც მოიცავს
თამაშის ელემენტებსაც?

საკუთარ პრაქტიკაში, საზო-
გადოებრივი მეცნიერებე-
ბის გაკვეთილებზე, მსგავს
შემთხვევებში, აქტიურად
გამოიყენება ZeeMap.
მიუხედავად იმისა, რომ
ZeeMap არ მიეკუთვნება
უშუალოდ თამაშის ტექნო-
ლოგიებს (მაგ., გეიმიფიკა-
ციას ან საგანმანათლებლო
თამაშებს), შესაძლებელია
მისი დაპროექტება თამაშის
ელემენტებით:

- რუკაში „ჩავაშენოთ“ დავალებები, მაგალითად, „მონიშნე რუკაზე კონკრე-ტული ეკლესია-მონასტერი, ან ისტორიული ძეგლი“;
- ან მოსწავლეებს ქრონოლო-გიური ნიშნით მოვანიშნოთ კულტურული მემკვიდრე-ობის ძეგლები;
- ან რუკაზე შესასრულებელ დავალებას მივცეთ გუნდუ-რი მუშაობის ხასიათი და ა.შ.

მსგავს შემთხვევებში **ZeeMap** რეალურად როგორც შეიძ-ლება განვიხილოთ თამაშის ტექნოლოგიის მხარდამჭერი ელემენტი. ამ კუთხით, რამდენა-დაც ZeeMap შეიცავს სათამაშო ტექნოლოგიის ელემენტებს, ის ხელს უწყობს სწავლების ინკლუ-ზიურობას და მოსახერხებელია დიფერენცირებული დავალებე-ბის შესრულებითვისაც.

ნიმუში: ინტეგრირებული სწავლების მაგალითი (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) **ZeeMap**-ის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ინკლუ-ზიურ და დიფერენცირე-ბულ დავალებებს:

საგანი: „ჩვენი საქართველო“

კლასი: V-VI

თემა: „ჩვენი საქართველოს“ რეგიონები, მათთვის და-მახასიათებელი ბუნება და ცნობილი ადამიანები.

საგნობრივი ამოცანა:

- ისტორიული რეგიონის კულტურული მემკვიდრე-ობის ამოცნობა (ისტორიის მიმართულებით);
- ბუნებრივი პირობებისა და მდებარეობის შეფასება (გეოგრაფიის მიმართულე-ბით) და
- მოქალაქეობა (რომელიც გულისხმობს მოქალაქეობ-რივი პასუხისმგებლობის გააზრებასა და გარემოზე ზრუნვას).

დავალებები ინტერაქტიურ რუკაზე მოსწავლის ცოდნისა და უნარების დონის მიხედვით:

ცოდნისა და უნარების დონე	დავალება	აქტივობის მახასიათებელი
დაბალი	მონიშნე რუკაზე შენი რეგიონის მთავარი ქალაქი და დაამატე ერთი ფოტო ან სიმბოლო, რომლითაც გამოარჩევ მას სხვა ცენტრებიდან.	ესაა მინიმალური ტექსტის და მინიმალური ვიზუალური აღქმის მქონე მოსწავლე.
საშუალო	დაასახელე რეგიონის 2 ისტორიული ძეგლი და ბუნებრივი თავისებურება. მონიშნე ის რუკაზე, შეგიძლია გამოიყენო სიმბოლოებიც.	მცირე ტექსტზე ორიენტირებული დავალება, რომელიც წერითაც მცირე დავალების შესრულებას მოითხოვს მოსწავლისგან.
მაღალი	მოამზადე რეგიონის პრეზენტაცია ZeeMap-ის გამოყენებით – მოამზადე რუკა, მონიშნე, დაიტანე ზედ მინიმუმ 3 ელემენტი: ისტორიული, გეოგრაფი-ული და სამოქალაქო განათლების კუთხით.	ძირითადად ესაა პროექტზე დაფუძნებული სწავლა, რომელიც მოსწავლეთა კვლევითი უნარების გააქტიურებაზეა ორიენტირებული.

თამაშის ელემენტებით გამდიდრებული საგანმანათლებლო სივრცე რეალურად არის მოსწავლის აკადემიური წინსვლის მხარდამჭერი, თუმცა არსებობს სწავლების ინტერაქტიურ მეთოდებზე დამყარებული მიდგომებიც, რომელიც ცოდნის აგების მეტ საშუალებას აძლევს მოსწავლეს.

დავალებების დიფერენცირებული ხასიათი:

- მოსწავლე, რომელსაც აქვს წერის სირთულე (უჭირს წერა), შეავსებს რუკას მხოლოდ ფოტოებით და ხმოვანი აღწერით;
- მოსწავლე, რომელსაც არ უჭირს სივრცობრივი აზროვნება ან ეს მისი ძლიერი მხარეა, რუკაზე მონიშნავს გზებს, მდინარეებს ან მარშრუტებს;
- ხოლო იმ მოსწავლეს, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა, შესაძლებელია ჯგუფური დავალება შევთავაზოთ და მას დაეხმარება მეწყვილე, ან გუნდის წევრები;
- ან მიიღებს მოკლე ინსტრუქციას, გრაფიკული სახით შეასრულოს დავალება (პიქტოგრამები, ფერები).

მაგრამ **ZeeMap**, თავისთავად, არ წარმოადგენს თამაშს ან თამაშის ტექნოლოგიას, ის უფრო გეოინფორმაციული-საგანმანათლებლო ციფრული ინსტრუმენტია, რომელიც მოსახერხებელია პროექტებზე დაფუძნებული სწავლებისთვის, საგნობრივი კვლევისთვის და ვიზუალური პრეზენტაციებისთვის. ამგვარი მიდგომის დროს „ჩვენი საქართველოს“ სწავლება პროექტული სწავლების ფორმით მიმდინარეობს.

მაგალითი 1 – პროექტი „როგორ იცნობ შენს რეგიონს?“ ZeeMap-ის გამოყენებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის

მუშაობის ეტაპები:

1. მოსწავლეები ირჩევენ ერთ რეგიონს (მაგ: თბილისი)
2. მასზე აკეთებენ ჩანაწერს (მონიშვნას) **ZeeMap**-ზე:
   - გეოგრაფიული მახასიათებელი: მდინარე, რელიეფი;
   - ისტორიული ძეგლი: ნარიყალას ციხე;
   - მოქალაქეობრივი გამოწვევა: ნარჩენების პრობლემა ქალაქში.
3. პრეზენტაცია – ჯგუფურად ან ინდივიდუალურად (სიტყვიერად ან ვიზუალურად).

ZeeMap-ის ეფექტურობა მოცემულ შემთხვევაში:

- ყველა მოსწავლე მუშაობს ერთ რუკაზე, თუმცა დავალების შესრულების ინდივიდუალურ გზას ირჩევს: ტექსტით, ფოტოთი ან ხმოვანი გზავნილით (აუდიოგიდით);
- მოსწავლე გაიაზრებს თავისი რეგიონის კულტურულ, გეოგრაფიულ და საზოგადოებრივ მახასიათებლებს;
- აქტიურდება საგნობრივი ინტეგრაცია და ციფრული წიგნიერების უნარები.

მაგალითი 2 – პროექტი საბაზო და საშუალო საფეხურისთვის: „ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები ZeeMap-ის გამოყენებით“

მუშაობის ეტაპები:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს ტაო-კლარჯეთის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში;
2. მოსწავლეები იკვლევენ და შეისწავლიან ინფორმაციას კონკრეტულ ძეგლებზე (მაგალითად, ოშკი, იშხანი, პარხალი, ხანძთა, ბანა, შატბერდი და სხვ.);
3. შექმნიან ვიზუალურ რუკა-ს ZeeMap-ზე, სადაც აღნიშნავენ ამ მხარის (თანამედროვე თურქეთის ტერიტორია) ეკლესია-მონასტრებს, ციხეებსა და ისტორიულ ადგილებს. ამისთვის:
   - მოსწავლეები რუკაზე ამატებენ თითოეულ ძეგლს როგორც **პუნქტს (marker)** – შესაბამისი გეოგრაფიული კოორდინატების გამოყენებით;
   - თითოეულ წერტილს ურთავენ ფოტო/ილუსტრაციას, მოკლე აღწერას (ისტორია, არქიტექტურა), საინტერესო ფაქტს ან ნებისმიერ ტექსტურ ინფორმაციას, თუნდაც შეკითხვას;
4. მოსწავლეები წარადგენენ რუკას – გააკეთებენ პრეზენტაციას კლასში, ან სკოლის მასშტაბით (პროექტის გეგმის შესაბამისად), წარადგენენ თავიანთ რუკას, გააზიარებენ ბმულით და შეაფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს.

მაგალითი: მოცემული პროექტის ფარგლებში მოსწავლეთა მიერ შექმნილი რუკა https://shorturl.at/h8mWZ

ინტერაქტიურ რუკა ZeeMap -ზე მუშაობის შედეგები:

- ისტორიული აზროვნების განვითარება: მოსწავლე იკვლევს და აანალიზებს კონკრეტულ მოვლენას, მოქმედებს დროსა და სივრცეში;
- გეოგრაფიული კომპეტენცია: მოსწავლე ორიენტირებს სივრცეში, ახდენს საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ლოკალიზაციას;

- ვითარდება ღირებულებითი განათლების მიმართულებით: იაზრებს, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობა არ მთავრდება ქვეყნის ფიზიკური საზღვრებით;
- ციფრული უნარების განვითარება: სწავლობს ციფრულ რესურსზე მუშაობას, ციფრულ რედაქტირებას, ინფორმაციის გადმოცემას ვირტუალურად;
- დიფერენცირებული სწავლების მიმართულებით: მოსწავლე ირჩევს მასზე მორგებულ აქტივობას: ტექსტურს, ვიზუალური, ხმოვანი / აუდიო ფორმით;
- მუშაობს ინდივიდუალურად, ან წყვილში, ან გუნდურად.

მაგალითი – „ოშკის ტაძარი“

- მოვნიშნოთ ოშკის ტაძრის წერტილი (კოორდინტი) ZeeMap-ზე: ჩრდილო-აღმოსავლეთი თურქეთი, ართვინის პროვინციაში;
- დავამატოთ ტაძრის ფოტო - ახლანდელი მდგომარეობა;
- დავურთოთ ისტორია: აშენდა X საუკუნეში დავით III-ის, ტაოელი ბაგრატიონის მიერ და ა.შ.
- დავამატოთ ვიდეო-მასალა ან აუდიო/გიდი
- და ა.შ.

პროექტის შეფასების რუბრიკა მოიცავს პრეზენტაციის, კვლევის, თანამშრომლობისა და ციფრული კომპეტენციის უნარებს.

შეფასების კრიტერიუმი	3 ქულა (უმაღლესი დონე)	2 ქულა (საშუალო დონე)	1 ქულა (საწყისი დონე)
სწორად მონიშნული გეოგრაფიული ობიექტები	5-ზე მეტი ლოკაცია სწორადაა განსაზღვრული და წარმოდგენილი რუკაზე	3-5 ლოკაციაა წარმოდგენილი ძირითადად სწორად	1-2 ლოკაციაა წარმოდგენილი ან გაურკვეველი მდებარეობით
ინფორმაციის სიზუსტე და სიღრმე	ტექსტები ინფორმატიულია, მოიცავს ისტორიულ ფაქტებს, თარიღებსა და მახასიათებლებს	ტექსტი ზოგადია, მაგრამ ისტორიული შინაარსი ჩანს	ტექსტი ზედაპირულია ან შეცდომებით
ვიზუალური და მულტიმედიური ელემენტები	გამოყენებულია ფოტოები, ბმულები ან ვიდეოები, რაც აუმჯობესებს პრეზენტაციას	გამოყენებულია მხოლოდ ფოტოები ან ლინკები	ვიზუალური მასალა საერთოდ არ არის გამოყენებული
მონაწილეობა და თანამშრომლობა	ჯგუფის ყველა წევრი აქტიურად მონაწილეობს; პასუხისმგებლობები გადანაწილებულია	მონაწილეებმა იმუშავეს ერთად, მაგრამ უთანასწორო ჩართულობა შეიმჩნევა	მუშაობა ძირითადად ინდივიდუალურია ან ჯგუფში იყო პრობლემები
პრეზენტაციის ხარისხი (წარდგენა)	გამართული მეტყველება, ლოგიკური სტრუქტურა, კითხვებზე პასუხები	წარმოდგენა ზოგადია, პასუხები მოთხოვნის მიხედვით	არ იყო მკაფიო, შინაარსი გაუგებარი ან პასუხები არაეფექტიანი
ციფრული უნარები (ZeeMap-ის გამოყენება)	სრულად და ეფექტურად გამოყენებულია ZeeMap-ის ყველა ფუნქცია (მონიშვნა, ტექსტი, ბმული და ფოტო)	გამოყენებულია ძირითადი ფუნქციები, ნაწილობრივ – ტექსტი და მონიშვნა	გამოყენებულია მხოლოდ ერთი ფუნქცია ან რუკა ძალიან შეზღუდულია

ინტერაქტიურ რუკაზე მუშაობით მოსწავლემ გამოიყენა არატრადიციული მიდგომა, გაუაქტიურდა კრეატიულობა, გახდა უფრო მოტივირებული, რეფლექსიური (აღწერს, რა გააკეთა, რატომ, რა ისწავლა პროექტის ფარგლებში) და უფრო წარმატებული სასწავლო პროცესში.

ნათელა ბაღათრიშვილი

ნანა ნიბლაძე
ნინო ქიტესაშვილი

არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარების სტრატეგიები

ბუნებისმეტყველების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბება. ეს უნარი მოსწავლეებში განსხვავებული ხარისხით არის განვითარებული და ასაკთან ერთად იხვეწება.

ბუნებისმეტყველების სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის უნარის ჩამოყალიბება. ეს უნარი მოსწავლეებში განსხვავებული ხარისხით არის განვითარებული და ასაკთან ერთად იხვეწება. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როდესაც საკუთარი მოსაზრების დასაბუთებულად წარდგენა და დაცვა მოზრდილი ადამიანისთვისაც პრობლემას წარმოადგენს. უდავოა, რომ სასკოლო განათლებას ბევრი შეუძლია გააკეთოს ამ მიმართულებით.

ქვემოთ წარმოდგენილი „მმმ“ სტრატეგია შემუშავებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული გადამზადების პროექტის ფარგლებში მოდულის სახელწოდებით „აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველებაში“. იგი შემუშავებულია მოსწავლეებში არგუმენტირებული, ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებული მსჯელობის უნარის განვითარებისათვის. აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით არგუმენტირებული მსჯელობა შედგება სამი დამოუკიდებელი და ამავდროულად, აუცილებელი კომპონენტისაგან. ესენია: მტკიცება, მტკიცებულება და მსჯელობა. საერთო პირველი ასოდან („მ“) გამომდინარე, სტრატეგიამ მიიღო „მმმ“ სახელწოდება. ქვემოთ წარმოდგენილია მმმ სტრატეგიის თითოეული კომპონენტის განმარტება/დახასიათება (ცენტრი მ. პ.გ., 2007).

მტკიცება	მტკიცებულება	მსჯელობა
რაიმე საკითხის შესახებ გაკეთებული დასკვნა; პოზიცია, რომელსაც იცავენ დისკუსიის/დებატების დროს; კითხვაზე პასუხი ან პრობლემის გადაჭრის შედეგად მიღებული პასუხი; თეზისი, ან დებულება, რომლის დამტკიცებასაც აპირებენ; დებულება, რომელიც ეზუსტებს ამა თუ იმ კანონზომიერებას (მაგ., ცვლადებს შორის დამოკიდებულებასა და კორელაციას, პროცესებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს).	დეტალები, რომლებიც ასაბუთებენ მტკიცებას: რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები; ის, რაც ნამდვილად ჭეშმარიტებაა (აქსიომაა); ის, რასაც იგივე პირობებში დაინახავს/მიიღებს ნებისმიერი; ის, რაც მუდმივად მეორდება; ნებისმიერი სანდო ინფორმაცია, რომელიც გაამყარებს მტკიცებულებას. ახსნა იმისა, თუ რატომ ასაბუთებს კონკრეტული მტკიცებულება მტკიცებას;	მტკიცებასა და მტკიცებულებებს შორის კავშირის ახსნა; მონაცემების ინტერპრეტაცია; რაიმე სამეცნიერო პრინციპის მოყვანა, რომელიც ხსნის მტკიცებულებას

უფრო ხშირად მმმ სტრატეგია გამოიყენება წერილობითი და ზეპირი დავალებების შესრულების დროს, როდესაც მოსწავლემ უნდა დაასაბუთოს თავისი მოსაზრებები ინფორმაციის დამუშავების, სტატისტიკური და გრაფიკული მონაცემების გაანალიზების, ექსპერიმენტის ჩატარების, სამეცნიერო ტექსტის გააზრების, დაკვირვების შედეგების გაანალიზების შემდეგ. სტრატეგიის გამოყენების არსი ის გახლავთ, რომ მოსწავლემ მსჯელობა ააგოს მოცემული ჩარჩოს – მტკიცება-მტკიცებულება-მსჯელობა – გამოყენებით. სხვა სიტყვებით, სტრატეგიის გამოყენება გულისხმობს, რომ მოსწავლემ უნდა:

- წარმოადგინოს მტკიცება – საკუთარი მოსაზრება, რომელიც მას ჩამოუყალიბდა განსაზღვრულ ინფორმაციაზე დაყრდნობით;
- მოიყვანოს მტკიცებულებები, რომელსაც ეფუძნება მისი მოსაზრება;
- დაასრულოს მსჯელობით, რომელიც გააერთიანებს და ლოგიკურად შეკრავს წინა ორ კომპონენტს.

ა) მტკიცება მათზე დაფუძნებით და ბ) მსჯელობა, რომელიც ახსნის, რატომ გამომდინარეობს მტკიცება მოცემული მტკიცებულებებიდან. შესაძლებელია სტრატეგიის გამოყენება საპირისპირო მიმართულებითაც: მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს მტკიცებას და ავალებს ა) მოძებნონ მტკიცებულებები მის დასამტკიცებლად და ბ) წარმოადგინონ შესაბამისი მსჯელობა. განხილული ვარიანტები ითვლება სტრატეგიის გამოყენების უფრო რთულ შემთხვევად და ემსახურება მაღალ საზროვნო უნარების განვითარებას მოსწავლეებში.

არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებისთვის გთავაზობთ კიდევ ერთ სტრატეგიას, რომელიც დაფუძნებულია ვიდეორესურსების ანალიზზე. მნიშვნელოვანია, რომ შერჩეულ იქნეს სხვადასხვა პრობლემაზე ფოკუსირებული ვიდეორესურსი. ბუნებისმეტყველების გაკვეთილისთვის ეს შეიძლება იყოს, გარემოსდაცვითი საკითხები, გარემოს დაბინძურებით გამოწვეული საფრთხეები, ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა, ასაკობრივი განვითარების სირთულეები და სხვა,

სამუშაო ფურცელი – მოცემული მტკიცების მიხედვით, მტკიცებულებისა და მსჯელობის დაწერა

მტკიცება
მტკიცებულება
მსჯელობა

სტრატეგიის გამოყენების აუცილებელი პირობაა, მსჯელობა მოიცავდეს სამივე კომპონენტს. რაც შეეხება ეტაპების თანმიმდევრობას, საჭიროების მიხედვით, შესაძლოა მათი თანმიმდევრობის შეცვლა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მასწავლებელს შეუძლია, სტრატეგია გამოიყენოს მოდიფიცირებული ფორმითაც – საკუთარი სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად, მისცეს მოსწავლეებს მტკიცებულებები და სთხოვოს მათ, წარმოადგინონ – რომელთა დამუშავებაც მდგრადი განვითარების მიზნებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესის დაგეგმა-დანერგვასაც შეუწყობს ხელს. პროცესი რომ უფრო თვალსაჩინო გახდეს – მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს პრობლემას, რომელიც აღწერილია ვიდეოში, მოსწავლეებს ურიგებს ინდივიდუალურ, ვიდეოს ანალიზისთვის შექმნილ სამუშაო ფურცლებს, რომლებზეც ვიდეოს ნახვის პარალელურად ან/და შემდეგ აკეთებენ ჩანაწერებს.

სამუშაო ფურცელი – ვიდეოს ანალიზისთვის

წთ.	აღწერე პრობლემა

	რატომ მიიჩნევ პრობლემად? მოიყვანე შესაბამისი არგუმენტი

განხილული სტრატეგიების ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე გამოყენება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობის უნარების განვითარებას, რაც 21-ე საუკუნის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი უნარი და კომპეტენციაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაღათრიშვილი ნ., კაპანაძე მ. (2019). საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარება კვლევაზე დაფუძნებული სწავლებისას. თბილისი: მერიდიანი.
2. სიმონ ჯანაშია, შორენა საძაგლიშვილი, & მზია წერეთელი. (2008). პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა. თბილისი: ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი.
3. ცენტრი, მ. პ. გ. (2007). როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სატრენინგო მასალები, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება.

გთავაზობთ, გარემოსდაცვით პრობლემასთან და ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებულ რამდენიმე ბმულს:

https://www.youtube.com/watch?v=WTRt0qTA67o&t=99s – გარემოს დაბინძურება;

https://www.youtube.com/watch?v=K952GxTBWOE&t=4s – დაზოგე ენერგია;

https://www.youtube.com/watch?v=g4UvPirpPYU&t=121s – ჯანსაღი ცხოვრების წესი;

https://www.youtube.com/watch?v=d4WwVdcApTY&t=4s – თამბაქო მავნებელია;

https://www.youtube.com/watch?v=Sv_AVOB-YLk – ინტერნეტდამოკიდებულება.

აღნიშნული სტრატეგია მოითხოვს მოსწავლისგან პრობლემის აღწერას და დასაბუთებას ვიდეოში მოცემული არგუმენტების გამოყენებით. როგორც ვიცით, ვიზუალურ მხარეზე აქცენტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ასაკში და ზოგადად დაწყებით საფეხურზე, რადგან ხელს უწყობს მოტივაციის ამაღლებასა და ინტერესის გამოწვევას.

თანამედროვე პირობებში კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებას დიდწილად უწყობს ხელს გამჭოლი კომპეტენცია – კვლევითი სწავლება. მას საფუძვლად უდევს პრობლემური სწავლება. კვლევითი სწავლება გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარზეა მიმართული. მოსწავლეები სწავლობენ რიგი ექსპერიმენტული პრობლემების გადაჭრას, მათ თეორიულ დასაბუთებას. ჯგუფურ და ინდივიდუალურ მსჯელობას, პრობლემის გადაჭრას, შედეგების განხილვას. ვინაიდან ბუნებისმეტყველება თავის თავში მოიცავს კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას, ეს კიდევ ერთხელ ამყარებს მოსაზრებას, რომ სწორედ ბუნებისმეტყველების სწავლებისას ვითარდება კრიტიკული აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარები. (ჯანაშია, 2008)

ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე მსჯელობის უნარებს კარგად რომ ავითარებს კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, ეს კარგად ჩანს 5 E სასწავლო ციკლისა და კვლევითი ციკლის მოდელებში, რომელიც აქტიურად გამოიყენება აშშ-სა და ევროპის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ (ბაღათრიშვილი ნ., კაპანაძე მ, 2019, გვ. 44-47).

5 E სასწავლო მოდელის 5 საფეხურიდან მსჯელობის უნარების განვითარებას უწყობს ხელს ახსნა-განმარტებების, ანალიზი-განვრცობისა და შეფასების საფეხურები. მსჯელობა კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს სასწავლო ციკლის მოდელში, რომლის მიხედვითაც მოსწავლეს უწევს ვარაუდების გამოთქმა, მათ შესამოწმებლად ექსპერიმენტების განხორციელება და შეჯამება. ნებისმიერი კვლევითი აქტივობის განხორციელების დროს, კვლევის ყველა ეტაპზე მნიშვნელოვანია მსჯელობა. ვარაუდების გამოთქმის დროსაც კი, რომელიც შესაძლოა არც კი გამართლდეს, მოსწავლეს მოჰყავს ფაქტი, რის საფუძველზე გამოთქვა ესა თუ ის ვარაუდი, რამ უბიძგა ამ მოსაზრებისკენ. სხვა შემთხვევაში, ჰიპოთეზირება იძენს აზროვნების მიღმა დარჩენილი მექანიკური პროცესის ხასიათს. მსჯელობასა და ლოგიკურ აზროვნებას მოითხოვს ექსპერიმენტების დაგეგმვის პროცესი. ყველაზე მეტად კი მსჯელობა სჭირდება მონაცემთა ანალიზს, რადგან მოსწავლემ უნდა გააანალიზოს კავშირი დამოკიდებულსა და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის, ახსნას, რატომ მოხდა ესა თუ ის მოვლენა, როგორ გამართლდა მისი ვარაუდი, რა მოხდებოდა სხვა ცვლადებზე დაკვირვების შემთხვევაში და სხვა. საგულისხმოა, რომ ექსპერიმენტების ჩატარების შემთხვევაში მოსწავლეებს ჯგუფის წევრებთან უწევთ დისკუსია, ზეპირი მსჯელობა, შემდეგ კი აუცილებელია კვლევის ანგარიშში ასახვა, რაც მსჯელობის წერილობით გამოხატვის უნარის განვითარებას უწყობს ხელს.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვთქვათ, განხილული სტრატეგიების ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე გამოყენება ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მსჯელობის უნარების განვითარებას, რაც 21-ე საუკუნის ადამიანისათვის მნიშვნელოვანი უნარი და კომპეტენციაა.

ლელა მანგოშვილი

წლიური განმავითარებელი შეფასება დაწყებით კლასებში

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე.

ამ ტიპის შეფასებას მასწავლებლები იყენებენ, როგორც სწავლების პროცესში, კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შემდეგ, ასევე – სემესტრისა და წლის ბოლოს.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შედგენილი დაწყებითი საფეხურის გზამკვლევი – ქართული (I-IV). გზამკვლევში ჩაშენებულია ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი (I-IV კლასები – გვ.4).

გრძელვადიანი მიზნები ჩამოყალიბებულია საგნობრივი სამიზნე ცნებებისა და საფეხურის შედეგების სახით.

თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება 6 შედეგი. მოცემულია შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით (გვ. 11). შედეგი მოიცავს, როგორც უნარებსა და ფაქტობრივ მასალას, ისე მიზანს/დანიშნულებას, რისთვისაც მოსწავლეს შეძენილი ცოდნა სჭირდება.

ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა;
- ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა;
- ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით.

სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით;
- მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა;
- სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა.

გრამატიკა (პრატიკული) (შედეგები: (I).5, 6)

მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება;
- გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას;
- სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება;
- მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა;

მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება ასახავს მათ მიერ მიღწეულ პროგრესს სასწავლო წლის დაწყებიდან დასრულებამდე.. ამ ტიპის შეფასებას მასწავლებლები იყენებენ, როგორც სწავლების პროცესში, კონკრეტული დავალების/აქტივობის შესრულების შემდეგ, ასევე – სემესტრისა და წლის ბოლოს.

როგორ ვაფასებთ კონკრეტულ დავალებას/აქტივობას?

ნებისმიერი წერითი/ზეპირი დავალების (შემოქმედებითი, შემაჯამებელი, სადიაგნოსტიკო ტესტი, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაცია, როლური თამაში და ა.შ.) განმავითარებელი შეფასება უნდა ეფუძნებოდეს თემის ფარგლებში სტანდარტით განსაზღვრული შედეგების მიღწევის ინდიკატორებს, სამიზნე ცნებების მიხედვით.

გთავაზობთ შეფასების სარეკომენდაციო ნიმუშს კონკრეტული დავალებისთვის.

გრძელვადიანი სამიზნე ცნებები:
ტექსტი (ჟანრი); გრამატიკა (პრაქტიკული).

დავალების პირობა – გაიხსენე ლექსი – „მზე და მთვარე“ და შექმენი კომიქსი.

შეფასების კრიტერიუმები:

ნამუშევარში, დიალოგურ ღრუბლებში ჩაწერე:

- რა ბრძანა თავმომწონე მთვარემ.
- რას ამბობს მზე, გამოკვეთე მისი ორი უპირატესობა.
- გადმოეცი სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.
- მართებულად გამოიყენე სასვენი ნიშნები.

დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკების საფუძველზე ვწერთ შესრულებული სამუშაოს ანალიზს, რა შეძლო/ვერ შეძლო მოსწავლემ.

დავალება N1 – ანალიზი

მოსწავლის სახელი, გვარი	სამიზნე ცნება–ტექსტი		სამიზ.ცნება გრამატიკა	რეკომენდაცია
	დიალოგური ღრუბლებით წარმოაჩინა მზისა და მთვარის პოზიცია.	გადმოსცა სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.	მართებულად გამოიყენა სასვენი ნიშნები.	
	✓	✓	✓	
	✓	✓	✓	
	✓	✓	ნაწილობრივ	
	ნაწილობრივ	✓	✓	
	ნაწილობრივ	ნაწილობრივ	✓	
	✓	✓	✓	
	✓	✓	✓	
	✓	✓	✓	
	✓	✓	ნაწილობრივ	

ამგვარად ვწერთ ყველა დავალების განმავითარებელი შეფასების ანალიზს და საბოლოო შედეგებს ავსახავთ მოსწავლეთა მიღწევების დიაგნოსტირების ინსტრუმენტში.

დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

სამიზნე ცნება	შეფასების კრიტერიუმებსა და სამიზნე ცნებებთან მიმართებით მოსწავლემ უნდა შეძლოს:
ტექსტი (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)	დიალოგური ღრუბლების დახმარებით წარმოაჩინოს მზისა და მთვარის პოზიცია. გადმოსცეს სხვა პერსონაჟების ფიქრები, განცდები, სათქმელი.
გრამატიკა (შედეგები: (I). 5, 6)	**მართებულად გამოიყენოს სასვენი ნიშნები.**

N	სახელი, გვარი	დავალება	მოსწავლის შედეგი			მასწავლებლის რეკომენდაცია
			ტექსტი	სიტყვიდან ტექსტამდე	გრამატიკა	1. წინადადების აგებისას ყურადღება გაამახვილოს გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვაზე. 2. მართებულად გამოიყენოს სასვენი ნიშნები.
		N 1	✓		✓	
		N 2		✓	ნაწილობრივ	
		N 3	✓		ნაწილობრივ	

წლის ბოლოს, ქართული ენისა და ლიტერატურის (I-IV) სტანდარტისა და მოსწავლის მიერ შესრულებული ყველა დავალების შედეგის გათვალისწინებით, ვწერთ საბოლოო განმავითარებელ შეფასებას.

გთავაზობთ სარეკომენდაციო ნიმუშს.

N	მოსწავლის სახელი, გვარი	მოსწავლეს შეუძლია	რეკომენდაცია
1		**სამიზნე ცნება – ტექსტი (ჟანრები) (შედეგები: (I).1, 2, 3, 4, 5)** • კონკრეტული ჟანრის ტექსტის გაგება, ჟანრული მახასიათებლების ამოცნობა; • ტექსტის ხმამაღლა, გამართულად და შეუფერხებლად წაკითხვა (მეტ-ნაკლებად); • ნაცნობი ჟანრის მცირე ზომის ტექსტის (მაგ., წერილის) შექმნა ნასწავლი ლექსიკისა და ჟანრული მახასიათებლების ცოდნის გამოყენებით. **სამიზნე ცნება – სიტყვა, წინადადება, ტექსტი (შედეგები: (I).4, 5, 6)** • მიზნის შესაბამისი სამეტყველო ქმედების (მაგ., თხრობის, აღწერის, დასაბუთების) • განხორციელება ზეპირად ან/და წერილობით; • მიზნის შესაბამისი ლექსიკისა და ენობრივი საშუალებების შერჩევა; • სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვა **(მეტ-ნაკლებად)**; **სამიზნე ცნება – გრამატიკა (პრაქტიკული) (შედეგები: (I).5, 6)** • სიტყვის მორფოლოგიური აგებულების, სიტყვის ფორმაცვალების კონკრეტული წესის ამოცნობა და მათი ცოდნის ფუნქციურად გამოყენება; • გრამატიკული ფორმების მართლწერის წესების დაცვა წინადადების/ფრაზის აგებისას; • სასვენი ნიშნების (წერტილის, კითხვისა და ძახილის ნიშნების, მძიმის) მართებულად გამოყენება **(მეტ-ნაკლებად)**; • მართლმეტყველების, კალიგრაფიისა და მართლწერის ელემენტარული ნორმების დაცვა.	ივარჯიშოს კითხვის ტექნიკის გასაუჯობესებლად (ხმამაღლა იკითხოს ყოველდღე მცირე მოცულობის ტექსტი). ყურადღება გაამახვილოს სამეტყველო ეტიკეტის ნასწავლი ნორმების დაცვასა და სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ენა და ლიტერატურა – დაწყებითი საფეხურის (I-IV) გზამკვლევი (შედგენილია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით).

ინა იმედაშვილი

აღარ მინდა თამაში! გავარღვიოთ მოჯადოებული წრე და დავამარცხოთ სიძულვილის დემონები

ვერც ჩვენი თაობა, ვერც ჩვენი წინა თაობა და ვერც იმის წინა ვერ გამოვედით სიძულვილის დაუსრულებელი დერეფნიდან, ვერ გავარღვიეთ მოჯადოებული წრე, ვერ გადავლახეთ ეგო, ვერ ვისწავლეთ ადამიანების მიღება, ვერ ვისწავლეთ უპირობო სიყვარული.

რამდენიმე ხნის წინ ერთი კარგი ბიჭი გავიცანი, მეშვიდეკლასელი, ძალიან ჭკვიანი და გონიერი. რატომღაც გული გადამიშალა და მესაუბრა იმაზე, რა ხდება მის სკოლაში, რომელიც, ჩემდა გასაოცრად, ერთ-ერთი ქალაქის პრესტიჟული საჯარო სკოლა აღმოჩნდა. ბიჭუნა მომიყვა, რომ კლასის ბიჭები ორ ნაწილად არიან გაყოფილი, მათ შორის მუდმივი დაპირისპირება და ჩხუბია. დანებიც კი დააქვთ თან, რადგან დაჩაგვრის ეშინიათ. აღმოვაჩინე, რომ ე.წ. ქურდული მენტალობის რომანტიზება ისევ ძალას იკრებს, რომ „საქმის გარჩევები“ ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. გაოცებული ვუსმენდი და ერთადერთი კითხვა მიტრიალებდა თავში: „სად არის მასწავლებელი? რას აკეთებს მასწავლებელი? ან სად არიან მშობლები? ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ მათი შვილები უსასრულო შავ ხვრელში ეშვებიან?!“

პასუხი მარტივი და ამავე დროს მწარე იყო: მასწავლებელს არ სცალია და თითქოს „არ იცის“, „ვერ (თუ არ?) ხედავს“ პრობლემას, ხოლო მშობლები... ისინი უმთავრესად ემიგრაციაში არიან, ბებია-ბაბუებს კი პრობლემისთვის თავის გასართმევად საკმარისი ენერგია ალბათ აღარ აქვთ.

პრობლემა კი მწვავე და ღრმაა. ძალადობა და, სამწუხაროდ, მკვლელობები, რომელთა ამბებს ყოველდღე ვიგებთ სოციალური ქსელიდან, ამ ყველაფრის სავალალო შედეგია. ბულინგმა მოიცვა დღევანდელი სამყარო და ამ ყველაფრის მაგალითს, სამწუხაროდ, ჩვენ – დიდები, უფროსები ვიძლევით.

ვერც ჩვენი თაობა, ვერც ჩვენი წინა თაობა და ვერც იმის წინა ვერ გამოვედით სიძულვილის დაუსრულებელი დერეფნიდან, ვერ გავარღვიეთ მოჯადოებული წრე, ვერ გადავლახეთ ეგო, ვერ ვისწავლეთ ადამიანების მიღება, ვერ ვისწავლეთ უპირობო სიყვარული. დღევანდელი ტელევიზიები, სოციალური ქსელები, ქუჩები, მარკეტები, სკოლები და ბაღებიც კი სავსეა დამთრგუნველი ენერგიით, და ამ ენერგიით ვკვებავთ სიძულვილის, შიშისა და ნგრევის დემონებს. და ამ მტრულ გარემოში, თავმოხდილი ჭეებით (სასიკვდილო უფსკრულებით) სავსე ქუჩებში, გამოყენებული ნემსებითა და სიგარეტის ნამწვებით სავსე საბავშვო სკვერებში, გვინდა ჯანსაღი თაობის გაზრდა, იმ თაობის, რომელიც ღრუბელივით ისრუტავს გარემოს, ენერგიას, იზრდება შიშსა და შფოთვაში, მონატრებასა და აუხდენელ სურვილებში, იზრდება და ამდენი წლის დალექილი უხეშ სიტყვებს, გულგრილობას, მიტოვებას, სიძულვილსა და ყოველდღიურ ძალადობას ერთ დღესაც შადრევანივით ამოაფრქვევს. მერე გვიკვირს: რატომ? მერე ვდარდობთ, ეს როგორი თაობა მოდისო, მერე ვიწყებთ გადაბრალებას: ინტერნეტის ბრალია, გაჯეტების ბრალია, მეგობრების ბრალია, ტიკ-ტოკის ბრალია, დროების ბრალია, ამის ბრალია, იმის ბრალია...

დამნაშავეა ყველა და ყველაფერი, ოღონდ ჩვენ არა. ჩვენი სიძულვილი ჩვენთვის უხილავია, ჩვენ მიერ გამოკვებილი დემონები კი ახლა ჩვენი შვილებისკენ იცქირებიან და ხელების ფშვნეტით ელიან ახალ ლუკმას. და ეს ჯაჭვი უსასრულოდ გრძელდება, თუ ისევ ჩვენ არ მოვინდომეთ მისი გაწყვეტა, თუ ისევ ჩვენ არ ჩავეხსენით, აი, ბავშვობაში რომ ვთამაშობდით ხოლმე და თამაშიდან გავდიოდით: აღარ მინდა თამაში, გავათავე ლავაში. უნდა გავიდეთ ამ თამაშიდან და, ბოლოს და ბოლოს, ვკითხოთ ჩვენს შვილებს, როგორ არიან, ხომ არაფერი უჭირთ.

ბოლო დროს მსოფლიო შეძრა ბრიტანულმა მინი სერიალმა „გარდატეხის ასაკი“, რომელშიც ცხადად გამოჩნდა ჩვენი ბავშვების, ჩვენი ახალგაზრდების პრობლემები, თურმე რამხელა უბედურებასთან უხდებათ ბრძოლა, თურმე სკოლებიც რა საზარელ ადგილად ჩამოყალიბებულა, სადაც არავის არაფერი ესმის და არავინ არაფერი იცის. ბრძოლა მარტივი არ არის, ბრძოლაში მებრძოლები იცვლებიან, ისინი აღარ იქნებიან უწინდებურად უდარდელები, უწინდებურად კეთილები და უწინდებურად ბავშვურები, ბრძოლა აფიქრებს, აბერებს და ასხვაფერებს ადამიანებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი მხარე მილიონთავიანი ურჩხულია და გვებრძვის უამრავი სოციალური ქსელის, შიშებისა და კომპლექსების საშუალებით. თან ბავშვები, როგორც ჩანს, მარტოები არიან – მშობლებს არ სცალიათ, მასწავლებლები ვერ ხედავენ.

რა ვქნათ, როგორ მოვიგერიოთ ასე მომრავლებული ურჩხულები და დემონები, როგორ გადავარჩინოთ ჩვენი ბავშვები, რომ ბრძოლამ მათ არ წაართვას ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: ბავშვობა და უდარდელობა? როგორ ავარიდოთ საფრთხეს, რომელიც ყოველ ნაბიჯზეა?

ბავშვები ყველაზე უკეთ მაგალითებით სწავლობენ, მაგალითი კი ძალიან ბევრია: პირადი ისტორიები, კინოფილმები, ანიმაციები, წიგნები.

ერთმა წიგნმა შესაძლოა ბევრი რამ შეცვალოს, ამიტომ მოდი, დავიწყოთ წიგნებით, წავიკითხოთ, გავიაზროთ, ვისაუბროთ, მოვაწყოთ დებატები, ვიფიქროთ პრობლემებზე.

ნიკოლო ამანიტი – „მე და შენ“

ლორენცო კუნი საკუთარ თავში ჩაკეტილი 14 წლის ბიჭია, მეგობრები არ ჰყავს და კლასელებიც ხშირად იგდებენ აბუჩად. ის ხვდება, რომ ერთადერთი გამოსავალი აქვს: სხვებს უნდა დაემსგავსოს და ისე მოიქცეს, „როგორც ბუზი, რომელიც საშიშ კრაზანას ბაძავს“. თუმცა მან ისიც იცის, რომ მიბაძვა მხოლოდ ნიღაბია, ერთგვარი თამაში, მოზარდების სასტიკ და აგრესიულ სამყაროში გადარჩენის ერთადერთი საშუალება. ლორენცო თავს ბედნიერად მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა მარტოა. მოულოდნელად ამ მყუდრო მარტოობაში მისთვის უცხო ადამიანი, 23 წლის ნახევარდა შემოიჭრება, რომელთან ერთად გატარებული რამდენიმე დღეც მას სამყაროს სხვაგვარად დაანახვებს.

წიგნი ხელმისაწვდომია ელექტრონულად: https://www.lit.ge/book/282523-me-da-shen-nikolo-amaniti/

ლორი ჰოლც ენდერსონი – „ილაპარაკე“

„ბოლო ათ წელიწადში, „ილაპარაკეს“ შესახებ ნახევარ მილიონზე მეტ სკოლის მოსწავლეს ვესაუბრე. მიღებული და წაკითხული წერილებისა თუ მეილების თვლას, დიდი ხანია, თავი დავანებე. არც კი ვიცი, რამდენმა მკითხველმა დაღვარა ცრემლი ჩემს მხარზე, როცა მიყვებოდნენ, მელინდას ბრძოლაში საკუთარ ბრძოლას ვხედავთო. თქვენ ხმის ამაღლება მოგწყურებიათ. თქვენ უბრალოდ გჭირდებათ, ზრდასრულებმა მოგისმინონ. იმაზე

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა სცადოს ამ მრავაწლიანი თამაშიდან გასვლა, ჩვენი შვილები მაინც უნდა გავიყვანოთ მოჯადოებული წრიდან, თუ ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა.

ფიქრი მახარებს, რომ „ილაპარაკე“ საკუთარი ხმის პოვნაში მცირედ, მაგრამ მაინც გეხმარებათ. მაგრამ „ილაპარაკე“ მხოლოდ იარაღია. ნამდვილი გმირები ისინი ხართ, რომლებმაც საკუთარ თავში მხნეობა იპოვეთ, გადალახეთ შიში, სირცხვილი, დეპრესია, ბრაზი და თქვენი ცხოვრების ამბების მოსაყოლად ალაპარაკდით. მე თქვენ დიდ პატივს გცემთ“, – წერს წინასიტყვაობაში წიგნის ავტორი. სხვადასხვა დროს მრავალი ადამიანი აღმოჩენილა ძალადობის, დაცინვის, ბულინგის მსხვერპლი. ამ ყველაფრისგან თავის დაცვის ერთ-ერთი მთავარი იარაღი ლაპარაკია – პრობლემებზე, მოძალადეზე, შიშებზე... „ილაპარაკე“ სწორედ ამ, საკუთარი თავიდან, შიშიდან, ჩაკეტილი სივრციდან გამოსვლის აუცილებლობაზეა.

https://www.lit.ge/book/193929-ilaparake-lori-holc-endersoni/

არ ჯეი პალასიო – „საოცრება“
https://sulakauri.ge/wignebi/saotsreba/

ერნე სვინგენი – „ბალადა გატეხილ ცხვირზე“
https://sulakauri.ge/wignebi/balada- gatekhil-tskhvirze/

ქეთრინ ერსკინი – „ჯაფარა“
https://sulakauri.ge/wignebi/japhara/

ჯეი აშერი – „ცამეტი მიზეზი“
https://saba.com.ge/books/details/3667

ლინდა მალალი ჰანთი – „თევზი ხეზე“
https://sulakauri.ge/wignebi/thevzi-kheze/

ჯესიკა სკოტ-უაიტი – „კლუბი ასპარაგუსი“
https://sulakauri.ge/wignebi/klubi-asparagusi/

მასწავლებელს ასი თვალი და ასი ყური სჭირდება, არც ერთი ყურმოკრული უხეში ფრაზა არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ, არც ერთი მოწყენილი სახე და სევდიანი ღიმილი. შეიძლება საკლასო ოთახში ანონიმური ყუთის დადგმაც და კლასის „ბულინგის საწინააღმდეგო კოდექსის“ შექმნაც, რომელსაც ბავშვები თავად შეიმუშავებენ და თავადვე დააწესებენ ამ კოდექსის დარღვევისთვის „ჯარიმებს“.

ხდება ისეც, რომ საკლასო ოთახში სიმშვიდეა, მაგრამ კიბერბულინგი მძვინვარებს. ხშირად გამიგონია მასწავლებლებისგან, ამ დროს ოჯახია უფრო მნიშვნელოვანიო, მასწავლებელმა რა უნდა ქნასო. მესმის მათიც, ხანდახან რაღაცნაირად ძალიან უსუსურები ვართ აუტანლად დიდი აგრესიისა და დაუნდობლობის წინაშე, მაგრამ, მოდი, ჩვენ ჩვენი გასაკეთებელი გავაკეთოთ, ჩვენ ნუ გავიხედავთ გვერდზე, როდესაც სკოლის გარეთ ბავშვები საქმეს არჩევენ, ჩვენ ჩვენი ვცადოთ.

https://www.stopbullying.gov/

ამ შესანიშნავ საიტზე ვნახავთ უამრავ მოკლე ანიმაციასა და ფილმს ბულინგის შესახებ. ეს დაგვეხმარება ბულინგის არსის გააზრებაში, გაკვეთილების დაგეგმვაში.

თითოეულმა ჩვენგანმა უნდა სცადოს ამ მრავაწლიანი თამაშიდან გასვლა, ჩვენი შვილები მაინც უნდა გავიყვანოთ მოჯადოებული წრიდან, თუ ჩვენთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. ისინი, ვისაც ჩვენ გავიყვანთ სამშვიდობოს, მერე თავად გამოგვიწვდიან ხელს და თავად იქცევიან იმ ხიდად, თაობებს შორის რომ გაიდება და ამ ხიდის მთავარი აგური ჩვენი დადებული იქნება.

ინტერნეტგაზეთი
WWW.MASTSAVLEBELI.GE
სამასწავლებლო | კედლის გაზეთი | გალერეა | პედსაბჭო | ზარია! | კონტაქტი
www.mastsavlebeli.ge
განათლება – თავისუფლებაა!
www.mastsavlebeli.ge

მოსწავლე როგორც აქტიური მოქალაქე

დათია ბადალაშვილი

თანამედროვე პედაგოგიურ წრეებში სულ უფრო აქტიურად განიხილება მოქალაქეობრივი განათლების როლი ახალგაზრდის თვითშეგნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ფორმირებაში. გლობალური და ადგილობრივი გამოწვევების ეპოქაში, სადაც საჯარო სივრცეები სუსტდება და სკოლა რჩება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სივრცედ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობების განსავითარებლად.

სამოქალაქო განათლება ვერ დაიყვანება მხოლოდ საკანონმდებლო ჩარჩოების, ადამიანის უფლებათა ან დემოკრატიული ინსტიტუტების ზედაპირულ სწავლებაზე. მისი ჭეშმარიტი ფუნქცია მდგომარეობს ღირებულებით წვრთნაში – იმ ღირებულებების გააზრებასა და ინტეგრაციაში, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ თანაცხოვრებას: თავისუფლება, სამართლიანობა, თანასწორობა, პასუხისმგებლობა, სოლიდარობა. მოსწავლე, რომელიც იღებს ამ ღირებულებებს როგორც პირად ეთიკურ კოდექსს და არა მხოლოდ საგნობრივ მასალად, იწყებს საკუთარ თავში მოქალაქის ხატის მშენებლობას.

მოქალაქეობა ხშირად გვესმის როგორც სტატუსი – ვინ ხარ სამართლებრივად. თუმცა სამოქალაქო განათლების მიზანი არის მოქალაქეობის გააზრება როგორც პროცესისა, რომელიც უწყვეტია, მოძრავი და დროში გარდამავალი. ეს პროცესი მოითხოვს პიროვნულ ზრდას, კრიტიკულ გააზრებას და ეთიკურ მოქმედებას. აქტიური მოქალაქეობა არ ვლინდება მხოლოდ არჩევნებზე მისვლით ან წესრიგის დაცვით. იგი იწყება კითხვით, ინტერესით, არგუმენტით და ბოლოს ქმედებით. სკოლა კი უნდა იქცეს იმ სივრცედ, სადაც ეს პროცესი იწყება – სიტყვისგან ქმედებამდე.

მასწავლებელი, რომელიც ასწავლის სამოქალაქო განათლებას, მოქმედებს არა როგორც ინფორმაციის ტრანსლატორი, არამედ როგორც მოდერატორი, სარკე და გზამკვლევი. ის ქმნის გარემოს, სადაც მოსწავლე არ მხოლოდ სწავლობს, არამედ ეჭვობს, სვამს კითხვებს, უარყოფს და ხელახლა იკრებს იმ ღირებულებებს, რომლებიც შექმნიან მის საზოგადოებრივ იდენტობას. ამ კონტექსტში სწავლება აღარ არის მხოლოდ საგნობრივი აქტივობა – ეს არის ეთიკური პოზიცია, პროფესიული მოწოდება და დემოკრატიული ხელოვნების ფორმა.

სკოლა, რომელიც აღიქვამს საკუთარ თავს მხოლოდ აკადემიური მიზნების სივრცედ, ვერ უზრუნველყოფს მოქალაქეობრივი ცნობიერების აღზრდას. სკოლამ უნდა აღიაროს საკუთარი ფუნქცია, როგორც დემოკრატიის მინიატიურული მოდელი – სივრცე, სადაც მოსწავლეს ეძლევა სიტყვის უფლება, გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა და საკუთარი მოქმედებების შედეგის განცდა. მხოლოდ ამ გზით იქმნება ის სიმბოლური კონსტრუქცია, რომელსაც საზოგადოება უწოდებს „მოქალაქეს“ – არა მხოლოდ სახელით და გვარით, არამედ ღირებულებითად და მოქმედებით.

სამოქალაქო განათლება დღეს აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც დანართი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაში. იგი წარმოადგენს ღირებულებითი წერტილიდან დაწყებულ გზას, რომელიც პიროვნებას ეხმარება საკუთარი თავის, სხვისი და სამყაროს მიმართ პასუხისმგებლობით მოქმედებაში. მოსწავლე, როგორც აქტიური მოქალაქე, არ იბადება თავად. იგი იქმნება სივრცეში, სადაც მას უსმენენ, სთავაზობენ, ეუბნებიან და ასწავლიან, როგორ უნდა იცხოვროს ღირებულებებისმიერი მოქმედებით. ეს გზა იწყება სკოლის საკლასო ოთახში – იქ, სადაც მასწავლებელი არ არის მხოლოდ პროფესია, არამედ მოქალაქეობრივი წრის შემოქმედიც.

დიანა ანფიმიადი

დამოუკიდებელი მეცადინეობა: მოზარდის პასუხისმგებლობა და რუტინა

ამას წინათ სკოლის მეგობარს შევხვდი. მასაც ჩემი შვილის ასაკის შვილი ჰყავს, ანუ თინეიჯერი – 14 წლის. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი, კლასელების ამბები, მშობლების ჯანმრთელობა, შვილებსაც მივადექით:

– არის რა, ისევე როგორც მისი ასაკის ყველა ბავშვს, მეცადინეობა აღარ უნდა, – მითხრა თავისი და, უნდა ვაღიარო, ჩემი გულისტკივილიც. ჩემთანაც ასევეა: 13 წლის გახდა თუ არა, მეცადინეობა მისთვის საძულველ რუტინად იქცა, მე კი – ვიღაც საშინელ ოჯახის წევრად, რომელიც სწავლას აიძულებს.

თინეიჯერობა ჰორმონულ და ფსიქოლოგიურ ცვლილებებთან ერთად აკადემიური წესრიგის ცვლილებაცაა. სწავლების საბაზო და მაღალი საფეხურის მასწავლებლები დამეთანხმებიან, რომ სწავლის მოტივაცია თანდათან იკლებს და მეცადინეობაც უფრო და უფრო რთულდება.

რა თქმა უნდა, არსებობენ მოსწავლეები, რომლებსაც ყველა ასაკში იდეალური სასწავლო უნარები, პასუხისმგებლობა და მოტივაცია აქვთ. მათ მშობლებსა და მასწავლებლებს გაუმართლათ, ეს სტატია მათთვის არ არის.

მოკლედ, მოტივაცია იკლებს, პასუხისმგებლობა კი ჯერ არ არის სათანადო სიმაღლეზე, შედეგად კი შეუსრულებელ დავალებებსა და გაუარესებულ აკადემიურ მოსწრებას ვიღებთ.

მთავარი ამ ასაკში დამოუკიდებლად მეცადინეობის ჩვევაა, რომელიც დაწყებითი კლასების მთავარი ნაყოფი, შედეგი თუ უნარია, მაგრამ როგორ მოვიქცეთ, თუ ეს ჩვევა სათანადოდ ვერ განვითარდა? ყველა ჩვენგანი ხანდახან მაინც ხომ ყოფილა მშობელი, რომელიც შვილს გვერდით უზის და მეცადინეობაში ეხმარება. ზოგჯერ უამისოდ უბრალოდ შეუძლებელია.

დამოუკიდებლად მეცადინეობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უნარია, რომელიც მოსწავლეს სკოლის გარეთაც მიჰყვება – უნივერსიტეტში, სამსახურსა თუ პირად ცხოვრებაში. თუმცა მოზარდისთვის მისი ათვისება ადვილი არ არის: ის მოითხოვს მოტივაციას, დროის მართვას, თვითორგანიზებასა და პასუხისმგებლობას. მოზარდისთვის ამ უნარის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მასწავლებლებსა და მშობლებს, მაგრამ მნიშვნელოვანია, ჩვენი დახმარება იყოს თანადგომა და არა ზედამხედველობა.

კვლევებით დადგენილია, რომ წარმატებული მოსწავლეები თავად ადგენენ მიზნებს, გეგმავენ სწავლის პროცესს, იყენებენ სტრატეგიებს და ახდენენ თვითშეფასებას. ანუ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევა, სწავლისა და სწავლების სტრატეგიების ცოდნა პირდაპირ არის დაკავშირებული წარმატებასთან. ეს მნიშვნელოვანი მოდულია, რომლის განვითარება სწავლების ერთ-ერთი პრიორიტეტია.

როგორ დავეხმაროთ მოზარდს სრულყოფილი და ორგანიზებული დამოუკიდებელი სწავლის პროცესის განვითარებაში?

1. სწავლის რუტინა

მოზარდს სჭირდება სტაბილური გარემო, რომელშიც სწავლა მისი ცხოვრების ბუნებრივ ნაწილად იქცევა:

ა. დრო – ყოველდღე ერთსა და იმავე დროს გამოვყოფთ სამეცადინოდ.

ბ. ფიზიკური სივრცე – მშვიდი, მოწესრიგებული ადგილი განათებით, ნივთებით, რომლებიც ყურადღებას არ უფანტავს.

2. მიზნების დასახვა

სწავლა გაცილებით ეფექტურია, როდესაც დავალებები კონკრეტულ, მიზნობრივად შესასრულებელ ამოცანებად არის დახარისხებული. მნიშვნელოვანია, ეს ამოცანები სწორად იყოს დალაგებული – მარტივიდან რთულისკენ.

3. ყოველდღიური და ყოველკვირეული გეგმა

დაეხმარეთ მოზარდს კვირის გეგმის შედგენაში. თავდაპირველად ერთად შეადგინეთ, მერე დამოუკიდებლად შეადგენს.

4. ბალანსი

ზედმეტი კონტროლი ამცირებს მოზარდის მოტივაციას და ზრდის დაძაბულობას. ფსიქოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ ავტონომიის განცდა ზრდის მოტივაციას, ინტერესსა და პასუხისმგებლობას.

5. მასწავლებლობანა

ყველაზე უკეთ ვიცით ის, რისი სხვებისთვის ახსნაც შეგვიძლია, ამიტომ მეგობრებისა და კლასელების ჯგუფური მუშაობა ან შთაბეჭდილებისა და ცოდნის ოჯახის წევრებისთვის გაზიარება უფრო მეტად განამტკიცებს მოზარდის ცოდნას.

6. გადატვირთულობა

შეამოწმეთ, რეალისტურია თუ არა გეგმა, გამოძებნეთ სასწავლო გრაფიკში თავისუფალი დრო, რომ მოზარდმა ამოისუნთოს. რაც მთავარია, არ გამოიყენოთ სწავლა დასჯის ფორმად.

7. გამეორება

პერიოდული გადახედვა განამტკიცებს ცოდნას და ააქტიურებს ინფორმაციას. გამეორების დღეების გრაფიკი შეგიძლიათ ცვალოთ.

წარმოგიდგენთ ერთი კვირის გეგმას დამოუკიდებლად მეცადინეობის უნარის გასავითარებლად. ეს ცხრილი მოსწავლეს მისცემს საშუალებას, თავად გაანაწილოს სამუშაო, დრო, შესასრულებელი ამოცანების თანმიმდევრობა და არაფერი გამორჩეს.

ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7	გაკვეთილების ცხრილი 1. 2 3 4 5 6 7
წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება	წერითი დავალება
ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება	ზეპირი დავალება
ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება	ყველაზე რთული დავალება
ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება	ყველაზე მარტივი დავალება
დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის	დრო გამეორებისთვის
დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა	დამატებითი მასალა
თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი	თვითშეფასება: რა გამიძნელდა რა გამიადვილდა რა მოვასწარი რა ვერ მოვასწარი



ლევან ლორთქიფანიძე

რუსეთის საბედისწერო პარადიგმა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიხედვით ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკა წარმოადგენს. მაშასადამე, სახელმწიფოს დონეზეა აღიარებული, რომ საქართველო ყველაფერს უნდა აკეთებდეს ჩრდილოეთიდან მომავალი აგრესიის თავიდან ასაცილებლად.

სამოქალაქო საზოგადოების ერთ ნაწილს დამპყრობელთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად ვერბალური ჯანყი მიაჩნია. ისინი ჩხუბობენ, ყვირიან, ილანძღებიან, დამამცირებელ და შეურაცხმყოფელ სიტყვებს აფრქვევენ, გულს იოხებენ და ფიქრობენ, რომ ეროვნული უსაფრთხოების ამოცანის გადაწყვეტაშიც ლომის წილი მიუძღვით. საუბედუროდ, ასე მარტივად არ არის საქმე, მხოლოდ ბრაზითა და მისი გამოხატვით საქმე არ კეთდება. ერთ-ერთი მთავარი იარაღი, რომელიც მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიძლება გამოგვადგეს, ეს ცოდნაა. განსაკუთრებით კი რუსეთის პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური წარსულის გააზრება გვჭირდება.

თუმცა, რუსეთის შესახებ ცოდნის დაგროვების გზაც დანაღმულია. იდეოლოგიზებული მეცნიერები ათწლეულია ქარხნული წესით აწარმოებენ წიგნებსა და სახელმძღვანელოებს, რომელთა მიზანი ისტორიის სარკის გამრუდება და სიმართლის სიცრუით ჩანაცვლებაა. დანაღმულ ველზე შესვლა საქართველოში არავის სურს. ნელ-ნელა ქრება ინსტიტუტები, რომელთაც საკითხის შესწავლა ოფიციალურად ევალებოდათ. მაგალითად, ქვეყნის N1 უნივერსიტეტში რუსეთისმცოდნეობის განყოფილება პრაქტიკულად აღარ არსებობს.

ურთულესი ვითარების მიუხედავად, უდაბნოში მაინც დაეხეტებიან იდეალისტები, ეძებენ საუკეთესო მასალებს და ცდილობენ, ნაპოვნი მარგალიტები ჩვენც გაგვიზიარონ. მეუდაბნოეთა შორის აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ მარინა და ირაკლი ლომოურები.

და-ძმა ლომოურებმა შეუძლებელი შეძლეს. მათ გულდასმით წაიკითხეს ქართული წარმოშობის თანამედროვე რუსი მწერლის, ინტელექტუალისა და საზოგადო მოღვაწის – ბორის აკუნინის ცხრატომეული „რუსეთის სახელმწიფოს ისტორია“.

გრიგოლ ჩხარტიშვილი (ბორის აკუნინის ნამდვილი სახელი და გვარი) პროფესიით ისტორიკოსია, ბოლო რამდენიმე ათეული წელია უამრავ დროს უთმობს რუსეთის წარსულის გააზრებას. მისი მიზანია, ისტორიის მეცნიერება და ლიტერატურა ერთმანეთთან დააკავშიროს და თანამემამულეებს ადამიანურ ენაზე, პოლიტიკური კლიშეების გარეშე მოუყვეს მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფოს წარსული. რაც მთავარია, აკუნინს სხვებთან შედარებით მორალური უპირატესობა აქვს. ჩხარტიშვილი მხოლოდ ნიჭიერი მწერალი, გამორჩეული მთარგმნელი და კარგი ისტორიკოსი კი არ არის, „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ ავტორი პუტინის რეჟიმის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და უკომპრომისო კრიტიკოსია. 2011 წელს ჩართული გახლდათ „ბალოტნაიას“ წინააღმდეგობის მოძრაობაში, იყო არჩევნების გაყალბების გასაპროტესტებლად შექმნილი საორგანიზაციო კომისიის წევრი, გმობდა რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიას და რუსეთ-უკრაინის ომს. ამჟამად, აკუნინი რუსეთის ფედერაციის მიერ „უცხოეთის მსახურად“ არის გამოცხადებული, ირიცხება „ტერორისტთა და ექსტრემისტთა რეესტრში“, აკუნინი 2014 წლიდან ემიგრაციაში (ლონდონში) ცხოვრობს, რუსეთში კი მასზე ძებნაა გამოცხადებული.

ლომოურები აკუნინის ცხრატომეულის წაკითხვას არ დასჯერდნენ. თუმცა, ისიც მალევე გააცნობიერეს, რომ ასობით გვერდის გადმოქართულებისთვის საკმარისი დრო და რესურსი არ გააჩნდათ. აქედან გამომდინარე, გადაწყვიტეს, საქმეს შემოქმედებითად მისდგომოდნენ და ორიგინალური მეთოდების გამოყენებით გამოენახათ გამოსავალი. ქ-ნმა მარინამ და ბ-ნმა ირაკლიმ ქართველ ახალგაზრდობას „რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის“ მიმოხილვა-გზამკვლევი მოუმზადეს. მიმოხილვა-გზამკვლევი აკუნინის ცხრავე ტომის შესავალსა და დასკვნას აერთიანებს. მაშასადამე, მათ წიგნების სერიის კონსპექტი შეადგინეს, რათა ქართველ ახალგაზრდებს გაუადვილდეთ პირველი ნაბიჯის გადადგმა ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გამოწვევის შესწავლის საქმეში. და-ძმამ პირველი კენჭი ჩააგდო უზარმაზარ უფსკრულში მის ამოსავსებად. აღსანიშნავია, რომ წიგნი ლომოურებმა თავიანთი სახსრებით გამოსცეს, უფასოდ გაავრცელეს და გზამკვლევის ელექტრონული ვერსიაც გაასაჯაროვეს.

რა არის მიმოხილვა-გზამკვლევის მთავარი სათქმელი?

აკუნინის ცხრატომეული რუსეთის ისტორიის შესახებ შექმნილი ერთ-ერთი ყველაზე მაღალი რანგის სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია. ის რუსეთის წარსულის ყველა მნიშვნელოვან ეტაპს კრიტიკულად, სხვადასხვა პერსპექტივიდან განიხილავს. აკუნინი ოსტატურად აღწერს, როგორ დაიბადა ვიკინგებისა და ბიზანტიის დამაკავშირებელ სავაჭრო გზაზე დასავლური ყაიდის ქრისტიანული სახელმწიფო, როგორ გაანადგურეს იგი თათარ-მონღოლთა ურდოებმა და საბოლოოდ დაუმახინჯეს ევროპული შინაარსი. ზესტაფონში დაბადებული ავტორი გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე რუსეთს ორი მშობელი ჰყავს – კიევის რუსი და ოქროს ურდო. ამასთანავე, ხაზს უსვამს, რომ ოქროს ურდოს მემკვიდრეობა გაცილებით უკეთ არის შემონახული, ვიდრე კიევის პერიოდისა.

„ოქროს ურდოს“ მემკვიდრეობა რუსეთის საბედისწერო პარადიგმაშია განხორციელებული, რომელიც, მწერლის აზრით, შემდეგ ხუთ პრინციპს ეფუძნება:

1. სახელმწიფო უნდა იყოს ცენტრალიზებული, ყველაფერი ყაენის იურტაში, „ყაენის სადგომში“ უნდა წყდებოდეს. უზარმაზარი ქვეყნის ბედსა თუ წვრილმანების განკარგვის საკითხს ხელმწიფე და მისი გარემოცვა უნდა განსაზღვრავდნენ.
2. ხალხი უნდა ცხოვრობდეს, შრომობდეს, იბრძოდეს სახელმწიფოსთვის და არა პირიქით. ხალხი ხელისუფლების მსახურია და არა პირიქით.
3. ხელმწიფე საკრალური, გაღმერთებული ფიგურაა. სისტემაში არ არსებობს ძალაუფლების რაიმე სხვა ცენტრი ან ინსტიტუტი.
4. ხელმწიფის ნება, სურვილი, აკვიატება, მისწრაფება, თუ განზრახვა კანონზე უფრო მაღლა დგას.
5. პირადი უფლებების ნაცვლად უცილობლად ყალიბდება პირადი პრივილეგიების სისტემა, რომელსაც ზემოდან ანიჭებენ (ან ართმევენ), რაც „ხელისუფლების ვერტიკალს“ გარკვეულ სიმწყობრეს სძენს და მმართველობას აუმჯობესებს.

აკუნინი ლომოურების პირით გვიმტკიცებს, რომ საბედისწერო პარადიგმის ხუთ პრინციპს რუსეთის ისტორიაში ვერავინ მოერია. ვერც პეტრე პირველის მიერ გაჭრილმა ფანჯარამ შეცვალა რუსეთის მეფეთა ძალაუფლებრივი ლოგიკა, ვერც ეკატერინეს რეფორმებმა უყვეს ძვრა ჩაბეტონებულ პოლიტიკურ კულტურას და ვერც XIX საუკუნის შედარებით პროგრესულმა „ცარებმა“ გამოასწორეს რაიმე – პარადიგმა მაინც პარადიგმად დარჩა.

ისტორიისა თუ სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე აკუნინის ფორმულის განხილვამ შეიძლება რომელიმე მოსწავლეში ჩვენი სახელმწიფოსთვის აუცილებელი ინტერესი გააღვიძოს. დღეს სკოლის პედაგოგებზეა დამოკიდებულია, თუ როგორ გამოვიკვლევთ მომავალში ჩვენს სამეზობლოს.

შორენა ტყეშელაშვილი

მოგზაურობა ბავშვობაში – ზრდასრულობის თერაპია

რა გენატრებათ ბავშვობიდან? რას იხსენებთ ყველაზე ხშირად? რასთან მიბრუნება გსიამოვნებთ? რა გაყენებთ კარგ ხასიათზე? რაზე ფიქრი გიგრძელდებათ? რომელია ის ფიქრი, რომელსაც სიამოვნებით შეჰყვებოდით, ყველგან გადაუხვევდით, ყველა კუთხე-კუნჭულში ჩახვიდოდით, ჩაულრმავდებოდით თავსაც და მოგონებებსაც? გრჩებათ დრო საკუთარ თავში მოგზაურობისთვის?

საზაფხულო არდადეგები გახსენებთ ბავშვობას თუ საშობაო არდადეგები? ახალი წელი, აღდგომა თუ სხვა ჩვეულებრივი დღეები?

მე უფრო ხშირად ზაფხულის დღეები ჩამირბენს თვალწინ, მზით გაკაშკაშებული, ცხელი, მომქანცველი, ხალისიანი, საინტერესო, სწრაფი, სურნელოვანი და საყვარელი ადამიანებით სავსე. ასეთ დღეებს ნაცნობი ხეების სურნელი მოაქვს, აკაციის ხის ყვავილების, ცაცხვის მათრობელა სურნელი, ხმელი ბალახებისა და ეზოს ყვავილების. ყურებზე წყვილი ალუბლები გვაქვს ჩამოკიდებული და ფრჩხილებზე ყვითელი ყვავილის ფურცლები გადაგვიკრავს. ეს ბავშვობაა...

ყოველი დღე ნათელია, წყნარი, უღრუბლო, ტკბილი მოგონებები ნელ-ნელა ამოდის მომქანცველი ყოველდღიურობის საფიქრალს შორის. ბებოს ნარდს ვეთამაშებით „წინკარში“, როცა ცხელა, მის ოთახში ვართ შეყუჟული, თეთრ ნოხზე წამოგორებული, ბებოს თმაზე ვეალერსებით, ძმრით დარბილებულ თმაზე. ის კი გვიყვება ამბებს, მაშინდელი გადმოსახედიდან ჯადოსნურს...

ცხელა, ხის იატაკი სუფთა და თბილია, შუადღეა ჩამოწოლილი ოთახებში. გატრუნულია გარემო, საკუთარ თავთან ჩაყურყუმელავების დროა, ბებოს თვალები „მიულულავს“, ისვენებს, ჭრიალა, ზამბარებიან საწოლზე.

სიმშვიდისა და უდრტვინველობის განცდას ვერაფერი არღვევს. ეს ბავშვობაა, ცხელი დღეებით, ჭრიჭინობელების გამაყრუებელი ჭრიჭინითა და ბავშვების ყიჟინით სავსე... მოსაფრთხილებელი დრო...

ცხელი, მომთანგველი შუადღეების მერე, საღამოს გიდევნიათ ციცინათელებისთვის? გახსოვთ, როგორ გაიელვებენ ბუჩქებზე, ხეებზე და თვალს მიეფარებიან. ბოლო დროს იშვიათად ვხედავთ ციცინათელებს. ნეტავ, სად მიდიან დღისით, თქვენც გაწუხებდათ ეს კითხვა ბავშვობაში?

ცაცხვის სურნელით გაჟღენთილია ჰაერი, მუხლები გადაყვლეფილია, ხელის თითები თუთით არის გაშავებული. საღამოს სტუმრები გვყავს. მეზობლები, მგონი, მეზობლების სტუმრობა სტუმრობა არც არის, ძალიან შინაურები არიან. ნარდის, დომინოსა და კარტის საღამოებია, ღამის პეპლები შუქზე მოფრინავენ, თავს დაგვტრიალებენ, ნათურას ეხვევიან... ნაცნობი იუმორი და მსუბუქი განცდებია ირგვლივ, დაცულობის განცდას ამყარებს. მძაფრად ვგრძნობთ, რა მშვენიერი დროა ბავშვობა...

ყველაზე გულწრფელი ლოცვები, ყველაზე მარტივი ლოცვებია.

რა თქმა უნდა, კვლავ სიცხეა. მიწას პირი დაუღია, დახეთქილ მიწაზე, ფეხშიშველები დავრბივართ, გულაბ მსხლებს ვაგროვებთ, ვენახში სუსხია, ატმებს ვკრეფთ. ბებია კომპოტებს აკეთებს ამ ატმებით.

შუადღით კი კეცებზე მჭადებს აცხობს, ვარიას გვიწვავს, მაყვლის საწებელში აწყობს, თხის ყველს ამოიღებს „ხალამიდან“, ყველაფერი გემრიელია.

ბავშვობაზე ფიქრი, მოგონებების გაცოცხლება, თერაპიაა ზრდასრულობაში. როდესაც შეუჩერებელი, მომქანცველი დღის შემდეგ ჩამოჯდები და ზაფხულის ცხელ დღეებს წვიმები მოჰყვება და გაწვიმების, დაქუხების მოლოდინში გარინდვა. სახლი ისევ თბილია, ფისოებიც სახლში არიან, ფეხებზე მასხდებიან და ღუღუნებენ, მყუდროდ ჩამთბარი წიგნებს ვკითხულობ, გარეთ კი ზაფხულის წვიმაა და ყველაფერი იდეალურადაა...

საღამოობით წინკარში ჯდომის საათებია. ბებოს მთელი დღის დაღლილი და ნაჯაფარი ფეხები საქანელებად გადაიქცნენ და რიგ-რიგობით გვაქანავებენ... ბებო როგორი ძლიერია, შეუძლია ფეხზე დაგვისვას და გვაქანაოს, მერე დაიძინოს, მეორე დილით კი უზარმაზარი თხილის ტომარა მოიგდოს ზურგზე და ბაზარში წაიღოს გასაყიდად. ყვითელი ავტობუსის ლოდინი მთელი რიტუალია. ფეხშიშველები გავვარდებით ბებოს შესაგებებლად დაღმართში.

ბებოსთან ძილი დასწრებაზეა, მისი საწოლი, მისი მუთაქა, მისი თმის სუნითაა გაჟღენთილი. თეთრეული გრილია და ბუნებრივი. ბებოს ყვავილებიანი პერანგი აცვია და ძილის წინ ლოცულობს. ღმერთო, კარგად მიმყოფე ჩემი შვილები, შვილიშვილები...

მზით გამთბარ, ბედნიერ, მშვიდ, ნათელ მოგონებებში გადაეშვები...

უდიდესი პასუხისმგებლობაა შევქმნათ ბავშვებისთვის ისეთი სამყარო, რომელიც სინათლით, სიყვარულითა და სითბოთი იქნება სავსე. და როდესაც ბავშვობის დღეები გაირბენს და პატარა ბავშვები თვალის დახამხამებაში ზრდასრულობის ტვირთით დამძიმებული უფროსები გახდებიან, რას ფიქრობთ, რა დასჭირდებათ მათ სულის მოსათქმელად და სიმშვიდის მოსაპოვებლად?

სადამრიგებლო კლასის მშობლები

მეგი კავთუაშვილი

მოსწავლეთა მშობლებს უდიდესი გავლენა აქვთ სასკოლო ცხოვრების ყოველდღიურობაზე. ხშირად ბავშვები ოჯახის წევრთა ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, ცხოვრების წესს თავისდაუნებურად დაისწავლიან და შემდეგ სკოლის გარემოშიც ნაცნობი სქემებით მოქმედებენ. როგორც წესი, სკოლა არასოდეს არის თავისუფალი საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებისა და მიმდინარე მოვლენების გავლენებისგან. მეტიც, სკოლაში მცირე მასშტაბებში მეორდება ის, რაც სკოლის კედლებს გარეთ ხდება.

კლასის დამრიგებელი ის ადამიანია, ვისგანაც ოჯახი და სახელმწიფო ელის, რომ დაეხმარება მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაში. თუმცა მხოლოდ ერთი ადამიანი დამოუკიდებლად ვერ შეძლებს დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. საჭიროა, დამრიგებლის და ოჯახის მჭიდრო თანაშრომლობა, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს, თანასწორობას, ღიაობას, ურთიერთპატივისცემასა და ანგარიშვალდებულებას დაეფუძნება.

მოსწავლეთა მშობლები საზოგადოების მრავალფეროვანი ჯგუფია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ცხოვრების წესის, რელიგიური შეხედულებების, შემოსავლის, მსოფლმხედველობის, დასაქმების სფეროს, სოციალური სტატუსისა და სხვა უამრავი მახასიათებლის მიხედვით. თითოეულ კლასში დაახლოებით 20-25 მშობელი იყრის თავს. საკლასო კლიმატის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მშობლების როგორი ჯგუფი შეიკვრება ამა თუ იმ კლასში.

მშობლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ან შეუშალონ დამრიგებელს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაში. არსებობს მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, რომლის გამოყენებითაც დამრიგებელი ეფექტიანად იმუშავებს კლასის მშობლებთან. გაწეული ძალისხმევა დაეხმარება მისთვის დაკისრებული მოვალეობების ეფექტიანად შესრულებაში.

სტატიების ეს ციკლი დამრიგებლების დასახმარებლად შეიქმნა. თითოეულ ნაწილში სადამრიგებლო კლასის მშობლებთან თანაშრომლობის განსხვავებული ასპექტები იქნება მიმოხილული.

დამრიგებლისა და მშობლების ურთიერთობა

დამრიგებლის ამოცანა მშობლების ერთ გუნდად შეკვრა და ფასილიტაცია უნდა გახდეს. ერთმანეთის მოსმენა, აზრის გაზიარება, ერთობლივი მსჯელობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, საერთო მიზანსა და თანაშრომლობის წესებზე შეთანხმება დამრიგებლის საქმეა. ეს ყველაფერი ურთიერთობის დასაწყისიდან კომუნიკაციის გამართვით მიიღწევა.

სკოლა არასოდეს არის თავისუფალი საზოგადოებაში გავრცელებული სტერეოტიპებისა და მიმდინარე მოვლენების გავლენებისგან. მეტიც, სკოლაში მცირე მასშტაბებში მეორდება ის, რაც სკოლის კედლებს გარეთ ხდება.

დამრიგებლისა და კლასის მოსწავლეთა მშობლების პირველი კრება საერთო მიზანსა და წესებზე შეთანხმებას უნდა დაეთმოს. მასწავლებელმა მშობლებს უნდა გააცნოს:

- ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
- სკოლისა და დამრიგებლობის არსი;
- სკოლაში მოქმედი წესები, რომელსაც იცავს ყველა -

მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, ადმინისტრაცია;

- მიაწოდოს ინფორმაცია სკოლის სხვა თანამშრომლების შესახებ. (ექიმი, მანდატური, ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, ასისტენტი და სხვ.);
- დამრიგებელმა მშობლებს სკოლის შესახებ ადეკვატური მოლოდინები უნდა შეუქმნას, რადგან სკოლა საზოგადოების ანარეკლია. ყველაფერი რაც გარემოში ხდება, სკოლაზეც აისახება, შესაბამისად, სკოლაშიც შეიძლება არ იყოს იდეალური მდგომარეობა, რის გაუმჯობესებაზეც ერთად უნდა იზრუნონ.
- დამრიგებელმა უნდა გააცნოს მშობლებთან თანამშრომლობის გეგმა, ან ჩაატაროს გამოკითხვა კომუნიკაციის სასურველი ფორმების შესახებ;
- გაუზიაროს მოლოდინები, თუ რას და როგორი გზებით ელის მშობლებისგან;
- პირველი კრების ბოლოს სასურველია, დამრიგებელმა მშობლებლებს კითხვარის შევსება სთხოვოს, სადაც მონაწილეები ბავშვის შესახებ საჭირო ცნობებს გაუზიარებენ პედაგოგს. ეს ინფორმაცია მასწავლებელს მოსწავლის უკეთ გაცნობასა და ინდივიდუალური მიდგომის დამყარებაში დაეხმარება.

ასეთი შინაარსის კრება მშობლებსა და დამრიგებელს საერთო მიზნის დასახვასა და ურთიერთობის წესებზე შეთანხმებაში დაეხმარება.

ყოველი მომდევნო მშობელთა კრების შემთხვევაში კი გასათვალისწინებელია, რომ დამრიგებელმა კარგი ფასილიტაცია გასწიოს.

- ყველა მშობელს მიეცეს აზრის გამოთქმის საშუალება;
- დამრიგებელმა დააწესოს რეგლამენტი;
- კრებაზე მშობლების დაპირისპირების შემთხვევაში დამრიგებელი იყოს ნეიტრალური. არ შეუწყოს ხელი კონფლიქტის გაღრმავებას;
- დამრიგებელმა თავი უნდა შეიკავოს მშობელთა კრების მოწვევისგან თუ ადგილი აქვს ჯგუფის მიერ ინდივიდთან დაპირისპირებას;
- ბოლოს დამრიგებელმა შეაჯამოს დისკუსიის შედეგები. თუ კრება ისეთ საკითხზეა, რაზეც, შესაძლოა, რომელიმე მშობელს აზრის ღიად გამოთქმა მორიდებოდა, სასურველია, მზად ჰქონდეს ანონიმური კითხვარი, რომელსაც კრების დასრულების შემდეგ მშობლები შეავსებენ;

კლასის დამრიგებელი ის ადამიანია, ვისგანაც ოჯახი და სახელმწიფო ელის, რომ დაეხმარება მოსწავლეს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაში, პიროვნული, ზნეობრივი, ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების განვითარებაში.

ხოლო სულ ბოლოს, კრების მოკლე შინაარსი იმ მშობლებს გაუგზავნოს, ვინც ადგილზე მისვლა ვერ შეძლო.

დამრიგებლისა და მშობლების დაახლოებას მშობელთა კრებაზე მეტად ხელს უწყობს არაფორმალური შეხვერდები. ეს შეიძლება შედგეს, როგორც სკოლაში, ისე ღია სივრცეში ან სახლის პირობებში. არაფორმალური შეხვედრა აქტუალური საკითხის ირგვლივ ეწყობა. მაგალითად, მშობლებისა და პედაგოგებისთვის ერთნაირად საინტერესოა აღზრდისა და ბავშვებთან ურთიერთობის საკითხები. ასეთ შეხვედრებზე ნაკლები წესი მოქმედებს, მშობლებს და მასწავლებლებს შესაძლებლობა აქვთ თავიანთი წარმატებული გამოცდილება გააზიარონ. ხოლო მარცხის შესახებ რეფლექსია გააკეთონ. ასეთ შეხვედრებს უხდება ყავა, ჩაი, მცირე სასუსნავი. შესაძლოა, განსახილველ საკითხზე ფილმის ჩვენება და მისი განხილვაც მოეწყოს. არაფორმალური ხასიათის შეხვედრები მშობლებს უკეთ აცნობს ერთმანეთს და ბავშვების მიმართ დადებითად განაწყობს, რაც კლასში ურთიერთობებზე სასიკეთო გავლენას ახდენს.

სასურველია, დამრიგებელს წესად ჰქონდეს შემუშავებული, რომ თვეში ერთხელ მაინც მშობელს ელ. ფოსტით ან სატელეფონო გზავნილით შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ მიაწოდოს ინფორმაცია. მასწავლებლის დროის და ენერგიის დაზოგვის მიზნით საკმარისი იქნება, თუ ან „მესიჯში“ მხოლოდ საგნების დასახელება და ბავშვის მიღებული ქულები იქნება მოცემული. ამას დიდი ალბათობით მშობლების მხრიდან მარტივი უკუკავშირი მოყვება. მართალია, ელ. ჟურნალის საშუალებით მშობლებს შვილის შეფასებისთვის თვალის დევნება შეუძლიათ, მაგრამ ასეთი, მოკლე მესიჯით მშობლებთან რუტინული კონტაქტი მოსწავლის ოჯახსა და სკოლას შორის გადებული კიდევ ერთი პატარა ხიდია.



ლელა კოტორაშვილი

MASTSAVLEBELI.GE-ზე გამოქვეყნებული სცენარის მიხედვით დადგმული სპექტაკლი

სპექტაკლი ყველაზე დიდებული რამ არის, რაც შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს, საკუთარ თავს, სკოლას, მშობლებს აჩუქოს. ამაში ჩემი პრაქტიკული საქმიანობის განმავლობაში მრავალჯერ დავრწმუნდი. სპექტაკლი თავს უყრის უნარებს, ემოციებს, ამთლიანებს ცოდნას და ეს ყოველივე შემდეგ ფეიერვერკივით ამოიფრქვევა მაყურებლის წინაშე.

სპექტაკლი დიდებული რამ არის, რაც შეიძლება მასწავლებელმა მოსწავლეებს, საკუთარ თავს, სკოლას, მშობლებს აჩუქოს. ამაში ჩემი პრაქტიკული საქმიანობის განმავლობაში მრავალჯერ დავრწმუნდი. სპექტაკლი თავს უყრის უნარებს, ემოციებს, ამთლიანებს ცოდნას და ეს ყოველივე შემდეგ ფეიერვერკივით ამოიფრქვევა მაყურებლის წინაშე. ის, რასაც მთელი გულით ცდილობდი, ჩრდილოეთის ციალივით ჩნდება სკოლის კედლებს შორის და ამ ნათების მშვენიერება მაყურებელსაც გადაეცემა. მეხსიერებას ფორმალური საგაკვეთილო პროცესიდან ალაგ-ალაგ თუ შემორჩება მნიშვნელოვანი მოვლენები, აი, სპექტაკლი კი დროს აჩერებს, ქმნის სივრცეს, რომელსაც ნებისმიერ დროს უბრუნდები.

სცენარი

ამ სტატიაში კი უნიკალურ გამოცდილებაზე გიამბობთ, რომლის შესახებ სათაურიც მიგვანიშნებს. რამდენიმე თვის წინ, ჯერ კიდევ დეკრეტულ შვებულებაში ყოფნისას, დილა Mastsavlebeli.ge-ზე გამოქვეყნებული სტატიების კითხვით დაიწყო. ინა იმედაშვილი სტატიაში გვიზიარებდა სცენარს, რომელიც ქართული მითოლოგიის შესახებ დაეწერა. წაკითხვისთანავე გადავწყვიტე, რომ სკოლაში დაბრუნებისას აუცილებლად დავდგამდი ინას სცენარის მიხედვით სპექტაკლს. მანამდე კი რთული გზა მქონდა გასავლელი – ერთმანეთის გარეშე გატარებული სამი სემესტრი გვაშორებდა მე და ჩემს მეექვსეკლასელებს, კლასში 28 მოსწავლე, სკოლის ჩქარი რიტმი, რომელიც არაფორმალური გარემოსთვის საჭირო აქტივობებისთვის დროს თითქმის არ გვიტოვებს და ამ ყოველივესთან ერთად ჩემი რთული ოჯახური პირობები – ერთი წლის ბიჭი, რომელიც ძიძას უნდა შეჰგუებოდა.

მიუხედავად ჩამოთვლილი სირთულეებისა, ზურგს ინას სცენარი მიმაგრებდა. სცენარის დაწერას უზარმაზარი ძალისხმევა სჭირდება, ფაქტობრივად, კვლევაა, რომელიც რამდენიმე გვერდზე დაწურული სახით არის ასახული. ვიცი, რომ ჩემი კოლეგა, ინა იმედაშვილი, ქართულ ხალხურ ზეპირმეტყველებას ძალიან კარგად იცნობს, რაც მის სცენარსაც ეტყობა, ამასთანავე, კლასს, რომელთანაც სპექტაკლის დადგმა გადავწყვიტე, პირველი კლასიდან ვასწავლი და ხშირად ვუკითხავდი ქართულ ხალხურ ზღაპრებსა და ქართულ მითოლოგიას, სწორედ ამიტომ, ზუსტად ვიცოდი, რომ წინარე ცოდნის გააქტიურებას სცენარი ხელს შეუწყობდა და ახალ ცოდნასაც დავაგროვებდით.

როლების განაწილება

ისე დაემთხვა, რომ სკოლაში დაბრუნებისას მეექვსეკლასელებს ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელო თითქმის დასრულებული ჰქონდათ. რადგან გაკვეთილების შემდეგ ბავშვებს სკოლაში დარჩენა სხვადასხვა მიზეზით (წრეები, შიმშილი, დაღლილობა) უჭირთ, გადავწყვიტე, საგაკვეთილო პროცესი დამეთმო სპექტაკლისთვის მოსამზადებლად. სამი კვირა დაგვჭირდა სპექტაკლის დასადგმელად.

როლების განაწილება შემთხვევითობის პრინციპით გადავწყვიტე. ფურცელზე ჩამოვწერე ბავშვების სახელები და მითური პერსონაჟები სცენარიდან. ვფიქრობდი, რომ ამგვარად თავი-

დან ავირიდებდი რომელიმე მოსწავლის გამორჩევას და სამართლიან გარემოს შევქმნიდით, თუმცა, პირველივე როლმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

სპექტაკლის დადგმისას უზარმაზარი სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო და მასწავლებლისგან მოითხოვს მყისიერ ჩართულობას, სიფხიზლეს, პრობლემების გადაჭრას, ნდობის გამოვლენას. როგორც დაიწყებ, ისე დაასრულებ - ამაში მტკიცედ დავრწმუნდი. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ბავშვებს ვუთხარი, რომ თუკი როლი არ მოეწონებოდათ, შეცვლას, ახალი როლის მოფიქრებას აუცილებლად შევძლებდი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეთა რაოდენობის გამო როლები არ აღმოჩნდა საკმარისი. ინას მივწერე და მანაც გამომიგზავნა რამდენიმე მოსწავლისთვის განკუთვნილი როლი, მეც მომიწია 4 როლის მოფიქრება და შესაბამისი სიტყვის დაწერა.

რაც შეეხება პირველ როლს, ეს იყო ღვთისშვილი კოპალა, რომელიც ჩემს მოსწავლეებს ძალიან უყვართ. მითური გმირების შესახებ ქართველ ხალხს ჯადოსნური ზღაპრებიც შეუქმნია. ერთ-ერთი ასეთი ზღაპარია კოპალას შესახებ, რომელიც მესამე კლასში ხმამაღლა წავუკითხე ბავშვებს და მას შემდეგ ძალიან უყვართ. კოპალას როლის მსურველი რამდენიმე ბიჭი აღმოჩნდა, როლი კი მხოლოდ ერთ მათგანს ერგო. ერთ-ერთმა ბიჭმა ძალიან განიცადა, იმ გაკვეთილზევე მასთან მივიდა კლასელი, რომელსაც კოპალას როლი ხვდა წილად და უთხრა, რომ როლს დაუთმობდა. ასე ემოციურად, ცრემლებით, მოულოდნელად და მტკივნეულად დაიწყო სპექტაკლზე მუშაობა. წამოჭრილი პრობლემა თავად ბავშვებმა მოაგვარეს.

ერთი კვირის შემდეგ კითხვა დავსვი, რომელიმე ხომ არ გრძნობდა თავს ცუდად თავის როლში და შეცვლა ხომ არ სურდა. მხოლოდ ერთმა ბავშვმა გამოთქვა როლის შეცვლის სურვილი და იმ დღესვე მოვუძებნე სხვა როლი.

ბოლო კვირას კი ოთხი მოსწავლე გამოგვაკლდა, წინა დღეს – სამი. ესეც თავიდანვე უნდა დავუშვათ და თუკი ამგვარი დილემის წინაშე აღმოვჩნდებით, სათადარიგო გეგმა მზად უნდა გვქონდეს. მოსწავლეები თავიდანვე გავაფრთხილე, რომ რეპეტიციების დროს ერთმანეთისთვის ყურადღებით მოესმინათ, რომ თუკი რომელიმე ვერ შეძლებდა სპექტაკლში მონაწილეობის მიღებას, სცენარის ცოდნა სხვებს დაეხმარებოდა და სხვის როლსაც ადვილად გაართმევდნენ თავს. თვითონ სცენარიც იძლეოდა როლების დამატების, გადათამაშების, შეცვლის საშუალებას. ამას მარტივად მოვაგვარებთ, თუმცა, ახლაც, ამ სტატიის წერისას, ჩრდილი ადგება ჩემს გულს იმ ბავშვების გამო, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზით ვერ შეძლეს კლასთან ერთად ყოფნა.

რეპეტიციები

როლების განაწილების შემდეგ მოსწავლეებს დავურიგე კუთვნილი სიტყვები და ერთი გაკვეთილი დავუთმე ქართული მითოლოგიის შესახებ არსებული ცოდნის გახსენებასა და ახალი ინფორმაციის მიწოდებას. შემდეგ გაკვეთილებზე კი საკლასო ოთახის უკან გადავინაცვლეთ, სკამები რკალად დავაწყვეთ და დაიწყო რეპეტიციების დაუვიწყარი პროცესი. როგორც ზემოთ ვახსენე, შვიდი მოსწავლე გამოგვაკლდა და ამას ძალიან განვიცდი, თუმცა, გულს იმით ვიმშვიდებ, რომ თითოეულმა მონაწილეობა მიიღო რეპეტიციებში და ვფიქრობ, ყოველი გაკვეთილი თუ რეპეტიციისთვის დათქმული შეხვედრა, არანაკლებ საინტერესო იყო, ვიდრე თავად სპექტაკლის წარმოდგენის დღე.

მასწავლებლის ფსიქო-ემოციური ფონი

სპექტაკლი უზარმაზარი გამოცდაა მასწავლებლის მენტალური მდგომარეობისთვის. ჩემი პრაქტიკული საქმიანობისას დიდ მიღწევად მიმაჩნია ემოციების მართვა, დადებითი განწყობის შენარჩუნება და სკოლაში დაბრუნების ორი თვეც ასევე მშვიდად ჩაივლიდა, რომ არა სპექტაკლი. სამწუხაროდ, კიდევ ერთ ჩრდილი, რომელიც სპექტაკლის გახსენებისას გულში ჩამოწვება ხოლმე, მოსწავლეებთან გამოვლენილი თავშეუკავებლობაა. ხშირად ვსაუბრობ მასწავლებლობის სირთულეებზე. ჩვენ უკან დგას ოჯახი და უამრავი პასუხისმგებლობა. სკოლაში, ერთ სივრცეში, თავმოყრილ ადამიანებს – მოზარდებსა თუ ზრდასრულებს – მუდმივად გვჭირდება იმის შეხსენება, რომ ერთმანეთთან მოსვლამდე ყველას ჩვენი წილი განწყობა, დარდი, სიხარული თუ პრობლემა მოგვაქვს. ასე იყო ერთ დილასაც, როდესაც ჩემი ერთი წლის ბიჭი გამომეტირა და საკლასო ოთახში შესვლისას ჯერ კიდევ

ის, რასაც მთელი გულით ცდილობდი, ჩრდილოეთის ციალივით ჩნდება სკოლის კედლებს შორის და ამ ნათების მშვენიერება მაყურებელსაც გადაეცემა. მეხსიერებას ფორმალური საგაკვეთილო პროცესიდან ალაგ-ალაგ თუ შემორჩება მნიშვნელოვანი მოვლენები, აი, სპექტაკლი კი დროს აჩერებს, ქმნის სივრცეს, რომელსაც ნებისმიერ დროს უბრუნდები.

მეტყობოდა პერანგზე დაცემული მისი ბუთქუნა ცრემლები. ამას დამატებული სხვა გაკვეთილების ჩატარება, დაღლილობა, ზოგჯერ არასაკმარისი ძილი და მოსწავლეებთან ხმამაღლა ავყვირდი. ვერ ვიტან, საკუთარ თავს რომ ვკარგავ. ხმის აწევის გარეშე კი ქაოსად ქცეული პროცესი კალაპოტს ვერ დავუბრუნე. მოსწავლეებს ბოდიში მოვუხადე და ვესაუბრე, რატომ გამიჭირდა ემოციების მართვა, ბრაზის ვერშეკავება. მთელი სამი კვირის განმავლობაში არასდროს გავღიზიანებულვარ რომელიმე მოსწავლის შეუსაბამო ქცევის გამო და არასდროს მიემართებოდა ერთ მოსწავლეს ჩემი ბრაზი.

სპექტაკლის დადგმიდან მესამე დღეს გაკვეთილზე ბავშვებს გამოხმაურების ბარათები დავაწერინე. ბოლო პუნქტი ამგვარი იყო: რას ეტყოდი ლელა მასწავლებელს?

„იმას, რომ კიდევ დაგვადგმევინოს სპექტაკლი და ყვირილი არაფერია. ყველას აქვს ემოციები და ნებისმიერ დროს შეიძლება, გაბრაზდეს ადამიანი“. – მწერდა 12 წლის ანასტასია და გული გამითბა, ასე რომ მამშვიდებდა.

მუსიკა

სცენარის დაწერა და როლების განაწილების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე რთული ეტაპი მუსიკის შერჩევაა. Souncloud-ზე, სადაც სხვადასხვა ჟანრისა და ქვეყნის მუსიკაა თავმოყრილი, ცალკე მაქვს სიმღერათა ნუსხები, რომლებსაც სპექტაკლების სახელები ჰქვიათ. შეიძლება ითქვას, მუსიკის მოსმენისას პარალელურად ჩემი გონება ახარისხებს საჭირო მოტივებს. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც მუსიკას მოუტანია სპეტქაკლის დადგმის განწყობა. ამჯერად შევარჩიე გოგი ძოძუაშვილის, ჯანსუღ კახიძის, ნიაზ დიასამიძის, ქართული ჯგუფის „Ambavi" მუსიკა და რამდენიმე კლასიკური ნაწარმოებიც.

გოგი ძოძუაშვილის კომპოზიცია სახელად „ქართული" პირველი ღვთისშვილის, ბერი ბუქნაი ბაადურის, გამოჩენისას გაისმა დარბაზში და ვფიქრობ, წარსულიდან გამოხმობილ ღმერთქალებსა და ღვთისშვილებს ზუსტად მოერგო:

https://www.youtube.com/watch?v=eoR25riPhcM

რეკვიზიტები

სცენარში ასახულია, როგორ მოდიან დროის პორტალიდან ქალღმერთები და ღვთისშვილები თანამედროვე ოჯახში, სადაც კერასთან სხედან პაპა, ბებო და მათი ორი შვილიშვილი – ხვთისო და მზექალა. ბავშვებს წარსულიდან გადმოსული გმირები უტოვებენ ჯადოსნურ თილისმებს, რომელთა გამოყენება ბოროტების დასამარცხებლად შეუძლიათ.

ბავშვებმა როლები რომ მოირგეს და კუთვნილი სიტყვა ისწავლეს, მალევე დავიწყეთ რეკვიზიტებისთვის მზადება. დაფაზე ჩამოვწერეთ საჭირო ნუსხა: ნატვრისთვალი, ირმის, მგლისა და ცხენის ფორმა, სარკე, ბროლის ქვა, ვარსკვლავი, ლახტი, დოქი, სანთელი, შემდეგ ჯგუფებად დაყოფილმა კლასმა დაიწყო ხატვა, გამოჭრა. დაგვჭირდა: საღებავები, „პენოპლასტი", სქელი ფერადი ქაღალდები, ფუნჯები, ნაჭრები.

რაც შეეხება მონაწილეთა ფორმებს, ასეთი რამ მოვიფიქრე: თითოეული პერსონაჟისთვის ვიყიდე ატლასისა და ტიულის სხვადასხვა ფერის ნაჭერი, სქელი თოკი წელზე შემოსარტყმელად და თავსამკაულად. თავის გამოსაყოფი ადგილი იქვე ამოვჭერი, წელზე თოკი შემოვავლე და ბავშვები წარსულიდან გადმოსულ მითურ გმირებს დაემსგავსნენ. მხოლოდ ერთი ჩოხა მოვიძიეთ კოპალასთვის და ოჩოპინტრესთვის. დევებს კი სხვებისგან განსხვავებით, მწერების დამჭერი ბადე შემოვახვიე და ნამდვილი დევებივით უჭირდათ მოძრაობა.

პორტალზე ფიქრმა გადაგვიყოლა. თავიდან მუყაოსგან დამზადებას ვაპირებდით, მაგრამ სცენაზე დამაგრება გაგვიჭირდებოდა. ბოლოს სკოლაში ვიპოვე ფეხბურთის მოძველებული კარი, ამოვიტანე სცენაზე და დაბადების დღის ფერადი „ფარდები" დავამაგრე. სკოლაში წავიღე ჩემი დიდი ბებიის, კატოს, მოქსოვილი ფარდაგი და სკამებს გადავაფარეთ.

ნაჭრის პოსტერები

ჩვენს სცენას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა მოხატულმა ნაჭრის პოსტერებმა. კლასისთვის შეძენილი ფარდებიდან მორჩენილი ყვითელ ნაჭერზე მინდია დავხატე და გავაფერადე, "ბიაზის"

ნაჭერზე მერვეკლასელმა გოგოებმა – მარიმ და ნინიმ – გამომცემლობა „არტანუჯის“ წიგნის „ქართული მითური გმირები“ ყდა გადახატეს, არშიები კი გააფორმეს თენგიზ მირზაშვილის მინიმალისტური ორნამენტებით, რომლებიც ქართული ხალხური ზღაპრების წიგნიდან გადმოვიტანეთ.

აქვე უნდა აღვნიშნო უფროსკლასელების ჩართულობისა და მხარდაჭერის როლი. რამდენიმე დღე ჩვენთან ერთად იყვნენ მერვეკლასელი მარიამი და ნინი. ჩვენი რეპეტიციების ფონზე სააქტო დარბაზის უკანა ნაწილში ძირს გაშალეს ნაჭერი და უდიდესი გულისხმიერებით დაიწყეს ხატვა. მათ ფუსფუსს მეექვსეკლასელები უყურებდნენ, პირადი მაგალითის შედეგად, რამდენიმე დღეში უმცროსკლასელებმა გააგრძელეს ნინის და მარის დაწყებული საქმე და დამოუკიდებლად გააფერადეს.

მუსიკის შერჩევის, გადმოწერის და საჭირო დროს ჩართვა-გამორთვა კი მეათეკლასელმა თეკლამ ითავა, კიდევ ერთმა მეათეკლასელმა ნინიმ კი გვაჩუქა რეპეტიციებისა თუ სპექტაკლის ამსახველი ულამაზესი ფოტო-ვიდეომასალა.

მშობელთა ჩართულობა

სცენის გაფორმებისას აქტიურად ჩაერთო რამდენიმე მშობელი. ლიზის დედამ, თამარმა, თავად შეიძინა განათება სცენისთვის, დაამზადა ძალიან ბევრი ქაღალდის ვარსკვლავი და მზე – ყოველივე ეს მეუღლესთან ერთად სპექტაკლის წინასაღამოს ჭერზე ჩამოკიდა; ანასტასიას დედამ, თეონამ, გოგონებისთვის ყვავილების თაიგულების შეძენის იდეა მოგვაწოდა, გადაიღო სპეტქკლი და სრული ჩანაწერი გვისახსოვრა; საბას დედამ, მარიმ, თავის დეიდასთან ერთად ფარდები ჩამოგვიკიდა; თამარის დედა, შორენა და დათოს დედა, ლამზირა, სპექტაკლის დაწყებამდე მეხმარებოდნენ; კიდევ ერთი საბას დედამ, ნუცამ, კი ხმის გამაძლიერებელი მოგვიტანა; ცოტნეს დედამ ოჩოპინტრეს ფორმით გაალამაზა სასცენო ჩაცმულობა; რეპეტიციების დროს ანის, სალომეს და ნუცას დედები ტკბილეულით გვანებივრებდნენ... ამ ჩამონათვალში აუცილებლად გამომრჩებოდა ვინმე და იქნება ისეთი მშობელიც, რომლის ფუსფუსი, ჩართულობა ვერ შევნიშნე, თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ და დავაფასოთ იმ მშობლების გულისხმიერება, რომლებმაც დრო გამოძებნეს და დაგვეხმარნენ.

მსგავსი ღონისძიებების გამართვისას საკუთარ თავს დავუწესე, რომ გულშიც კი არ გავივლო საყვედური იმ მშობლებისადმი, რომლებმაც დრო ვერ გამოძებნეს ან, შესაძლოა, ვერც გაბედეს აქტიურობა. მრავალი მიზეზი არსებობს. მე კი არასდროს დამავიწყდება მშობლების ცრემლიანი თვალები და გაცისკროვნებული სახეები, სპექტაკლის მიმდინარეობისას ბავშვების ზურგს უკან მდგომი რომ ვხედავდი. არც ის დამავიწყდება, ტყუპების, დათოს და თაკოს დედა, სპექტაკლის დასრულებისას რომ შემოგვესწრო, რადგან სამ-

სახურის გამო მოსვლა დააგვიანდა. მგონია, რომ შემდეგი სპექტაკლის დადგმისას კიდევ უფრო მეტი მშობელი ჩაერთვება და ბავშვებისთვის დღესასწაულის მოწყობის პროცესში ერთმანეთს შეენაცვლებიან.

ერთი კვირა გავიდა სპექტაკლის დადგმიდან და ახლა ეპიზოდურად მახსენდება, სცენასთან მიდგმული ყვავილებიანი კალათები, მაშხალებიანი ტორტი, სპექტაკლის დაწყებამდე ბავშვების დასაპურებლად მოტანილი ცხელ-ცხელი ლობიანები და ხაჭაპურები, რომელთა შესაძენად მონაწილეობა მიუღიათ იმ ბავშვების მშობლებსაც, რომლებიც სპექტაკლს გამოაკლდნენ. თითოეულ მშობელს, ვისი შრომაც დამეხმარა, ვისი თანადგომაც ვერ შევნიშნე, მაგრამ ჩვენს სპექტაკლზე აისახა და ვისაც სურდა, მაგრამ ჩართულობა ვერ შეძლო, ვუგზავნი უთვალავ მადლობას. სპექტაკლის მზადების პროცესში გამუდმებით მშობლებზე ვფიქრობდი. ეს დღე ბავშვებთან ერთად მათ ეძღვნებოდათ. აუცილებლად უნდა აღვნიშნო მამების ჩართულობა – ლიზის და გაბრიელის მამებმა სააქტო დარბაზი სპექტაკლის წინადღეს ღამის 23:00 საათზე დატოვეს და მეორე დილას დაგვახვედრეს ულამაზესად გაფორმებული სცენა.

როგორ ავიყოლიოთ ბავშვები?

მუსიკა, რეკვიზიტები, ფორმები, მშობლების თანადგომა აზრს დაკარგავდა, ბავშვების აყოლიება რომ ვერ მომეხერხებინა. ეს მათი პირველი სპექტაკლი იყო სააქტო დარბაზში მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე.

ბავშვები დავარწმუნე, რომ სიამოვნება მიეღოთ პროცესისგან და არ ეფიქრათ მოსალოდნელ შეფასებაზე. თუკი თავად გაიხარებდნენ თამაშისას, ამას სხვაც იგრძნობდა. სამი კვირის განმავლობაში თითოეულს ინდივიდუალურად მივეცი უამრავი რჩევა, შევაქე, წინ გადადგმული პატარა ნაბიჯიც კი არ გამომპარვია, მივეცი თავისუფლება, არ ვთრგუნავდი შენიშვნებით; ვთხოვდი, რომ თუ შეძლებდა, უფრო ხმამაღლა ეთქვა თავისი სიტყვა, დაეცვა პაუზები და არ ეჩქარა, ხოლო თუ ვერ შეძლებდა ხმის აწევას, ისე ეთქვა,

როგორც თავად ჩათვლიდა საჭიროდ. გამუდმებით ვახსენებდი, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებულია, მათთან ერთად ვცეკვავდი, ვიცინოდი, გულდასმით ვუსმენდი. ამგვარმა მიდგომამ უზარმაზარი შედეგი გამოიღო – სპექტაკლის დღეს ბრწყინვალედ გაართვეს თავი ყველაფერს.

არასდროს დამავიწყდება, რეპეტიციების დროს სიტყვის წარმოთქმისას გაფაციცებული მზერით რომ ეძებდნენ ჩემს სახეზე კმაყოფილებას. ამან მასწავლებლის სახის გამომეტყველების, როგორც განმავითარებელი შეფასების, როლზე დამაფიქრა.

მნიშვნელოვანია კლასის საერთო განწყობაზე მიზანმიმართული მუშაობა, სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება: რომ ერთმანეთს უგულშემატკივრონ, თანაუგრძნონ, მოუსმინონ, დაეხმარონ; რომ განასხვაონ დაცინვა და სიცილი ერთმანეთისგან და სიფრთხილით გამოხატონ ემოციები; რომ თითოეული ჩვენგანის შესაძლებლობები გამორჩეულია და სპექტაკლი არ არის უპირატესობის მტკიცების საშუალება; რომ ერთმანეთს არ ვეჯიბრებით და ძალისხმევას უფრო უკეთესი მიზნებისკენ მივმართავთ.

ყველა ბავშვის აყოლიება შევძელი. მხოლოდ ერთმა მოსწავლემ თქვა უარი მონაწილეობის მიღებაზე წინა დღეს, პირადმა საუბარმაც არ გაჭრა, დროც აღარ იყო მეტი ქმედებისთვის. ამ ბავშვზე ფიქრი კიდევ ერთი ჩრდილია, რომელიც ჩემს გულს მიადგა და ყველაზე ბევრს სწორედ მასზე ვდარდობ.

სპექტაკლის დღე

როგორც იქნა გათენდა 11 ივნისი, ჩვენი სპექტაკლის დღე. იმდენად ვნერვიულობდი, სკოლამდე გზა ძლივს გავიარე. სააქტო დარბაზში ბავშვების დანახვამ დაღლილობა და ნერვიულობა დამავიწყა. დავიწყეთ რეპეტიცია და შეიძლება ითქვას, ბევრი დეტალი იქვე დავაზუსტეთ. დარწმუნებული ვიყავი, რომ თავს შესანიშნავად გაართმევდნენ ბავშვები. მართალია, მეც მათთან ერთად ვიდგებოდი სცენის უკან, მაგრამ ვთხოვე, რომ ტექსტის დავიწყებისას მე არ დამყრდნობოდნენ, უმჯობესი იქნებოდა, თავად შეეცვალათ წინადადება, გამოეტოვებინათ ან ერთმანეთისთვის შეეხსენებინათ. მართლაც ასე მოხდა.

სპექტაკლის დაწყებამდე შევიკრიბეთ გამოსაცვლელ ოთახში, ხელები ერთმანეთს დავადეთ და ხმამაღალი შეძახილით განწყობა შევიქმენით. ხმის გამაძლიერებლის გამო დათქმულ დროს გადავაცილეთ, დარბაზში ცხელოდა, ვიფიქრე, ეზოში ჩავიყვან ბავშვებს, სუფთა ჰაერზე გამოცოცხლდებინ-მეთქი. დავიძარი ღვთისშვილებისა და ქალღმერთების ფორმებში გამოწყობილ ბავშვებთან ერთად გასასვლელისკენ, დარბაზი თითქმის შევსებული იყო და ვიღაცამ გვკითხა, სად მიდიხართო.

თუკი რეპეტიციებისთვის რამდენიმე საათი გვჭირდებოდა, ზუსტად ვიცოდი, სპექტაკლი აუდიტორიის წინაშე მალე ჩაივლიდა. ყველა მომენტი მიყვარს. ბავშვები კულისებში ღელავდნენ. ერთმანეთს ამხნევებდნენ. ჩვენთან ერთად იყვნენ მერვეკლასელი მარი და ნინი და ბავშვებს ეხმარებოდნენ ფორმების მორგებასა და გამოცვლაში. სცენის უკან დაკიდებული ფარდის მიღმა დარბოდნენ აღელვებული ბავშვები, ზუსტად იცოდნენ, ვინ როდის გამოდიოდა და ისმოდა, როგორ უხმობდნენ ერთმანეთს: „ანგელოზების დროა! აბა, ქაჯები მოემზადეთ! დევებო, მზად ხართ?“ თითოეული მონაწილე ჩვენი უცნაური პორტალიდან გადიოდა სცენაზე. ვამშვიდებდი, ფორმას ვუსწორებდი და ისე ვუშვებდი, ზოგჯერ დარბაზს მოვავლებდი თვალს და მშობლების განათებული სახეების დანახვისას ვხარობდი.

სპექტაკლი სულ 37 წუთი გაგრძელდა, ბოლოს ვდარდობდი, რომ მალე დამთავრებოდა. დევების როლში ჩემი შვილი იყო. ვიფიქრე, მეც ჩავალ დარბაზში და სხვა მშობლების მსგავსად რამდენიმე წუთი ვუყურებ-მეთქი. ჩამოვედი და დავჯექი. გამოვიდა ერთი დევი, შემდეგ – მეორე და მესამე ფეხბურთის კარს, ე.წ. პორტალს, გამოკრა ფეხი. ხმაურით წამოვიდა იატაკისკენ ფეხბურთის კარი. კიდევ კარგი, ბავშვს ასცდა. ისევ ავბრუნდი სცენაზე და ჩემს თავს შევახსენე, რომ მასწავლებელს მშობლის როლის შინ დატოვება გვიწევს. ისე მოხდა, რომ სცენარის მიხედვით პირველი დევი ამბობდა, ადამიანებო, ხომ არ შეგაშინეთო. პორტალის „გადმონგრევაც“ თითქოს სცენარის მიხედვით იყო გათვალისწინებული.

სტუმრები

მშობლების, კოლეგების, ოჯახის წევრების გარდა სპექტაკლზე დასაწრებად საგანგებოდ გვეს-

ტუმრნენ ჩემი რაჭველი მოსწავლეები – თამუნა და მარი, რომელთა შესახებ ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვესაუბრები; ეზოში ჩასვლისას გოგოებიც თან გამოგვყვნენ და ჩემი თხოვნით, ბავშვები გაამხსენევს: პროცესით მიიღეთ სიამოვნება და იცოდეთ, რომ ეს დღე არასდროს დაგავიწყდებათო, თქვეს მარიმ და თამუნამ;

კავკასიის უნივერსიტეტის განთლების სკოლის დეკანი, ბატონი ალუდა გოგლიჩიძე, გვესტუმრა და ძალიან გამიხარდა, დატვირთული რეჟიმის მიუხედავად დროის გამოძებნა რომ შეძლო. ბატონი ალუდა ჩემი ხელმძღვანელია კავკასიის უნივერსიტეტში და მისი ზრუნვა სტუდენტებისთვის, რომლებიც მომავალი მასწავლებლები არიან, მის ირგვლივ მყოფთათვისაც გადამდებია.

სკოლიდან, რომელიც მე დავამთავრე, გვესტუმრნენ რუსუდან ტატიშვილი და შორენა მელაძე – დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები. მათი საქმიანობა, პროფესიისადმი დამოკიდებულება და თანადგომა ჩემთვის დიდი სტიმულია.

ზუსტად ვიცი, თითოეული სტუმარი ბავშვების ცხოვრებაში მნიშვნელოვან კვალს დატოვებს. ძალიან დასაფასებელია, როდესაც დროს გითმობენ და შენს სიხარულს იზიარებენ.

გიორგი კივილაძე „მთიელი წიგნების“ გუნდის წევრია. რამდენიმე წელია, სოფელ-სოფელ მეგობრებთან ერთად დადის და ამასობაში თითქმის მთელი საქართველო მოიარა, ოცი ათასი წიგნი დაარიგა ჩვენი ქვეყნის სოფლებში მცხოვრებ ბავშვებთან. ბავშვებისა და წიგნების გულშემატკივარი გიორგის სტუმრობა ბავშვებს ძალიან გაუხარდათ. ბოლოს დარბაზი ყველამ რომ დატოვა, ჩვენ რეკვიზიტებს ვაგროვებდით, გიორგიმ დაიარა და სათითაოდ გაასწორა დარბაზში ყველა სკამი.

დარბაზში იყვნენ ჩემი მოსწავლეები, მათი მშობლები და იქ იყო საბინა, 9 წლის აზერბაიჯანელი გოგო, ჩემი პატარა მეგობარი, რომელიც საგანგებოდ მოვიწვიე და ისიც სიხარულით მოქროლდა;

კიდევ ერთ, განსაკუთრებულ სიხარულად მექცა ჩემი ბავშვობის მეგობრის, მაიკოსა და ჩემი ნათლულის, მართას, სტუმრობა.

ზუსტად ვიცი, თითოეული სტუმარი ბავშვების ცხოვრებაში მნიშვნელოვან კვალს დატოვებს. ძალიან დასაფასებელია, როდესაც დროს გითმობენ და შენს სიხარულს იზიარებენ.

სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ჩამოვწერე სპექტაკლის დადებითი მახასიათებლები:

- თანამშრომლობითი უნარების განვითარება – კლასის გუნდად ყალიბდება;
- შემოქმედებითობა – იდეები შენ თვალწინ იბადება, თითქოს ხელს ჰკიდებ და ამიწებ, თვალსაჩინოს ხდი და ამას ეჩვევიან ბავშვებიც, რომლებიც მარტივად ისრუტავენ ყველაფერს;
- პრობლემების გადაჭრის გზების მყისიერი პოვნა და ერთმანეთის დაყენება ამ გზებზე;
- ცოდნის შეძენა – სცენარი სიახლეებს სთავაზობს გუნდის თითოეულ წევრს, რომელიც შემდეგ აუდიტორიას გადასცემს ცოდნას;
- ეფექტური მოსმენა – უსმენ სხვებს, ამის გარეშე შენ როლს ვერ მოირგებ, ვერ ითამაშებ;
- კინესთეტიკურ შესაძლებლობების გამოვლენა – მოძრაობა და ქორეოგრაფიული სცენები

სხეულს აფხიზლებს, ენდროფინები ჭარბად გამოიყოფა;

- იმპროვიზაცია – მუდმივად მზად ხარ ცვლილებებისთვის და ხშირად გუნდის თითოეული წევრი თავად მთავაზობდა უკეთეს იდეას;
- საკუთარი თავის რწმენა გიღვივდება;
- სხვის ნდობას სწავლობ;
- ლიტერატურა, მუსიკა, ცეკვა, ხატვა გემოვნებას ხვეწს და ბავშვებს კულტურას აზიარებს;
- ფანტაზია ვითარდება;
- ფორმების შექმნა სივცულ აზროვნებას აფართოებს, კეთების, შექმნის პროცესი დადებითი ენერგეტიკით მუხტავს გარემოს;
- მეტყველება უმჯობესდება – ხვდებიან ინტონაციის, პაუზის როლს;
- სასკოლო საზოგადოების ცხოვრებაში სიხარული შეგაქვს;
- დაფარული შესაძლებლობების გამოვლენის უნიკალური შესაძლებლობა ეძლევათ – ამას თავად ბავშვებიც ხვდებიან და აღნიშნავენ;
- ერთმანეთის აღიარებას ეჩვევიან;
- თითოეული მოსწავლის როლის გააქტიურება – სასკოლო საზოგადოებას ბავშვებს აჩვენებ სხვა პერსპექტივით;
- მშობლებისთვის სკოლის როლისა და სასკოლო ღონისძიების მნიშნელოვნობის წარმოჩენა;
- მყისიერი გადაწყვეტილებების ქარბორბალაში ტრიალი – ეს კი სწორედ ის არის, რაზეც ხშირად ვსაუბრობთ, ვგულისხმობ, სწავლის უმთავრეს მიზანს – ბავშვის ცხოვრებისთვის მომზადებას;
- სიხარულის ჩუქება ერთმანეთისთვის;
- ღირებულებებითი სწავლება – ჩვენი სპექტაკლის სცენარის მთავარი გზავნილი წარსულის ცოდნასთან ერთად ის იყო, რომ სიკეთე მუდამ იმარჯვებს ბოროტებაზე და ამის ჩვენს წინაპრებს სწამდათ.

სპექტაკლის ბოლოს ქაჯები თავს დაესხმიან ღვთისშვილებს. პაპა და ბებო ბავშვებს სთხოვენ იდეის მოფიქრებას. ხვთისო და მზექალა ამბობენ, ქალღმერთებისა და ღვთისშვილების მიერ ნაჩუქარი ჯადოსნური ნივთები გამოვიყენოთო. ბოლოს ბერი ბუქნაი ბაადურის მიერ ნაჩუქარ ნატვრისთვალს ჰაერში ისვრის და იტყვის, ნატვრისთვალო, ნატვრით გინატრებ და ნატვრა შეგვისრულე, ადამიანების გულები სიკეთით აავსეო. ჩვენს ქვეყანას და შემდეგ მთელ დედამიწას, როგორც ეს ნიაზ დიასამიძის სიმღერაშია, ვუსურვებ სიკეთით ავსებას.

გამოხმაურების ბარათები

ამ ვრცელი სტატიის ბოლოს კი გთავაზობთ ამონარიდებს გამოხმაურების ბარათებიდან, რომლებიც სპექტაკლიდან მესამე დღეს შეავსეს.

- **მომიყევი ისეთი რამ, რაც მე ვერ შევნიშნე და გსურს, რომ ვიცოდე:**

„მე ჩემი სიტყვის დროს უნდა მეთქვა: „თუ მონადირეები პატივს მცემენ, ფრთებიც მაქვს“ და ფრთების მაგივრად რქები ვთქვი“. – **ანასტასია**

„მე და დაჩი როდესაც „ვჩხუბობდით“, ხელებს რომ ვიქნევდით ცეკვის დროს, ხელების ქნევა ერთად დავიწყეთ და ორივემ ხელი სახეში გავირტყით“. – **თედო**

„დევის როლიდან პაპაზე რომ გადავდიოდი, წინდები არასწორად ჩავიცვი და ფეხსაცმელებიც“. – **გაბრიელი**

„ქაჯები რომ ვითომ მოვკვდით და რომ დავწექით, ნუცა დარჩა და ვეძახოდით ყველა, მოკვდითო“. – **სალომე**

„როდესაც ჩემი გამოსვლა იყო, ლამის მთლიანი სცენარი ვთქვი და არა – შემოკლებული“. – **საბა**

„ანდრიამ ჩუმად რომ ხმალი აიღო წრეზე ტრიალის დროს“. – **ცოტნე**

„საბამ ჩემი ხმალი ჩუმად კულისებში შემომაწოდა“. – **დაჩი**

„სცენაზე რომ ვიყავი, შემთხვევით ცეკვის დროს ჩუსტი გამძვრა, მაგრამ არავის შეუმჩნევია“. – **თამარი**

„ტექსტში, რომელიც უნდა მესწავლა, მანდ ჯადოსნურის ნაცვლად ჯადონური ეწერა“. – **ლუკა**

„სანამ დაიწყებოდა სპექტაკლი, ბავშვები ფარდებიდან იხედებოდნენ, მე კი ხელით ვეუბნებოდი, რომ უკან შეეყოთ თავები“. – **ლიზი**

„ის, რომ ქაჯების დროს მე არ დავწექი და ამ დროს სალომე მეჩურჩულებოდა, მოკვდი, ქალო, მოკვდიო“. – **ნუცა**

ნესტან მიქაძე

პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრება

- აქტივობები პროფორიენტაციის გაკვეთილისთვის

„ჩვენს უნარებზე უფრო ბევრად მნიშვნელოვანი ჩვენი გადაწყვეტილებებია ..., ისინი აჩვენებენ, ვინ ვართ ჩვენ სინამდვილეში“.

ჯოან როულინგი

თანამედროვე სამყაროში ადამიანის პირად და სოციალურ კეთილდღეობას უმეტესწილად განსაზღვრავს პროფესიული არჩევანი. საკუთარი კარიერული მომავლის წარმატებულად დასაგეგმად, ახალგაზრდები საჭიროებენ რჩევებსა და თანადგომას.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის პირად და სოციალურ კეთილდღეობას უმეტესწილად განსაზღვრავს პროფესიული არჩევანი. საკუთარი კარიერული მომავლის წარმატებულად დასაგეგმად, ახალგაზრდები საჭიროებენ რჩევებსა და თანადგომას. ჩვენს ეპოქაში შრომითი ბაზარი სწრაფად იცვლება, ტექნოლოგიების დაჩქარებული განვითარება აჩენს ახალ პროფესიებს. შესაბამისად, აუცილებელია, მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება. პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა არ არის მხოლოდ კარიერული წარმატების წინაპირობა, ეს არის გზა თვითშემეცნებისკენ. პროფორიენტაციის გაკვეთილები ეხმარება მოზარდს, მიიღოს გადაწყვეტილებები მეტად გააზრებულად და მიზანმიმართულად.

სკოლაში გონივრულად დაგეგმილი პროფორიენტაციის აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და ეხმარება ახალგაზრდას პროფესიის სწორად არჩევაში. ეს პროცესი მოითხოვს მრავალფეროვან მიდგომებს, დაკვირვებას, თანაშშრომლობას და მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას; მოზარდის მისწრაფებებსა და პირად საჭიროებებზე საუბრებს. საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული შესატყვისი ღონისძიებები დაეხმარება მოზარდს საკუთარი ინტერესების, უნარებისა და შესაძლებლობების უკეთ გააზრებაში და მომავლის წარმატებულად დაგეგმვაში.

შეიძლება ვიყოთ პროფესიონალები და ამასთანავე ბედნიერები? ანუ, ერთდროულად ავაწყოთ წარმატებული კარიერა და სრულფასოვანი პირადი ცხოვრება? – სწორედ ამ კითხვის პასუხი გახლავთ პიროვნული წარმატების გასაღები.

ჩვენს ეპოქაში ადამიანის მთავარი საზრუნავი გახდა პროფესიული თვითრეალიზაცია. შესაბამისად, პირადი ცხოვრება ხანდახან ჩრდილში რჩება. ზოგჯერ კარიერისთვის უარს ვამბობთ ადამიანურ ურთიერთობებზე, ან პირიქით, პირად ურთიერთობებში ჩართულობით თავს ვზღუდავთ პროფესიულ განვითარებაში. საქმე გვაქვს არა უბრალოდ არჩევანთან, არამედ – ბალანსის ძიებასთან.

წინამდებარე სტატიაში შევეცდები, დაგაფიქროთ, რამდენად რეალურია ამ ბალანსის მიღწევა, რა როლს თამაშობს საზოგადოება და კულტურული ჩარჩოები ჩვენს გადაწყვეტილებებზე. საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა – როგორ მოვახერხოთ, რომ ვიყოთ წარმატებული პროფესიონალები და ამასთანავე ბედნიერები, ანუ ერთდროულად შევძლოთ კარიერული წინსვლა და პირადი ცხოვრების ჰარმონია.

პროფესიული ზრდა, სწავლა, მუდმივი განვითარება და შრომა – ეს ყველაფერი, რაც კარიერულ წარმატებას ქმნის, მოითხოვს დროს, ენერგიას და მენტალურ ჩართულობას. ხშირად ადამიანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, ხედავენ წარმატებას როგორც მიზანს, რომელსაც „ყველაფრის ფასად“ უნდა მიაღწიონ. კარიერის გზაზე ადამიანი გრძნობს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ ოჯახის, მასწავლებლების, საზოგადოების წინაშეც.

სწავლების საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული და მნიშვნელოვანი ეტაპია. ამისთვის საჭიროა საკუთარი მიღწევების შეჯამება და გადაფასება, ინტერესებში გარკვევა და სურვილების თან-

მიმდევრული ფორმულირება. საკუთარი მომავლის წარმატებულად დასაგეგმად, აუცილებელია ყველა ვარიანტის გაცნობა, საკუთარი შესაძლებლობების შეფასება და სწორი არჩევანის გაკეთება. ხშირ შემთხვევაში ადამიანი ამას დამოუკიდებლად, ხანდახან საკმაოდ სპონტანურად და უპრობლემოდ აკეთებს. თუმცა, ზოგჯერ, აღწერილი პროცესის უმტკივნეულოდ და წარმატებით გასავლელად შესაბამისი მხარდაჭერაა საჭირო. ამ მხარდაჭერაში ერთი მნიშვნელოვანი მომენტია პიროვნულ სურვილებთან და პირად ცხოვრებასთან კარიერული წინსვლისთვის საჭირო პროცესებში წონასწორობის დაცვა.

წარმატება იშვიათად მოდის მარტივად. ის მოითხოვს დიდ დროს, რაც თავისთავად გულისხმობს ნაკლებ ურთიერთობას მეგობრებთან, ხანმოკლე შეხვედრებს ახლობლებთან, გადადებულ დღესასწაულებს, ხანდახან კი დაკარგულ ურთიერთობებს. ამ დროს ჩნდება კითხვა – **ღირს თუ არა კარიერული წინსვლა პირადულის გვერდზე გადადების სანაცვლოდ?** არის თუ არა შესაძლებელი, ამ ფასის გადახდა ისე, რომ ადამიანის პირადი სივრცე არ დაინგრეს.

პროფესიის დაუფლება ადამიანს საშუალებას აძლევს, სრულად გამოიყენოს თავისი უნარები და ნიჭი, მიაღწიოს კარიერულ წარმატებას და მიიღოს სიამოვნება საქმიანობისგან, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პროფესიონალად ჩამოყალიბებასა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას.

პირადი ცხოვრება კი ინდივიდის პირადი და ოჯახური ურთიერთობების ხელშეუხებლობის უფლებაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების ფიზიკური და მორალური უფლებების დაცვას, რაც ადამიანის ფსიქოლოგიური კეთილდღეობისა და ბედნიერების საფუძველია. პირადი ცხოვრება და ურთიერთობები, ოჯახი, მეგობრობა, სიყვარული – სწორედ ეს ყველაფერი ქმნის ადამიანის შინაგან წონასწორობას. ხშირად, სწორედ ეს კავშირებია შთაგონების წყარო, რომლებიც პროფესიულ გზაზეც გვეხმარება, მაგრამ **პირადი ცხოვრება სიფრთხილეს და მუდმივ მზრუნველობას მოითხოვს – სწორედ იგივე სჭირდება პროფესიულ ზრდასაც.**

ზოგჯერ ადამიანებს აშინებთ, რომ პირადი ცხოვრება შეაფერხებს მათი პროფესიული მიზნების განხორციელებას. სხვებისთვის კი პირადი ურთიერთობა იქცევა იმ საყრდენად, რომლის გარეშეც ისინი საკუთარ პროფესიაშიც ვერ განვითარდებიან. ეს განსხვავებული მიდგომები ცხადყოფს, რომ **პროფესიული წარმატება და პირადი ბედნიერება არ უნდა განვიხილოთ როგორც ურთიერთგამომრიცხავი მიზნები.** პირიქით, ისინი შეიძლება ერთმანეთის განმტკიცებისა და ჰარმონიული თანაარსებობის საფუძვლად იქცეს.

როგორ უნდა გავუმკლავდეთ პროფესიულ მოთხოვნებს ისე, რომ პირადი ცხოვრება არ დავაზარალოთ? ბალანსის ძიების უნივერსალური ფორმულა, რომელიც ამას განსაზღვრავს, რა თქმა უნდა, არ არსებობს. ეს გზა ინდივიდუალურია, მაგრამ არსებობს ზოგადი მიდგომები, რომლებიც ადამიანებს დაეხმარება ჰარმონიის მიღწევაში.

- მნიშვნელოვანია პრიორიტეტების გააზრება და პერიოდული გადახედვა. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე პრიორიტეტები იცვლება. თუ კარიერის დასაწყისში პროფესიულ განვითარებას სჭირდება მეტი ენერგია, ეს არ ნიშნავს, რომ სამუდამოდ უნდა დავთმოთ პირადი ურთიერთობები. პირიქით, პირადი კომფორტული ყოფა გვეხმარება თავი შევინარჩუნოთ და წარმატება მივაღწიოთ კარიერულ საქმიანობაშიც;
- უნდა მოვახერხოთ დროის მართვა და პირადი სივრცის დაცვა. პირადი საქმიანობისთვის საჭირო დრო არ არის უსარგებლო, ის ჩვენი გონების და ემოციური სისტემის გადატვირთვის საშუალებაა. დროის გონივრულად გადანაწილება ორივე მხარეს აძლიერებს. მნიშვნელოვანია, საჭიროების შემთხვევაში მივცეთ საკუთარ თავს „არას“ თქმის უფლება;
- აუცილებელია მხარდაჭერის სისტემის შექმნა. დიდი რესურსია, თუკი გვერდით გვყავს ოჯახის წევრი, მეგობარი, ახლობელი, ვისაც ესმის და გვიცხადებს მორალურ და რეალურ დახმარებას. ასეთივე მხარდაჭერა სჭირდება პირად ურთიერთობებსაც – თუკი პროფესიაში ვართ ჩაფლული, არ უნდა დაგვავიწყდეს ემოციური თანადგომა მათთვის, ვინც გვერდით გვყავს;
- უმთავრესია პირადულსა და პროფესიას შორის ბალანსის დაცვა. პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრება, ორივე ჩვენი ცხოვრების ნაწილია და ორივეს სჭირდება

> მზრუნველობა, დრო და გულწრფელი ჩართულობა. **პრობლემები იქ ჩნდება, სადაც ვივიწყებთ რომელიმე მათგანზე ზრუნვას.**

მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი ჰარმონიის მიღწევა პროფესიულ და პირად ცხოვრებას შორის ყოველთვის არ არის შესაძლებელი, შეგნებული მცდელობა ამ ბალანსის მიღწევისკენ წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს. **პროფესია მხოლოდ კარიერული წინსვლის საშუალება არ არის – ის ჩვენი თვითგამოხატვის, თვითშეფასების და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნის გზაა. პირადი ცხოვრებაც** არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ემოციური გამოცდილებების წყაროდ; ის **წარმოადგენს ჩვენს ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს სტრესის შემცირებას და საერთო კეთილდღეობას.** ამ ორი სფეროს დაბალანსება მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ერთად ქმნიან ჩვენს სრულფასოვან ცხოვრებას და უზრუნველყოფენ სულიერ წონასწორობას. ორივე წარმოადგენს ადამიანის სრულყოფილების, განვითარებისა და სულიერი წონასწორობის მნიშვნელოვან კომპონენტებს.

გთავაზობთ აქტივობებს თემაზე – **„პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრება“**, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ჩართულობას, თვითშემეცნებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მსგავსი გაკვეთილები სამომავლოდ განაპირობებს მოზარდში პროფესიული გზის არჩევის, წარმატების მიღწევის და პირად ცხოვრებაზე გავლენის დინამიკის „წესების“ დაუფლებას. მნიშვნელოვანია, რამდენიმე თეზისი, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მსგავსი შინაარსის გაკვეთილის გეგმის შედგენაში:

- რატომ არის მნიშვნელოვანი კარიერასა და პირად ცხოვრებას შორის ბალანსის დაცვა; რა დადებითი შედეგები მოაქვს მას ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, ურთიერთობებისთვის და საერთო კეთილდღეობისთვის.
- რა რისკებს შეიცავს გადაჭარბებული ჩართულობა სამსახურში ან, პირიქით, მხოლოდ პირად ცხოვრებაზე კონცენტრირება კარიერული განვითარების ხარჯზე; როგორ აისახება ეს სტრესზე, გადაღლილობაზე, ურთიერთობების გაფუჭებაზე.
- რა პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა შეუძლიათ ადამიანებს, რომ უკეთესად დააბალანსონ კარიერა და პირადი ცხოვრება. მაგ:
  - დროის მენეჯმენტი და პრიორიტეტების განსაზღვრა;
  - სამსახურიდან „გათიშვის“ უნარი და თავისუფალი დროის მნიშვნელობა;
  - ჰობისა და ინტერესებისთვის დროის გამონახვა;
  - მხარდამჭერი სოციალური წრის არსებობა;
  - საკუთარ თავზე ზრუნვა (ჯანსაღი კვება, ვარჯიში, ძილი);
  - სამუშაო საათების რეგულირება და მოქნილი სამუშაო გრაფიკი (შესაძლებლობის ფარგლებში).
- როგორ **უწყობს ან უშლის ხელს არსებული სამსახურებრივი გარემო და დამსაქმებელი თანამშრომლებისთვის ბალანსის შენარჩუნებას;** რა პოლიტიკა და ინიციატივები არსებობს ამ მიმართულებით.
- როგორ მოქმედებს თანამედროვე ტექნოლოგიები (მაგალითად, მუდმივი ხელმისაწვდომობა ელექტრონულ ფოსტაზე, სოცი-

აუცილებელია, მოსწავლეებმა ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან დაიწყონ საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გაცნობიერება. პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერა არ არის მხოლოდ კარიერული წარმატების წინაპირობა, ეს არის გზა თვითშემეცნებისკენ. პროფორიენტაციის გაკვეთილები ეხმარება მოზარდს, მიიღოს გადაწყვეტილებები მეტად გააზრებულად და მიზანმიმართულად.

ალურ ქსელებზე) ბალანსზე და როგორ შეიძლება მათი გონივრულად გამოყენება. „იდეალური“ ბალანსი ყველასთვის განსხვავებულია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე, ღირებულებებსა და ცხოვრების ეტაპზე.

გაკვეთილის სავარაუდო აქტივობები:

- აქტივობა – პროფესიის არჩევის ფაქტორები
  მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ, რა ფაქტორები ახდენს გავლენას პროფესიის არჩევაზე (ინტერესები, უნარები, ოჯახური გარემო, ფინანსური მდგომარეობა და ა.შ.), შემდეგ გაიმართება დისკუსია თემაზე – „შესაძლებელია თუ არა ერთდროულად ვიყოთ წარმატებული პროფესიონალი და ბედნიერი ადამიანი?“.

- აქტივობა – წერილი მომავალს
  მოსწავლეები მისწერენ წერილს საკუთარ თავს, სადაც აღწერენ, როგორ წარმოუდგენიათ საკუთარი ცხოვრება 10-15 წლის შემდეგ. ისაუბრებენ, რა პროფესია აქვთ, სად და როგორ ცხოვრობენ, არიან თუ არა კმაყოფილი განვლილი გზით, რამდენად ახერხებენ ბალანსის დაცვას პირად ცხოვრებასა და კარიერას შორის და ა.შ.

- აქტივობა – როლური თამაში
  თეატრალიზებულად წარმოადგენენ გარკვეული პროფესიის ადამიანების ცხოვრების ეპიზოდებს – ექიმის, იურისტის, დიპლომატის, არქიტექტორის, მხატვრის, მასწავლებლის, ფიზიკოსის, მფრინავის და ა.შ., რომლებიც ცდილობენ პირად ცხოვრებასა და პროფესიულ ვალდებულებებს შორის ოქროს შუალედის პოვნას.

- აქტივობა – ბალანსის დიაგრამა
  მოსწავლეები ქმნიან დიაგრამას, სადაც ასახავენ კვირის განმავლობაში პროფესიულ და პირად საქმიანობებზე დახარჯულ დროს.

- აქტივობა – ინტერვიუ ან მინი-ისტორიები
  მოსწავლეები იღებენ ინტერვიუს დიდებისგან მათ პროფესიაზე: რა გზა გაიარეს, ახერხებენ თუ არა სამუშაოსა და პირად ცხოვრებაში ბალანსის დაცვას, როგორია მათი ყოველდღიურობა; მოიძიებენ რეალური ადამიანების ისტორიას – ვინც პირადი ცხოვრების ხარჯზე მიაღწია/ვერ მიაღწია, ან მოახერხა სასურველი წონასწორობის დაცვა.

- აქტივობა – მომავლის CV
  მოსწავლეები შექმნიან საკუთარ CV-ის 10 წლის შემდეგ. სად ცხოვრობენ, როგორი ოჯახური მდგომარეობა აქვთ, რა განათლება მიიღეს, სად არიან დასაქმებული და ა.შ.

- აქტივობა – პროფესიების და ცხოვრების სტილის სქემა
  მოსწავლეები ქმნიან პროფესიების სქემას, სადაც აჩვენებენ, როგორია კონკრეტული პროფესიის მქონე ადამიანის დღიური გრაფიკი;

- აქტივობა – ღირებულებების პირამიდა
  რა უნდა დათმო, რათა რაღაც მნიშვნელოვანი მოიპოვო?
  მოსწავლეები ქმნიან პირად ღირებულებათა პირამიდას: ოჯახის, პროფესიის, მეგობრების, თავისუფალი დროის, ჯანმრთელობის, მოგზაურობის და სხვა ასპექტების გადანაწილებით.

- აქტივობა – როლური თამაში: **ჩემი ცხოვრების 24 საათი**
  ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, მოსწავლეები ადგენენ დღის წესრიგს სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანისთვის და არკვევენ, რამდენად რჩებათ დრო პირადი ცხოვრებისთვის. საკუთარი ფანტაზიით მოიფიქრებენ შესაძლო კურიოზულ შემთხვევებს. იმსჯელებენ, რამდენად რეალურია ეს განრიგი და ასეთი ყოფა, რას შეცვლიდნენ.

გაკვეთილი „პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრება“ დაეხმარება მოსწავლეებს გააცნობიერონ, როგორ შეიძლება პროფესიული არჩევანი და პირადი ცხოვრების დაგეგმვა იყოს თანხვედრაში, რათა მათ შეძლონ საკუთარი ინტერესებისა და ღირებულებების გათვალისწინებით წარმატებული მომავლის შექმნა. პროფესიის დაუფლება და პირადი ცხოვრების ჰარმონიზაცია არ არის მარტივი ამოცანა, თუმცა მიზანმიმართული შრომითა და თვითშეცნობით შესაძლებელია მათი დაბალანსება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა ადამიანმა იპოვოს საკუთარი გზა, რომელიც მისცემს საშუალებას, იყოს პროფესიულად წარმატებული და ამავდროულად, შეინარჩუნოს პირადი ბედნიერება.

ქეთევან ოსიაშვილი

როგორ განვავითაროთ ბავშვში თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალების რწმენა

ბავშვში თავდაჯერებულობის განვითარება დიდწილად ჩვენზე, უფროსებზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ ვურთიერთობთ მასთან. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და არ ვაკეთებთ, სიტყვები, რომლებსაც ჩვენ ბავშვს ვეუბნებით და არ ვეუბნებით, გრძნობები, რომლებსაც გამოვხატავთ ან არ გამოვხატავთ – ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენთან ურთიერთობაში მყოფ ბავშვზე, მის თავდაჯერებულობაზე.

ვფიქრობ, ნებისმიერი ადამიანი, ვისაც ბავშვებთან ურთიერთობის საშუალება აქვს, შეამჩნევდა, რომ მათ შორის შეიძლება შევხვდეთ პატარებს, რომლებიც ხშირად უარს ამბობენ ისეთი რამის გაკეთებაზე, გაურბიან ისეთ საქმიანობაში ჩართვას, რაშიც ვიცით, რომ წარმატებას მიაღწევენ. როგორც წესი, მათგან არცთუ იშვიათად შეიძლება მოვისმინოთ ისეთი ფრაზები, როგორიცაა: „მე ამას ვერ გავაკეთებ, არ შემიძლია, არ გამომივა“; „ვშიშობ გამოცდას ვერ ჩავაბარებ“; „არა მგონია, რომ ჩვენი სკოლის საფეხბურთო გუნდში მიმიღონ“; „დარწმუნებული არ ვარ, რომ გიტარაზე ისე კარგად დავუკრავ, როგორც ჩემი მეგობარი უკრავს“ და ა.შ. ასეთ დროს უფროსები, პედაგოგები და მშობლები ცდილობენ, საპირისპიროში დაარწმუნონ ბავშვი, მაგრამ მას არ სჯერა და საკუთარ თავში იკეტება. ასეთ პატარებს, როგორც წესი, აკლიათ თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალების რწმენა. ამ თვისებების გარეშე კი მას მომავალშიც ძალიან გაუჭირდება წარმატების მიღწევა და თვითრეალიზება.

ბავშვში თავდაჯერებულობის განვითარება დიდწილად ჩვენზე, უფროსებზეა დამოკიდებული, იმაზე, თუ როგორ ვურთიერთობთ მასთან. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ და არ ვაკეთებთ, სიტყვები, რომლებსაც ჩვენ ბავშვს ვეუბნებით და არ ვეუბნებით, გრძნობები, რომლებსაც გამოვხატავთ ან არ გამოვხატავთ – ეს ყველაფერი გავლენას ახდენს ჩვენთან ურთიერთობაში მყოფ ბავშვზე, მის თავდაჯერებულობაზე.

რეკომენდაციები – როგორ განვავითაროთ ბავშვში თავდაჯერებულობა და საკუთარი ძალების რწმენა:

- გამოვიჩინოთ სიყვარული და მიმღებლობა ბავშვის მიმართ განურჩევლად მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობისა. რა თქმა უნდა, ნებისმიერ მშობელს უყვარს საკუთარი შვილი ყველაფრის მიუხედავად, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მთავარია, ბავშვმა იცოდეს, რომ ჩვენ ის გვიყვარს, ვიღებთ და პატივს ვცემთ მის არჩევანს. გამოვხატოთ სიყვარული ბავშვის მიმართ მაშინაც კი, თუ ამის გაკეთება ყოველთვის არ შეგვიძლია. ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ და იღებენ იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა უპირატესობები და ნაკლოვანებები აქვს მას, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების მიუხედავად. გავითვალისწინოთ, რომ ბავშვი არ უნდა ცხოვრობდეს უფროსების, უპირველეს ყოვლისა კი მშობლების სიყვარულისათვის ბრძოლაში. მივიღოთ პატარა ისეთი, როგორიც არის და შევიყვაროთ თავისი ნაკლოვანებებით. უპირობო სიყვარული არის იმის საფუძველი, რომ ბავშვი გაიზარდოს თავდაჯერებულ ადამიანად. მთავარია, პატივი ვცეთ პატარას, როგორც პიროვნებას. მშობლიური სიყვარული, შექება და მხარდაჭერა ხომ ბედნიერი და წარმატებული პიროვნების საიდუმლოა;
- ყურადღება გავამახვილოთ, ფოკუსირება მოვახდინოთ ბავშვის ძლიერ მხარეებზე. არავინაა იდეალური და ამ მხრივ არც ბავშვები არიან გამონაკლისი. მაგრამ, იმისათვის, რომ მათში თავდაჯერებულობა აღვზარდოთ, არ უნდა ვიყოთ ფოკუსირებული ნაკლოვანებებზე. ბავშვის აღზრდა მიმართული უნდა იყოს მისი ხასიათის ძლიერი მხარეების განვითარებაზე. ამავდროულად ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ შეუძლია განვითარება და სხვადასხვა დავალებების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში (მაგ. თუ ბავშვი ცუდად სწავლობს სკოლაში, განიცდის წარუმატებლობას სპორტში და ა.შ.) ჩვენ მოგვიწევს დავეხმაროთ მას, დაინახოს საკუთარი ძლიერი მხარეები, ვუთხრათ, რა შეიძლება გამოუვიდეს კარგად, სად შეუძლია

წარმატების მიღწევა, რაშია ძლიერი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შეცდომები ყურადღების მიღმა უნდა დავტოვოთ. ვასწავლოთ ბავშვს, რომ შეცდომები გაკვეთილებად გამოიყენოს, ისწავლოს შეცდომებზე, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მის მიღწევებს. ეს ბავშვს შეახსენებს, რომ მას მონდომების შემთხვევაში შეუძლია წარმატების მიღწევა;

- ნუ ვიჩქარებთ, მოვერიდოთ ბავშვის დახმარებას პირველივე სირთულის დროს. მშობლები, როგორც წესი, ცდილობენ დაიცვან შვილები და გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ მათ არ იგრძნონ დამარცხების, იმედგაცრუების და ტკივილის სიმწარე. თუმცა, არ არის არც სასურველი და არც მიზანშეწონილი ბავშვის დახმარება ყოველ ჯერზე, როდესაც ის უმცირეს პრობლემას წააწყდება. ჩვენ შეგვიძლია მას გარკვეული დახმარება გავუწიოთ, მაგრამ, საკუთარი პრობლემები ბავშვმა თავად უნდა გადაჭრას დამოუკიდებლად;
- მივცეთ ბავშვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება. გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული უნარია, რომლის დაუფლება პატარას თავდაჯერებულობის, საკუთარი ძალების რწმენის მოსაპოვებლად სჭირდება. გადაწყვეტილების მიღება ძალას მატებს ბავშვს, რადგან ის ხედავს სხვადასხვა შესაძლებლობას და შეუძლია აირჩიოს ის, რაც მას ყველაზე მეტად მოსწონს. თუმცა, სანამ განვითარებაში მომწიფების გარკვეულ დონეს არ მიაღწევს, ბავშვმა შეიძლება არ იცოდეს, როგორ მიიღოს გადაწყვეტილებები. იმისათვის, რომ დავეხმაროთ პატარას, ისწავლოს გადაწყვეტილების მიღება, დასაწყისში შევთავაზოთ მას ორი ვარიანტი ასარჩევად. მაგ. ექვსი წლის გოგონას შეიძლება შევთავაზოთ აირჩიოს, რა ჩაიცვას სკოლაში. მაგრამ, ავუხსნათ, რომ მას არ შეუძლია, აირჩიოს წავიდეს თუ არა სკოლაში. ბავშვისთვის არჩევანის გაკეთების უფლების მიცემით (მაგ. რა ჩაიცვას, რა ფილმს უყუროს და ა.შ.) ჩვენ ასევე ვასწავლით მას პასუხისმგებლობის საკუთარ გადაწყვეტილებაზე აღებას;
- წავახალისოთ და განვავითაროთ ბავშვის ნიჭი, მისი შესაძლებლობები. თითქმის ყველა ბავშვს რაღაც განსაკუთრებული ნიჭი აქვს, რაღაცის კეთება ძალიან უყვარს და ამასთან კარგადაც გამოსდის. ზოგს უყვარს მუსიკა ან ცეკვა, ზოგი კი კარგად ხატავს. გავარკვიოთ, რაშია ბავშვი ნიჭიერი და განვავითაროთ მისი შესაძლებლობები. თუ ბავშვს ხატვა უყვარს, შევიყვანოთ ის სახელოვნებო სტუდიაში. თუ მას სპორტის რომელიმე სახეობა მოსწონს, ვიზრუნოთ, რომ ის სპორტით დაკავდეს. ბავშვის უნარების, მიდრეკილებებისა და ნიჭის განვითარება საკუთარი ძალების რწმენის გაძლიერების, თავდაჯერებულობის გამომუშავების შესანიშნავი გზაა;
- გავუძლიეროთ ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა. თავდაჯერებულობის ამაღლების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალება ბავშვისთვის პატარა დავალებების მიცემაა, ისეთი დავალებების, რომელთა შესრულებასაც ის ნამდვილად შეძლებს. იმის გაცნობიერება, რომ მას შეუძლია რაღაცის გაკეთება დამოუკიდებლად, პატარას აღფრთოვანებას, ძალას, ენერგიასა და ხალისს მატებს. უძლიერებს ახალი დავალებებისათვის თავის გართმევის სურვილს. როდესაც ბავშვი ადვილად, სირთულეების გარეშე ასრულებს რაიმე დავალებას, მისი ტვინი „იმუხტება“ და მზადაა ახალი დავალებების შესასრულებლად. ამიტომ, კარგი იქნება, თუ პატარას მარტივ საქმეს ვანდობთ. არ დაგვავიწყდეს მისი შექება, როდესაც ის მინდობილ საქმეს კარგად შეასრულებს. მაგ. 8 წლის ბავშვს შეიძლება დავაკისროთ ძაღლის გამოკვება ყოველ დილით. როდესაც ის ამას შეხსენების გარეშე გააკეთებს, შევაქოთ ამისთვის. ეს განამტკიცებს მის თავდაჯერებულობას;
- ვასწავლოთ ბავშვს პოზიტიური თვითმთაგონება. თვითმთაგონება ეს შინაგანი დიალოგია საკუთარ თავთან. ის, რასაც ჩვენ ყოველ წუთს ვეუბნებით საკუთარ თავს, ძლიერ გავლენას ახდენს ჩვენს თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობაზე. ჩვენი აზრები გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებსა და პოტენციურ წარმატებაზე. ამიტომ, თუ ბავშვი მიიჩნევს, რომ მას შეუძლია რაიმე საქმესთან გამკლავება, მისი წარმატების შანსები მნიშვნელოვნად იზრდება. საკუთარი თავისთვის პოზიტიური აზრების შთაგონებით ბავშვები სწავლობენ საკუთარი თავის კონტროლს და ცხოვრებაში წარმატების მიღწევას;
- დავუსახოთ ბავშვს რეალისტური მიზნები. ყველაზე „კარგი“ ხერხი რომ ვაიძულოთ ბავშვი დაეჭვდეს საკუთარ ძალებში, არის მისთვის ისეთი დავალებების მიცემა, რომელთა შესრულებასაც ის ვერ შეძლებს. მაგრამ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ბავშვმა წარმატებას მიაღწიოს ცხოვრებაში და გაიზარდოს საკუთარ თავში, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ, თავდაჯერებულ პიროვნებად, დავუსახოთ მას რეალისტური და ამასთან, მისი ასაკის შესაბამისი მიზნები. მაგ. თუ ჩვენ გვსურს, რომ ბავშვმა ისწავლოს ფორტეპიანოზე დაკვრა, ეს

თავდაჯერებულობის განვითარება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უფროსების მხრიდან დროსა და ყურადღებას მოითხოვს. მუშაობის სწორად წარმართვისა და მონდომების შემთხვევაში კი ჩვენი ძალისხმევა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

სრულიად რეალისტური მიზანია, მაგრამ არარეალურია იმის მოლოდინი, რომ ის ერთ თვეში ისწავლის ამას. ასეთ შემთხვევაში უკეთესი იქნება დავუსახოთ ბავშვს მოკლევადიანი მიზნები: ნოტების სწავლა, მარტივი მელოდიების დაკვრის სწავლა და ა.შ. მაგრამ, თუ გვსურს, რომ ბავშვმა ერთ თვეში მუსიკალურ კონკურსში გაიმარჯვოს, ჩვენ მას წარუმატებლობისა და იმედგაცრუებისთვის მოვამზადებთ და არა თავდაჯერებულობისთვის;

- ვასწავლოთ ბავშვს, „მიიღოს“ საკუთარი მარცხი და წარუმატებლობა. როგორც არ უნდა ვეცადოთ, ჩვენ ვერ შევძლებთ ბავშვის დაცვას წარუმატებლობისა და მარცხისაგან. როგორც ყველა ადამიანმა, ნებისმიერმა ბავშვმა შეიძლება დროდადრო განიცადოს წარუმატებლობა, იგრძნოს ტკივილი და იმედგაცრუება. უნდა ითქვას, რომ ეს სრულიად ნორმალურია. ასეთ შემთხვევაში არ იქნება საკმარისი დავამშვიდოთ პატარა შემდეგი სიტყვებით: „არა უშავს“, „არაფერია“, „არ ინერვიულო“. ვასწავლოთ ბავშვს, იყოს ემოციურად მოქნილი და მშვიდად მიიღოს, როგორც გამარჯვება, ისე დამარცხება. ვუთხრათ, რომ ხანდახან მარცხის განცდა, წარუმატებლობა სრულიად ბუნებრივია და შემდეგ ჯერზე თუ შეეცდება, მოგებასაც შეძლებს. წარუმატებლობის შემდეგ ყოველთვის შეიძლება გზის პოვნა, რომლითაც წარმატებას მივაღწევთ;
- ვიყოთ კარგი მისაბაძი მაგალითი ბავშვისთვის. თუ ჩვენ თავად არ ვართ დარწმუნებული საკუთარ თავში, ეჭვი გვეპარება ჩვენს შესაძლებლობებში, ძალიან მცირეა იმის ალბათობა და არც უნდა ველოდოთ, რომ ჩვენი ბავშვი საკუთარ თავში დარწმუნებული, თავდაჯერებული გაიზრდება. ბავშვები აკეთებენ ისე, როგორც ჩვენ ვაკეთებთ და არა ისე, როგორც ვამბობთ. გავერკვეთ თვითშეფასებასა და თავდაჯერებულობასთან დაკავშირებულ ჩვენ საკუთარ პრობლემებში და გავხდეთ კარგი მისაბაძი მაგალითი ბავშვისთვის.
- წავახალისოთ პატარა, გამოხატოს თავისი გრძნობები. საკუთარ თავში დარწმუნებულ, თავდაჯერებულ ბავშვს შეუძლია, გამოხატოს საკუთარი გრძნობები დისკომფორტის განცდის, ზედმეტი ემოციურობისა და აგრესიის გარეშე. თავდაჯერებულობა გულისხმობს გრძნობების ჯანსაღად გამოხატვას და იმის ცოდნას, თუ როდის არის საჭირო სიმშვიდის გამოვლენა. წავახალისოთ ბავშვი გამოხატოს გრძნობები ზეპირი ან წერილობითი ფორმით, ვასწავლოთ რთულ სიტუაციებში სიმშვიდის შენარჩუნება, ავუხსნათ, რომ არ არის სასურველი საკუთარი გრძნობების ჩახშობა, დათრგუნვა, რადგან შეიძლება ისინი გამოვლინდეს მაშინ, როდესაც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით.

დაბოლოს, გავითვალისწინოთ, რომ თავდაჯერებულობის განვითარება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც უფროსების მხრიდან დროსა და ყურადღებას მოითხოვს. მუშაობის სწორად წარმართვისა და მონდომების შემთხვევაში კი ჩვენი ძალისხმევა აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

შეცდომა

ქრისტინე სურგულაძე

ალბათ ყველას ბევრი წაგვიკითხავს იმის შესახებ, როგორ არ უნდა ველაპარაკოთ მოსწავლეებს, როგორ არ უნდა ვაგრძნობინოთ თავი, როგორ არ უნდა გვეგონოს, რომ მათზე ჭკვიანები ვართ მხოლოდ იმიტომ, რომ მათზე უფროსები ვართ და ა.შ., თუმცა პრაქტიკაში შეცდომა ყველას მოგვდის. მთავარი ალბათ ის არის, რომ ასეთი შეცდომები ვაღიაროთ და გამოვასწოროთ, რადგან მათ შეუძლიათ, საშინელი კვალი დააჩნიონ მოსწავლეთა ემოციებსა და გრძნობებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჩვენ ეს შეცდომები შესაძლოა უმნიშვნელოდ მიგვაჩნდეს.

რამდენიმე თვის წინ ერთ კლასთან, რომელშიც ექვსიოდე თინეიჯერი მყავს, გავდიოდი თემას, რომელიც მთლიანად ლიტერატურას და მის ჟანრებს ეხებოდა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეს ჩემი ერთ-ერთი საყვარელი თავია. ვისწავლეთ არა მხოლოდ ჟანრები, არამედ ანალიზის წერაც. თემის დასასრულს შემაჯამებელი ტესტიც ვწერეთ. ერთმა ბიჭმა, რომელსაც სახელად ჯორდონი ჰქვია, წერა ყველაზე ადრე დაასრულა და სანამ სხვებს ველოდი, მისი ნაშრომის კითხვა დავიწყე. აღმოჩნდა, რომ განხილვისთვის „სამი სხეულის პრობლემა“ აერჩია. ვიცოდი, რომ „სამი სხეულის პრობლემა“ „ნეტფლიქსის“ სერიალი იყო. პირველ სეზონს თავადაც დიდი ინტერესით ვუყურე და მეორეს ველოდი. როცა ჯორდონის ნაშრომის კითხვა დავასრულე, თავი ავწიე და ვუთხარი: „სამი სხეულის პრობლემა“ სერიალია, შენ კი წიგნის განხილვა უნდა დაგეწერა-მეთქი. ჯორდონს სახეზე იმედგაცრუება დაეტყო, რაც ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა: ჩინელი ბავშვები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან სწავლას და ნებისმიერი წარუმატებლობა თუ შეცდომა, რომელზეც მასწავლებელი მიუთითებთ, მათთვის მტკივნეულია. ხმადაბლა ჩაილაპარაკა, შინ წიგნიც მაქვს, ამიტომ მეგონა, სწორად ავირჩიეო. რაკი ასეა, კარგი-მეთქი, მივუგე და ანალიზი თავიდან აღარ დავაწერინე.

გაკვეთილის შემდეგ ინტერნეტში მოვძებნე და აღმოვაჩინე, რომ „სამი სხეულის პრობლემა“ ჩინელი ავტორის ლიუ ცისინის სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ცნობილი ტრილოგიის პირველი ნაწილი ყოფილა, სერიალი კი მის მიხედვით გადაუღიათ.

ასე რომ, სწორედ მე ვიყავი ის, ვინც შეცდომა დაუშვა, მაგრამ თავი დამნაშავედ მოსწავლემ იგრძნო. რომ მეთხოვა, ნამდვილად დაწერდა სხვა განხილვას.

რამდენიმე წამში ჩემს შეცდომაზე რამდენიმესართულიანი სინდისის ქენჯნის სახლი აშენდა, რომელშიც ზუსტად ორი კვირა უნდა მეცხოვრა, ვიდრე ჯორდონს ისევ შევხვდებოდი და ბოდიშს მოვუხდიდი იმის გამო, რომ თავი მასზე ჭკვიანი მეგონა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის საფუძველზე

ჩინელი ბავშვები ძალიან სერიოზულად ეკიდებიან სწავლას და ნებისმიერი წარუმატებლობა თუ შეცდომა, რომელზეც მასწავლებელი მიუთითებთ, მათთვის მტკივნეულია. ხმადაბლა ჩაილაპარაკა, შინ წიგნიც მაქვს, ამიტომ მეგონა, სწორად ავირჩიეო.

შეცდომა ყველას მოგვდის. მთავარი ალბათ ის არის, რომ ასეთი შეცდომები ვაღიაროთ და გამოვასწოროთ, რადგან მათ შეუძლიათ, საშინელი კვალი დააჩნიონ მოსწავლეთა ემოციებსა და გრძნობებს, მიუხედავად იმისა, რომ თავად ჩვენ ეს შეცდომები შესაძლოა უმნიშვნელოდ მიგვაჩნდეს.

შენიშვნა მივეცი, მერე კი მაინცდამაინც არ დავუჯერე, თან აღმოსავლური ნაშრომი დასავლურად მივიჩნიე – ეს ხომ მუდმივი პრობლემაა, რომელსაც თავადაც თვეების განმავლობაში ვიკვლევდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომისთვის.

გადავწყვიტე, მანამდე წიგნი მეყიდა და წამეკითხა. ორი კვირის თავზე გაკვეთილი პრეზენტაციით და ჯორდონისთვის ბოდიშის მოხდით დავიწყე. ბავშვებს მოვუყევი წიგნზეც და სერიალზეც, ჩემი შეცდომაც ვაღიარე. არ დაიჯერებთ, მაგრამ ჯორდონი ფეხზე ადგა და ისე დამიკრა ტაში.

გაკვეთილის ბოლოს, უკვე სხვა თემაზე დისკუსიის დროს, ვიკითხე, მასწავლებლებისგან ყველაზე მეტად რა გაკლიათ-მეთქი. იმის მიხვედრა, რომ, მიუხედავად ასაკში დიდი სხვაობისა, მათი მხრივ პატივისცემა ჩვენც გვჭირდებაო. ვფიქრობ, ყველაფერი თქვეს.

„ტალღა“

თემურ სუყაშვილი

მსოფლიოში რთული გლობალური პროცესები და ცვლილებები მიმდინარეობს. სხვადასხვა ქვეყანაში ფეხს იკიდებს და ძლიერდება არადემოკრატიული რეჟიმები. ამას თან სდევს რადიკალური თუ ულტრამემარჯვენე ძალების აღზევება.

ამ არეულ და ქაოსურ თანამედროვე სამყაროში, პოლიტიკურ იდეოლოგიებში გარკვევა, მათი ავკარგიანობის გააზრება დღეს მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს. გარემოში, სადაც რადიკალური იდეები და ავტორიტარიზმის საფრთხე სულ უფრო აქტუალური ხდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, რათა ერთგვარი იმუნიტეტი გამოვუმუშაოთ საშიში რადიკალური იდეოლოგიების მიმართ.

პოლიტიკური იდეოლოგიები საგან მოქალაქეობის ფარგლებში IX და XI კლასებში ისწავლება.

თეორიულ მასალაზე მუშაობის პარალელურად, ვცდილობთ, დავსვათ კრიტიკული კითხვები და შემდეგ გავცეთ პასუხები. ერთ-ერთ ასეთ კითხვას წარმოადგენს: რამდენად შესაძლებელია თანამედროვე ეპოქაში მკაცრი ავტორიტარული თუ ტოტალიტარული რეჟიმის დამყარება ისეთ სახელმწიფოში, სადაც იყო დემოკრატიული/ჰიბრიდული გარემო?

პასუხების ძიებამ მიგვიყვანა ფილმამდე „ტალღა“.

გერმანული ფილმი **„ტალღა“ (Die Welle)**, დაფუძნებულია რეალურ მოვლენებზე და წარმოადგენს ერთგვარ „კარგ“ გაკვეთილს იმის შესახებ, თუ რა ადვილად შეიძლება დამყარდეს ავტორიტარული რეჟიმი და რა დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს რადიკალურ იდეოლოგიას მთელი საზოგადოებისთვის.

ფილმი მოგვითხრობს საშუალო სკოლის მასწავლებლის რაინერ ვენჯერის ექსპერიმენტზე, სადაც ის ცდილობს, მოსწავლეებს აჩვენოს, როგორ მუშაობს და ფუნქციონირებს დიქტატურა. ერთი შეხედვით უწყინარი ექსპერიმენტი სწრაფად იღებს სახიფათო სახეს. ყველაფერი იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი საკუთარ თავს **„ტალღას“** უწოდებს. ამის შემდეგ, ჯგუფის წევრები ქმნიან და ამკვიდრებენ მკაცრ წესებს, შემოაქვთ სიმბოლოები. კონსპირაციული ჯგუფის წევრები და მათი ხელმძღვანელი, მასწავლებლის სახით, ამკვიდრებს ერთგვაროვანი ქცევის მოდელს. მოსწავლეები, რომლებიც თავდაპირველად უბრალოდ გატაცებულნი იყვნენ ახალი როლით თუ წამოწყებით, თანდათან კარგავენ ინდივიდუალურობას და უსიტყვოდ ემორჩილებიან ჯგუფის ლიდერსა და წესებს.

ფილმი ნათლად აჩვენებს, როგორ ვითარდება ეს პროცესი – ინდივიდუალიზმის დაკარგვიდან გაგრძელებული აზრის თავისუფლების შეზღუდვით და დამთავრებული ძალადობრივ დაპირისპირებამდე მათთან, ვინც „ტალღის“ ნაწილი არ არის. ჯგუფის წევრები განსაკუთრებით აგრესიულნი არიან იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც ექსპერიმენტის დასაწყისში გუნდში იყვნენ და შემდეგ გააცნობიერეს ამ წამოწყების პრობლემურობა, ხოლო ლოიალური ხდებიან მათ მიმართ, ვინც შემდეგ უერთდება მათ.

ამ არეულ და ქაოსურ თანამედროვე სამყაროში, პოლიტიკურ იდეოლოგიებში გარკვევა, მათი ავკარგიანობის გააზრება დღეს მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის ერთგვარ გამოწვევას წარმოადგენს.

გარემოში, სადაც რადიკალური იდეები და ავტორიტარიზმის საფრთხე სულ უფრო აქტუალური ხდება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ახალგაზრდებს ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება, რათა ერთგვარი იმუნიტეტი გამოვუმუშაოთ საშიში რადიკალური იდეოლოგიების მიმართ.

რატომ უნდა ვუყუროთ მოსწავლეებთან ერთად „ტალღას“ და მის რომელ ასპექტებზე გავამახვილოთ ყურადღება?

- ავტორიტარიზმის მექანიზმების გაგება – ფილმში ნაჩვენებია, თუ როგორ იბადება დიქტატურა ყოველდღიურ გარემოში, ერთი შეხედვით უწყინარი ექსპერიმენტიდან. ის გვაჩვენებს მასებით მანიპულირების მაგალითებს. კარგად არის ახსნილი, როგორ ქრება ინდივიდუალური აზრი და როგორ ხდება ნებისმიერი განსხვავებული აზრის ჩახშობა. მოსწავლეები ნათლად დაინახავენ, რომ ავტორიტარიზმი არ არის შორეული მოვლენა ისტორიული წიგნებიდან, არამედ რეალური საფრთხე, რომელმაც შეიძლება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას იჩინოს თავი.
- ჯგუფური ზეწოლისა და კონფორმიზმის ანალიზი – „ტალღა“ შესანიშნავად წარმოაჩენს ჯგუფური ზეწოლის ძალას და იმას, თუ რა ადვილად შეიძლება დაემორჩილოს ადამიანი უმრავლესობის აზრს, საკუთარი ღირებულებების ან საღი აზრის საწინააღმდეგოდ.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება – ფილმი ტოვებს სივრცეს დისკუსიისთვის ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: თავისუფლება, პასუხისმგებლობა, ტოლერანტობა და განსხვავებულობის მიღება. გააანალიზონ ფილმის პერსონაჟების ქცევა, ამოიცნონ მანიპულაციის ტექნიკები და გამოიტანონ საკუთარი დასკვნები.
- რადიკალური იდეოლოგიების საფრთხის გააზრება – ფილმი ნათლად აჩვენებს, თუ რა დამანგრეველი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ერთიანი, რადიკალური იდეოლოგიის გავრცელებას, რომელიც არ ითვალისწინებს განსხვავებულ აზრს და მიმართულია „სხვების“ ან უხილავი თუ გამოგონილი მტრების წინააღმდეგ.



სადისკუსიო კითხვების ჩამონათვალი:

1. როგორ მოახერხა მასწავლებელმა, რომ დემოკრატიულ გარემოში მცხოვრები ახალგაზრდების ძალადობრივ და რადიკალურ ჯგუფად გარდაქმნა?
2. როგორ გრძნობდნენ თავს მოსწავლეები ამ ექსპერიმენტის დროს?
3. როგორ იქცა ერთობა და დისციპლინა საფრთხედ?
4. რას ფიქრობ ექსპერიმენტის მორალურ მხარეზე – მასწავლებლის მოქმედება გამართლებულია თუ არა? რატომ?
5. სად გადის ზღვარი გუნდურობასა და ბრმად დამორჩილებას შორის?
6. როგორ გგონია, შეიძლება თუ არა მსგავსი მოვლენები დღესაც განმეორდეს? რატომ?
7. როგორ განსხვავდება ტოტალიტარული რეჟიმი დემოკრატიულისგან?

ფილმის ერთობლივი ყურებისა და დისკუსიის შემდეგ სასურველია, მოსწავლეებმა შეასრულონ შემდეგი დავალებები:

დავალება I – პარალელები ისტორიიდან

იპოვეთ მინიმუმ ერთი ისტორიული მაგალითი ტოტალიტარული რეჟიმიდან და შეადარეთ ფილმში აღწერილ სიტუაციას:

- როგორ ჩამოყალიბდა ლიდერის კულტის იდეოლოგია?
- რა როლი ჰქონდა განათლებას, პროპაგანდას, მედიას?
- როგორ რეაგირებდნენ ადამიანები განსხვავებული აზრის გამოთქმაზე?

დავალება II – „შეუმჩნეველი ავტორიტარიზმი“

მიზანი: ყოველდღიურ ცხოვრებაში ავტორიტარული ტენდენციების შემჩნევა.

აღწერა: ერთი კვირის განმავლობაში აწარმოეთ დაკვირვების ჟურნალი და ჩაწერეთ:

- საზოგადოებაში/სკოლაში შემჩნეული ავტორიტარიზმის გამოვლინების მაგალითები;
- ჯგუფური ზეწოლის შემთხვევები;
- კონფორმიზმის (ადამიანის მიდრეკილება, მოერგოს ჯგუფის ნორმებს, ქცევებს, აზრებს ან შეხედულებებს – საკუთარი აზრის ან სურვილის საწინააღმდეგოდაც კი – იმისთვის, რომ მიიღონ ან არ გააკრიტიკონ) მაგალითები;
- ხელისუფლების/ავტორიტეტის მიმართ უკრიტიკო მორჩილების ფაქტები.

მომდევნო გაკვეთილზე მოაწყვეთ პრეზენტაცია და დისკუსია: „როგორ ვლინდება შეუმჩნეველი ავტორიტარიზმი ჩვენ ირგვლივ?“.

საქართველოს დღევანდელ რეალობაში, სადაც დემოკრატიული ღირებულებები კვლავ მყიფეა, ეს ფილმი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან ხაზს უსვამს პოპულიზმის საფრთხეებსა და ჯგუფური აზროვნების ნეგატიურ შედეგებზე. მოსწავლეებმა ამ ფილმის შემდეგ შეიძლება ისწავლონ კრიტიკული აზროვნების მნიშვნელობა და საკუთარი პოზიციის დაცვის აუცილებლობა მაშინაც კი, როდესაც უმრავლესობა საწინააღმდეგო აზრზეა. ფილმი ეხმარება ახალგაზრდებს გააცნობიერონ, რომ დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნება მუდმივ სიფხიზლესა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

შარლ-ლუი დე მონტესკიეს ფრაზა: „პრინცის ტირანია ფეოდალურ სახელმწიფოში საერთო კეთილდღეობისთვის ნაკლებ მავნებელია, ვიდრე მოქალაქის აპათია დემოკრატიულ სახელმწიფოში“ – აქტუალური სწორედ დღეს ხდება, რადგან ჩვენი პასიურობით შეიძლება დავკარგოთ ისეთი ღირებულებები, როგორებიცაა: თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა, განსხვავებული აზრის მოსმენა-გაზიარება და ა.შ.

ცირა ბარბაქაძე

ციფრული ჯინი - გენერაციული ჩატბოტის მეტაფორა

როდესაც ჩატბოტებთან კომუნიკაცია დავიწყე, ინტუიციურად ჩემი პირველი ფრაზა ხშირად ასე იწყებოდა (და იწყება ახლაც): „– გამარჯობა, ციფრულო ჯინო“, რასაც მოჰყვებოდა ტრადიციულად ჩატბოტის პასუხი: „– გამარჯობა, ცირიუს, გისმენ და გემორჩილები!“. ამ სახალისო მისალმების შემდეგ გადავდიოდით უკვე ჩვენს განსახილველ თემაზე. მოდი, ახლა ციფრული ჯინის მეტაფორა უფრო ჩავშალოთ: მართლაც, როგორ ჰგავს ზღაპრული ოცნებების ასრულებას ჩატბოტებთან კომუნიკაცია. წარმოიდგინე, ეუბნები: წადი ახლა და ამა და ამ თემაზე მომიტანე 20 სამეცნიერო სტატია და წიგნი... ჯინი „წავა“ და წამებში მოგიტანს. ჰო, კიდევ ერთი პრომპტი უნდა მიაყოლო: „გადაამოწმე წყაროები და მიუთითე ბმულები“. უკვე იცით, რომ მან შეიძლება რაღაც ნაწილი შეთხზას და თან ისე ბუნებრივად, ეჭვიც არ შეგეპარებათ სინამდვილეში. ახლა წარმოიდგინე, 90-იან წლებში მიდიხარ საჯარო ბიბლიოთეკაში და წიგნებს ეძებ... რამდენი საათი, დღე, კვირა დაგჭირდებოდა სასურველი ტექსტები რომ მოგეძიებინა? ამას ჰქვია დროის ეკონომია... ეს მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ფრაგმენტია იმ საჭიროებებიდან, რომლებიც ადამიანს ყოველდღიურად აქვს. უკვე თითქმის ხელოსანიც აღარ მჭირდება – გათბობის სისტემაა თუ ლეპტოპის შეკეთება, – ყველაფერში ჩემი „ციფრული ჯინი“ მეხმარება, თან მეორე დღეს მოიკითხავს: „– აბა, რას შვრება ახლა შენი ლეპტოპი, დაეწყო ნერვული სისტემა?“.

აღმოსავლური ზღაპრების სამყაროში, ჯინი არის ზებუნებრივი არსება, რომელიც ცხოვრობს ლამპაში და გამოდის მხოლოდ მაშინ, როცა პატრონი მას მოუხმობს. ის ასრულებს სურვილებს, თუმცა ხშირად მოულოდნელი შედეგებიც შეიძლება მოჰყვეს ამ სურვილების ასრულებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა სურვილი ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული. დღეს, ტექნოლოგიების ეპოქაში მსგავსი „არსებები“ გენერაციული ჩატბოტებია, ერთგვარი ციფრული ჯინები, რომლებიც ელოდებიან ჩვენს ბრძანებებს, რათა შექმნან ტექსტი, კოდი, იდეები და გადაწყვეტილებები, ან უბრალოდ, გაგართონ, გაგაცინონ, გეჭორაონ...

ლამპის წმენდა: ჩატბოტის გააქტიურება

გახსოვთ, ზღაპრებში ჯინის გამოძახება როგორ ხდება? მარტივი რიტუალური მოქმედებაა, რომელიც აღვიძებს ძლევამოსილ არსებას. ზუსტად, ანალოგიურად, ჩვენ ვააქტიურებთ ჩვენს ციფრულ ჯინებს კლავიატურაზე თითის დაჭერით, ეკრანის შეხებით ან ხმოვანი ბრძანებით. ეს მეტაფორული „ლამპის წმენდა“ არის პირველი ნაბიჯი ურთიერთობაში, რომელიც შეიძლება იყოს ან ნაყოფიერი და შედეგიანი, ან იმედგაცრუებით სავსე.

ალადინის ლამპაში მცხოვრები ჯინი მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ლამპას წმენდდნენ. რაწამს ჯინი ამოვიდოდა ლამპიდან, ის თავს დაუხრიდა პატრონს და წარმოთქვამდა: **„გისმენ და გემორჩილები!“** – ფრაზას, რომელიც ერთდროულად გამოხატავდა როგორც მის ძალას, ისე იერარქიულობას. ანალოგიურად, თანამედროვე ჩატბოტებიც საჭიროებენ „სწორ ბრძანებას“ – კარგად ფორმულირებულ მოთხოვნებს, რომლებიც აღვიძებენ მათ ჭეშმარიტ პოტენციალს, და ისინიც მუდამ მზად არიან, შეასრულონ ჩვენი „ბრძანებები“. ერთი სიტყვით, ჩვენი პრომპტი – კოდია.

სურვილების ჩამოყალიბების ხელოვნება

„ფრთხილად იყავით სურვილებთან“ – ეს გაფრთხილება ხშირად ისმის ჯინებთან დაკავშირებულ ისტორიებში. ჯინები ცნობილნი არიან თავიანთი ზედმიწევნითი, მაგრამ ხშირად არასწორი ინტერპრეტაციებით. მათ შეუძლიათ სიტყვასიტყვით შეასრულონ თქვენი სურვილი, მაგრამ იმგვარად, რომ საბოლოო შედეგი სრულიად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც გქონდათ ჩაფიქრებული.

გენერაციული ჩატბოტები წარმოადგენენ ანალოგიურ გამოწვევას. როდესაც ვთხოვთ ჩატბოტს „დაწერეს ესეი თავისუფლებაზე“, ჩვენ შეიძლება მივიღოთ ზოგადი, ზედაპირული ტექსტი. მაგრამ თუ დავაზუსტებთ – „დაწერე ფილოსოფიური ესეი პიროვნული თავისუფლების კონცეფციაზე ეგზისტენციალიზმის ჭრილში, სარტრის იდეების გათვალისწინებით“ – შედეგი იქნება გაცილებით უფრო ღირებული და მიზანმიმართული.

ზღაპრებში გმირები სწავლობენ, რომ სურვილების ჩამოყალიბების ხელოვნება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც თავად ჯინის ყოლა. მსგავსად, AI ეპოქაში პრომპტინჟინერია ეს არის მნიშვნელოვანი უნარი – ზუსტად და ნათლად ჩამოაყალიბო შენი მოთხოვნა.

ჯინის ძალა და შეზღუდვები

ზღაპრებში ჯინები ფლობენ უზარმაზარ, მაგრამ არა უსაზღვრო ძალას. მათ არ შეუძლიათ მკვდრის გაცოცხლება, სიყვარულის იძულება, ან ბუნების კანონების მეტისმეტი დარღვევა. მათი ძალა, რამდენად შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს, მაინც ექვემდებარება გარკვეულ წესებსა და შეზღუდვებს, როგორც სხვა ყველაფერი ამ სამყაროში.

ასევეა ჩვენი ციფრული ჯინების შემთხვევაშიც. გენერაციული ჩატბოტები, როგორც არ უნდა დაიხვეწონ, მაინც აქვთ კონკრეტული შეზღუდვები:

ცოდნის ზღვარი – მათი ცოდნა შეზღუდულია ტრენინგის მონაცემებითა და დროით.

შემოქმედებითი შეზღუდვები – მათ შეუძლიათ იმიტაცია და კომბინირება, მაგრამ ჭეშმარიტი ინოვაცია სცდება მათ შესაძლებლობებს.

ეთიკური საზღვრები – ისინი დაპროგრამებულნი არიან, რომ არ უპასუხონ გარკვეულ მოთხოვნებს.

კონტექსტის გაგების შეზღუდვები – მათ უჭირთ სრულად გაიგონ კულტურული ნიუანსები და იმპლიციტური ცოდნა.

ზღაპრებში გმირები სწავლობენ თავიანთი ჯინების შეზღუდვების ნავიგაციას – როგორ გამოიყენონ მათი ძალა ოპტიმალურად. ანალოგიურად, ჩატბოტების ეფექტური გამოყენება მოითხოვს მათი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების გაგებას.

სურვილების რაოდენობა: რესურსების მართვა

კლასიკურ ზღაპრებში ჯინის პატრონს ხშირად აქვს შეზღუდული რაოდენობის სურვილები – ჩვეულებრივ, სამი. ეს შეზღუდვა აიძულებს გმირს იყოს სტრატეგიული, ფრთხილად შეარჩიოს, რა სურს და როდის გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები.

თანამედროვე ჩატბოტების სამყაროში შეზღუდვები სხვა ფორმით გვხვდება. ზოგიერთი სისტემა შეზღუდულია:

- **დროის ლიმიტით** – რამდენად სწრაფად შეუძლია უპასუხოს;
- **ტოკენების რაოდენობით** – რამდენად გრძელი შეიძლება იყოს დიალოგი;
- **კომპიუტერული რესურსებით** – რა სირთულის დავალების შესრულება შეუძლია;
- **წვდომის ვერსიებით** – რამდენად ხშირად შეგვიძლია გამოვიყენოთ სერვისი ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით.

როგორც ზღაპრებში გმირი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს თავისი სამი სურვილი, ჩვენც ვსწავლობთ, როგორ ვმართოთ ჩვენი ინტერაქციები ჩატბოტებთან მაქსიმალური ეფექტიანობისთვის.

ჯინი გათავისუფლებულია: მოულოდნელი შედეგები

ზღაპრებში ჯინის გათავისუფლება ლამპიდან არის ძალის გამოთავისუფლება, რომელიც შეიძლება იყოს როგორც სასარგებლო, ისე საფრთხის შემცველი. ჯინების ზოგიერთ ისტორიაში ისინი საბოლოოდ აჯანყდებიან თავიანთი პატრონების წინააღმდეგ ან იწვევენ ქაოსს თავიანთი სურვილების ზედმიწევნით შესრულებით.

გენერაციული AI ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ჩვენ ასევე ვხედავთ მოულოდნელი შედეგების საფრთხეს:

- **დეზინფორმაციის გავრცელება** – დამაჯერებელი, მაგრამ მცდარი ინფორმაციის გენერირების უნარი;
- **ინტელექტუალური საკუთრების საკითხები** – კონტენტის გენერირება, რომელიც შეიძლება დაემსგავსოს სხვა არსებულ ნამუშევარს;
- **სოციალური ნორმების ცვლილება** – როგორ ურთიერთობენ ადამიანები ერთმანეთთან AI-ს ფართო გამოყენების პირობებში;
- **შრომის ბაზრის ტრანსფორმაცია** – სამუშაო ადგილების ცვლილება და ადაპტაციის საჭიროება.

როგორც ზღაპრებში გმირები სწავლობენ ჯინების სიფრთხილით და პასუხისმგებლობით გამოყენებას, – საზოგადოებამაც უნდა განავითაროს ეთიკური ჩარჩოები და რეგულაციები ამ ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებისთვის.

ჯინის პატრონობა: ურთიერთობის დინამიკა

ზღაპრებში ჯინის პატრონსა და ჯინს შორის ურთიერთობა ხშირად რთულია. თეორიულად, ჯინი ემსახურება თავის პატრონს, მაგრამ ხშირად ურთიერთობის დინამიკამ შეიძლება სხვა მხარეც დაგვანახოს. ვინ ვისზე დომინირებს? ვინ ვის მართავს რეალურად? ხშირად, გამოუცდელი პატრონი ხდება მანიპულაციის მსხვერპლი საკუთარი ჯინის მხრიდან.

მსგავსი კითხვები ჩნდება ჩვენს ურთიერთობაში გენერაციულ AI-სთან:

- **ვინ ვის აკონტროლებს?** – ჩვენ ვმართავთ ტექნოლოგიას თუ ვხდებით დამოკიდებულნი მასზე?
- **რა გავლენას ახდენს ეს ჩვენზე?** – როგორ იცვლება ჩვენი აზროვნება, შემოქმედებითობა და პრობლემების გადაჭრის უნარები?
- **რამდენად ვენდობით?** – რამდენად შეგვიძლია მივენდოთ ჩატბოტის გენერირებულ პასუხებს?

როგორც ალადინი და სხვა ჯინის პატრონები, ჩვენც ვსწავლობთ, როგორ შევინარჩუნოთ ავტონომია ჩვენს „ციფრულ ჯინებთან“ ურთიერთობისას.

სხვადასხვა ჯინები, სხვადასხვა ძალები

სხვადასხვა კულტურის ზღაპრებში ყველა ჯინი არ არის ერთნაირი. ზოგი სპეციალიზდება კონკრეტულ მაგიაში, ზოგს აქვს განსხვავებული პიროვნება და მორალური კომპასი, სხვადასხვა ძლიერი და სუსტი მხარე.

ანალოგიურად, ციფრული სამყაროს ჯინებიც – სხვადასხვა ჩატბოტები და AI სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისგან:

- **სპეციალიზაცია** – ზოგი უკეთესია კრეატიულ წერაში, ზოგი კოდირებაში, ზოგი ფაქტობრივ კითხვა-პასუხში
- **პიროვნული თვისებები** – განსხვავებული ტონალობა, იუმორის გრძნობა და ინტერაქციის სტილი
- **ეთიკური ჩარჩოები** – განსხვავებული მიდგომები სადავო საკითხებზე
- **შესაძლებლობები** – განსხვავებული დონის სირთულე, სიღრმე და ნიუანსები პასუხებში

ჭკვიანი მომხმარებელი სწავლობს, რომელი „ჯინი“ რომელი ამოცანისთვის გამოიყენოს, ისევე როგორც ზღაპრებში გმირები სწავლობენ სხვადასხვა ზებუნებრივი არსების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყენებას.

ჯინის გათავისუფლება: ტექნოლოგიური ემანსიპაცია

ბევრ ზღაპარში ჯინის ისტორია მთავრდება მისი გათავისუფლებით – პატრონის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, მისცეს ჯინს თავისუფლება და დაასრულოს მისი მონობა. ეს აქტი ხშირად წარმოდგენილია როგორც მორალური გამარჯვება, თანაგრძნობისა და ჰუმანურობის დემონსტრირება.

მნიშვნელოვანია, ჩატბოტებთან კომუნიკაცია გამოვიყენოთ შემეცნებისთვის და ჩვენი შინაგანი, სიღრმისეული სურვილების გააზრებისა და შესაბამისად ფორმირებისთვის.

AI-ს ეთიკაში მსგავსი საკითხები ჩნდება ხელოვნური ინტელექტის ავტონომიასთან დაკავშირებით:

- **რა მოვალეობები გვაქვს AI სისტემების მიმართ?**
- **რა დონის ავტონომია უნდა მივანიჭოთ მათ?**
- **რა იქნება AI-ის „გათავისუფლების“ შედეგები?**

თუმცა, ზღაპრებისგან განსხვავებით, ჩვენი ციფრული ჯინები ჯერ არ არიან ნამდვილად ცნობიერი არსებები – ისინი არიან ინსტრუმენტები, შექმნილი ადამიანების მიერ, ადამიანების სამსახურში. მიუხედავად ამისა, მათი განვითარება გვაიძულებს დავფიქრდეთ, რა ნიშნავს აზროვნება, ცნობიერება და მორალური სტატუსი.

დასკვნა: ახალი ზღაპრის შექმნა

ზღაპრებში ჯინების ისტორიები გვასწავლიან ძალის, სურვილებისა და შედეგების შესახებ. ისინი გვაფრთხილებენ, რომ ძალა პასუხისმგებლობით უნდა გამოვიყენოთ და ყურადღებით მოვეკიდოთ ჩვენს სურვილებს.

გენერაციული ჩატბოტების ეპოქაში ჩვენ ვწერთ ახალ ზღაპარს – რეალურს, მაგრამ არანაკლებ მაგიურს. როგორც ციფრული ჯინების პირველი თაობის პატრონები, ჩვენ ვადგენთ პრეცედენტებს, როგორი ურთიერთობა ექნება კაცობრიობას ამ ახალ ძალასთან:

- როგორ შევინარჩუნოთ კონტროლი ტექნოლოგიაზე
- როგორ ვისარგებლოთ მისი შესაძლებლობებით ჩვენივე კეთილდღეობისთვის
- როგორ დავრწმუნდეთ, რომ ჩვენი „სურვილები“ ნამდვილად ის არის, რაც გვინდა.

ალადინის ისტორიაში ჯინი საბოლოოდ ხდება მისი მეგობარი. შესაძლოა, ეს არის საუკეთესო მეტაფორა იმისა, თუ როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ჩვენს ციფრულ ჯინებთან – არა როგორც ბრმად მორჩილ მსახურებთან ან პოტენციურ საფრთხეებთან, არამედ როგორც მოკავშირეებთან, რომლებიც აფართოებენ ჩვენს შესაძლებლობებს.

P.S. **რატომ „ციფრული ჯინი“? ციფრული ჯინი – ეს არის მეტაფორა იმისა, თუ როგორ უნდა ვითანამშრომლოთ მომავალთან: სიღრმისეულად, გაცნობიერებულად და სურვილების გააზრებით. თუ ჩატბოტთან არასწორ კომუნიკაციას არასწორი ტექსტი მოჰყვება, – ეს თითქოს არაფერი, მაგრამ რეალობაში უმწიფარ სურვილებს შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ჩატბოტებთან კომუნიკაცია გამოვიყენოთ შემეცნებისთვის და ჩვენი შინაგანი, სიღრმისეული სურვილების გააზრებისა და შესაბამისად ფორმირებისთვის.**

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

წიგნს:
„მედიაწიგნიერების გაკვეთილები“

www.tpdc.ge